CMYK - 1

www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი 20 იანვარი, 2009 წელი. №10 (2048) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

თეატრი პრობლემის გარეშე

A9

ზედმეტად წარმატებული ხუმრობა

A11

სეზონი "თავისუფლად" დაიწყო

A13



24 საათი

"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
BORJOMI ბორჯომი
GRDC group
ჯი პი აი ვენის სადაზღვევო ჯგუფი

The New York Times

TUESDAY, JANUARY 20, 2009

Articles selected for 24 საათი

Copyright © 2009 The New York Times

WASHINGTON IN TRANSITION

A New Day

ROGER COHEN

INTELLIGENCE

AS BARACK HUSSEIN Obama takes office as the 44th President of the United States, and its first African-American leader, he has already achieved something remarkable: the restoration of the mythology of American possibility.

In a bleak season, with American luster dimmed and the country facing the worst economic downturn since the 1930s, this symbolism is as important as the ballooning unemployment and the two wars that face him. With his Kenyan father, American mother and Muslim grandfather, Obama speaks to a world in flux. From Malaysia to Mexico, Obama seems somehow familiar. He looks more like the guy at the local corner store than the guys on dollar bills. As such, his rise declares to one and all that there are still no bounds to what can be achieved in the United States.

This is important because global hopes are still vested in the American idea. China and India may be rising but their ascendancy has not brought any magnetic new message. Hope in America is not illogical. The United States is a transformational power or it is nothing. As Richard Hofstadter has observed, "It has been our fate as a nation not to have an ideology, but to be one."

To me, America at its best is the overcoming of history, the leaving behind of war and barriers, toward a future freed from the cruel gyre of memory repeat-

Continued on Page 2

იხილეთ ჩანართი

ევროსაბჭოს შეტევა რუსეთზე

ზამთრის სესიამდე ერთი კვირით ადრე

მოსკოვი ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციის მოთხოვნებს არ ასრულებს, თუმცა ბრალდებებს ქართულ მხარეს უყენებს. გუშინ მოსკოვში რეზოლუციის შესრულებას ასამბლეის დელეგაცია განიხილავდა. სტრასბურგში, ასამბლეის ზამთრის სესიაზე, რუსეთ-საქართველოს ომის შედეგების განხილვა კვლავ იგეგმება. მოსკოვში არ გამორიცხავენ, რომ სესიის დროს დღის წესრიგში კვლავ რუსეთის დელეგაციისთვის ხმის უფლების ჩამორთმევის საკითხი დადგეს.

დიმიტრი ავალიანი

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის საპრეზიდენტო კომიტეტმა, რომელშიც ასამბლეის პრეზიდენტი და წამყვანი ფრაქციების ლიდერები შედიან, გუშინ მოსკოვში გასვლითი სხდომა გამართა, რომელზეც ოქტომბერში მიღებული რეზოლუციის - "რუსეთ-საქართველოს ომის შედეგების შესახებ" - შესრულებაზე იმსჯელა. ასეთივე ვიზიტი გასული წლის ოქტომბრის ბოლოს თბილისშიც შედგა.

გუშინ ასამბლეის დელეგაცია, ლუის მარია დე პუჩის თავმჯდომარეობით, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს სპიკერ ბორის გრიზლოვს და ფრაქციების ხელმძღვანელებს შეხვდა.

ამ შეხვედრაზე გრიზლოვმა რეზოლუციის და სარკოზი-მედვედევის სამშვიდობო შეთანხმების დარღვევაში ქართული მხარე დაადანაშაულა.

გაგრძელება A2 გვერდზე

წმინდანები და დემოკრატიული საზოგადოების ინტერესი

დავით დარჩიაშვილი

სოციალური სისტემები ურთიერთგამჭოლია. არც "პოლიტიკური ადამიანის" სრული გამიჯვნაა შესაძლებელი "ეკონომიკური" თუ "რელიგიური ადამიანისაგან". საბოლოო ჯამში, ძალაუფლება, ქონებრივი მდგომარეობა, სინდისი და მორალი ურთიერთგავლენების მომხდენი ღირებულებებია. არც ისეთი ადამიანური გრძნობები უნდა დავივიწყოთ, როგორიც უნდობლობა და შიშია - ადამიანები არ ენდობიან ერთმანეთს, შესაბამისად, აშინებთ, რომ სხვისი ძალაუფლების ზრდა მათთვის საზიანო შეიძლება იყოს. ამის გამო თუ თავისთავად, ადამიანები მუდმივად იბრძვიან საკუთარი სტატუსის, ქონებისა და საკუთარი სიმართლისათვის. საქმე ისაა, რომ ბრძოლის ფორმები იყოს შეთანხმებული, მოღვაწეობის სფეროები კი პროფესიულად გამიჯნული: ისევე, როგორც საკუთრება. ამ შეგნებაზე, გნებავთ, ეთიკაზე დგას დემოკრატია და არა მხოლოდ, თუ არა იმდენად - არჩევნებზე. სხვათა შორის, ევროპელობაც ამას ნიშნავს. ხომ გავაკეთეთ ევროპული არჩევანი?

გაგრძელება A3 გვერდზე

CMYK - 1

ორი სიტყვით

თბილისი. 24-27 იანვარს საქართველოს შვედეთის საერთაშორისო განვითარების და თანამშრომლობის მინისტრი გუნილა კარლსონი და შვედეთის "სოციალ-დემოკრატიული პარტიის" ლიდერი მონა სალინე ეწვევიან. **ჯი-ეიჩ-ენი**

თბილისი. ამერიკის შეერთებული შტატების არჩეული პრეზიდენტის ინაუგურაციაზე ოფიციალური მიწვევა საქართველოს ხელისუფლებას არ მიუღია. **ინტერპრესნიუსი**

თბილისი. აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის ხელმძღვანელი მალხაზ აქიშბაია გალის რაიონში მყოფი რუსეთის საოკუპაციო ჯარების წარმომადგენლებსა და აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის დაქვემდებარებაში მყოფი შეიარაღებული ბანდფორმირების წარმომადგენლებს შორის მომხდარი მორიგი შეიარაღებული დაპირისპირების შემდეგ საერთაშორისო თანამეგობრობას კიდევ ერთხელ მიმართავს და გალის რაიონში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენელთა შესვლას, ასევე იქ საერთაშორისო საპოლიციო სამშვიდობო ძალების განთავსებას ითხოვს. **ჯი-ეიჩ-ენი**

სოხუმი. სოხუმის მარიონეტული რეჟიმის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა ქართულ მხარეს ენგურის ხიდზე აფხაზი ე.წ. მებაჟეების პოსტის მიმართულებით ცეცხლის გახსნაში ადანაშაულებს. ამის შესახებ სააგენტო "აპსნი პრესი" იუწყება. **ინტერპრესნიუსი**

თბილისი. ექსპერტი საერთაშორისო ურთიერთობათა საკითხებში, ორგანიზაციის "საქართველო ნატოში" ხელმძღვანელი შალვა ფიჩხაძე მიიჩნევს, რომ მართალია, აშშ-ს ახალი ადმინისტრაცია ხისტი პოზიციებით არ გამოირჩევა, მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა, რუსეთთან ურთიერთობაში ლოიალური პოლიტიკა აწარმოოს. ფიჩხაძის განცხადებით, აშშ-სა და რუსეთს შორის რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განთავსების გამო წინააღმდეგობა და სიტუაციის გამწვავებაა მოსალოდნელი. **ჯი-ეიჩ-ენი**

კონფლიქტის ზონებში დაძაბულობა მატულობს

გუშინ შიდა ქართლის რაიონის სოფელ დვანში ქართულ საგუშაგოზე თავდასხმა მოხდა. შიდა ქართლის პოლიციის უფროს ვოვა ჯუღელის განცხადებით, ქართველ სამართალდამცველებს ავტომანქანით პატრულირებისას ოსმა სეპარატისტებმა ინტენსიური ცეცხლი გაუხსნეს, რის შედეგადაც ორი მათგანი - მამუკა ჯანიაშვილი და ლევან გოგინაშვილი დაიჭრნენ. მათ გორის ჰოსპიტალში ოპერაცია ჩაუტარდათ. ქართულმა მხარემ სეპარატისტებს საპასუხო ცეცხლით უპასუხა.

გუშინვე ცნობილი გახდა ენგურის ხიდთან კვირა საღამოს მომხდარი სროლის შესახებ. აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის ინფორმაციით, ენგურის ხიდთან შეტაკება ოკუპანტებსა და სეპარატისტებს შორის მოხდა.

"ოკუპანტებსა და სეპარატისტებს შორის შეტაკება გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯშიც მოხდა, რის შედეგადაც გალის რაიონში უმართავი მდგომარეობა შეიქმნა. ენგურის ხიდზე მომხდარი ინციდენტიც ამ შეტაკებების სერიის გაგრძელებაა," - ნათქვამია აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების განცხადებაში.

გავრცელებული ინფორმაციით, რუსი ოკუპანტები აფხაზეთში სასაზღვრო და საბაჟო პუნქტების გაკონტროლებას ცდილობენ. ამ მიზეზით ოკუპანტებსა და სეპარატისტებს შორის დაპირისპირება 15 დღის წინ დაიწყო. კვირა ღამით მომხდარ გარჩევაში მოსკოვში მცხოვრები ე.წ. კანონიერი ქურდებიც მონაწილეობდნენ. საქმეში რუსული ანტიტერორისტული ცენტრის სპეცრაზმიც ჩაერია. დაპირისპირების დროს მოკლულია ერთი ჩეჩენი, დაჭრილია ხუთი, მათგან ორი მძიმე მდგომარეობაშია.

საკუთარი ინფორმაცია

საქართველოს ბენიტა ფერერო-ვალდნერი ეწვევა

დღეს, 20 იანვარს, საქართველოს ევროკავშირის უმაღლესი კომისარი საგარეო ურთიერთობებისა და ევროპული სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ბენიტა ფერერო-ვალდნერი ეწვევა.

"ევროკომისრის ვიზიტი საქართველოსადმი ევროკავშირის პოლიტიკური მხარდაჭერის დემონსტრირებას წარმოადგენს, განსაკუთრებით 2008 წლის აგვისტოში საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული რუსული აგრესიის შემდეგ," - ნათქვამია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

ევროკომისარი საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, პრემიერ-მინისტრ გრიგოლ მგალობლიშვილს, საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძეს და მთავრობის ვიცე-პრემიერს, სახელმწიფო მინისტრს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში გიორგი ბარამიძეს შეხვდება.

ვიზიტის ფარგლებში ევროკომისიასა და საქართველოს მთავრობას შორის 2008-2010 წლებში ევროკავშირის გაზრდილი ფინანსური დახმარების შესახებ ერთობლივ განცხადებას მოეწერება ხელი. **ჯი-ეიჩ-ენი**

ევროსაბჭოს შეტევა რუსეთზე

პირველი გვერდიდან

კერძოდ, მისი თქმით, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მიმდებარე ზონებში ქართული ძალოვანი სტრუქტურების კონცენტრაცია ხდება, რასაც საზღვარზე **"ქართული მხარის მიერ პროვოცირებული ინციდენტები"** მოჰყვა (აღსანიშნავია, რომ რეზოლუციის პროექტში, რომელიც ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიგრაციის, დევნილებისა და მოსახლეობის კომიტეტმა მოამზადა, ქართული მხარისგან სწორედ ადმინისტრაციულ საზღვრებთან პოლიციის გაძლიერებას მოითხოვენ, მშვიდობიანი მოისახლეობის დაცვის მიზნით).

გრიზლოვმა ასევე აღნიშნა, რომ რუსეთი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს ყველანაირ ჰუმანიტარულ დახმარებას უწევს, ხოლო თბილისი ცხინვალისთვის გაზის მიწოდების შეწყვეტაში დაადანაშაულა.

გასული წლის ოქტომბერში "რუსეთ-საქართველოს ომის შედეგების შესახებ" მიღებული რეზოლუციის შესრულება და კონფლიქტის ჰუმანიტარული პრობლემები 26-30 იანვარს სტრასბურგში დაგეგმილ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ზამთრის სესიაზე ერთ-ერთი მთავარი თემა გახდება. 28 იანვარს ევროპელი პარლამენტარები განიხილავენ ასამბლეის სამონიტორინგო კომიტეტის თანამომხსენებლების ლუკ ვან დერ ბრანდესა და მათიას ეორშის მოხსენებას რეზოლუციის შესრულების შესახებ, რომელიც თბილისსა და მოსკოვში ვიზიტების შედეგების მიხედვით მომზადდება.

დეკემბერში გამოქვეყნებულ ვან დერ ბრანდესა და მათიას ეორშის შუალედურ მოხსენებაში აღნიშნულია, რომ თბილისი ასამბლეის მოთხოვნებს, ძირითადად, ასრულებს, ხოლო მოსკოვი რეზოლუციის მთავარ მუხლებს იგნორირებას უკეთებს.

კერძოდ, რუსეთს არ შეუსრულებია 12 აგვისტოსა და 8 სექტემბრის სამშვიდობო შეთანხმებების ყველა პირობა და ჯარები საწყის პოზიციებზე არ დაუბრუნებია. ასევე გრძელდება თავდასხმები და პროვოკაციები ქართული სოფლებისა და პოლიციის წინააღმდეგ, რაც სამშვიდობო შეთანხმების დარღვევას წარმოადგენს.

მომხსენებლებმა ოკუპირებულ ტერიტორიებზე საერთაშორისო დამკვირვებლების შესვლას, ასევე ახალი საერთაშორისო სამშვიდობო ფორმატის შექმნას დაუჭირეს მხარი.

არ არის გამორიცხული, სტრასბურგში კვლავ განახლდეს საუბრები რუსეთის დელეგაციისთვის ხმის უფლების ჩამორთმევის შესახებ, - წერს რუსული "ნეზავისიმაია გაზეტა". როგორც გაზეთთან საუბრისას რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ კონსტანტინ კოსაჩევმა აღნიშნა, ეს ნაკლებად მოსალოდნელია. თუმცა, მისი თქმით, თუ რუსეთის დელეგაციას ხმის უფლებას ჩამოართმევენ, იგი რეკომენდაციას მისცემს ქვეყნის ხელისუფლებას, ევროპის საბჭოს შემადგენლობიდან გამოვიდეს.

რაც შეეხება ახალი რეზოლუციის პროექტს **"რუსეთ-საქართველოს ომის ჰუმანიტარული შედეგების შესახებ,"** რომელიც ასამბლეის ლტოლვილთა, მიგრაციისა და მოსახლეობის კომიტეტმა მოამზადა, მასში აღნიშნულია, რომ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა შეშფოთებას გამოთქვამს გალსა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებში დარჩენილი ქართველების უსაფრთხოების დაუცველობის გამო. ასამბლეა მხარს უჭერს ევროკავშირის დამკვირვებელთა მისიის გაძლიერებას და მიიჩნევს, რომ დამკვირვებლებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე თავისუფალი შესვლის საშუალება უნდა ჰქონდეთ. ამ პროექტის თანახმად, საპარლამენტო ასამბლეა ასევე მოუწოდებს რუსეთს, უზრუნველყოს დევნილთა უსაფრთხო დაბრუნება და პრიორიტეტულ ვადად გაზაფხულს ასახელებს.

უაზრო ემბარგო

რუსეთის პრეზიდენტმა დმიტრი მედვედევმა გუშინ ხელი მოაწერა განკარგულებას "საქართველოსთვის სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის მიწოდების აკრძალვის ღონისძიებათა შესახებ". ვინაიდან უკვე რამდენიმე წელია, რაც რუსეთი საქართველოსთან იარაღით ფართომასშტაბიან ვაჭრობას აღარ აწარმოებს, თბილისში მიიჩნევენ, რომ კრემლის მიერ გამოცხადებული ემბარგო ფორმალური ხასიათისაა და ამით არაფერი იცვლება.

გიორგი ასანიშვილი

კრემლის "სასჯელი"

პრეზიდენტ დმიტრი მედვედევის განკარგულების თანახმად, რუსეთის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს, სახელმწიფო კორპორაციებს, უნიტარულ საწარმოებს, აგრეთვე სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებს 2011 წლის პირველ დეკემბრამდე ეკრძალებათ საქართველოსთვის სამხედრო პროდუქციის, მათ შორის - შეიარაღების, სამხედრო ტექნიკისა და სხვადასხვა საშუალებების მიწოდება, მიყიდვა ან გადაცემა.

რუსეთის პრეზიდენტი ასევე კრძალავს ამ მიზნებისთვის სარკინიგზო, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტის გამოყენებას, აგრეთვე სამხედრო დარგში სპეციალისტების მომზადების შესახებ კონსულტაციების გამართვას.

დოკუმენტი ავალდებულებს რუსეთის მთავრობას, მოიძიოს ინფორმაცია უცხო ქვეყნების ორგანიზაციებისა და მოქალაქეების მიერ საქართველოსთვის იარაღის მიყიდვა-მიწოდების შესახებ და მიიღოს გადაწყვეტილება შესაბამისი ეკონომიკური ღონისძიებების გატარების თაობაზე.

გარდა ამისა, მედვედევი ავალებს ქვეყნის უმაღლეს აღმასრულებელ ხელისუფლებას, შეიმუშაოს სამხედრო-ეკონომიკური თანამშრომლობის შეზღუდვის ან აკრძალვის ზომები იმ სახელმწიფოებისთვის, რომლებიც კრემლის სურვილს ანგარიშს არ გაუწევენ და საქართველოს მაინც მიაწვდიან რუსულ (საბჭოურ) შეიარაღებას.

თბილისის რეაქცია

კრემლის მიერ საქართველოსთვის რუსულ იარაღზე ემბარგოს დაწესებას ქართველი პოლიტიკოსები, დიპლომატები და ექსპერტები სერიოზულ მნიშვნელობას არ ანიჭებენ.

ევროპასთან ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე დავით დარჩიაშვილი მიიჩნევს, რომ მედვედევის ამ განკარგულებით არაფერი იცვლება. მისი თქმით, თუ იარაღის მიწოდების საკითხში საქართველოს დღემდე რაღაც შეზღუდვები ჰქონდა, ეს მხოლოდ იმიტომ ხდებოდა, რომ მის ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების ბუნება მსოფლიოსთვის გაუგებარი იყო, ამჟამად კი მთელი საერთაშორისო საზოგადოებისთვის ნათელია, რომ რუსეთი აგრესორი ქვეყანაა.

ანალოგიური პოზიცია აქვს საპარლამენტო უმცირესობასაც. ფრაქცია "ქრისტიან-დემოკრატების" თავმჯდომარის მოადგილე ნიკა ლალიაშვილი მედვედევის გადაწყვეტილებას პოლიტიკურ ნაბიჯად აფასებს და დარწმუნებულია, რომ ეს ნაბიჯი საქართველოს ბრძოლისუნარიანობაზე ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენს.

"შორს ვარ იმ აზრისგან, რომ საქართველოს პარტნიორები, რომლებიც იარაღს გვაწვდიან, ამ ნაბიჯით შეშინდებიან," - აღნიშნავს ოპოზიციონერი დეპუტატი.

რუსეთის პრეზიდენტის გადაწყვეტილებას საკმაოდ მკაცრ შეფასებას აძლევს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. გრიგოლ ვაშაძის უწყებაში მიაჩნიათ, რომ დმიტრი მედვედევის ბრძანებულება აბსურდად უნდა შეფასდეს იმ ფონზე, როდესაც რუსეთი თავად გამოვიდა ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შეზღუდვის შესახებ ხელშეკრულებიდან და მეზობელ სახელმწიფოებს რეალურ სამხედრო საფრთხეს უქმნის.

"რუსეთი ათწლეულების განმავლობაში სამხედრო შეიარაღებას აწვდიდა და აწვდის ყველა იმ ოდიოზურ რეჟიმს, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში საფრთხეს უქმნის საერთაშორისო უსაფრთხოებას და სტაბილურობას. საერთაშორისო საზოგადოებრიობას არ სჭირდება იმის შეხსენება, თუ ვის მიერ არის წარმოებული იარაღი, რომელსაც, უმეტესწილად, ტერორისტული ორგანიზაციები მთელი მსოფლიოს მასშტაბით იყენებენ," - აღნიშნულია საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გუშინ გავრცელებულ განცხადებაში.

ექსპერტი სამხედრო საკითხებში კობა ლიკლიკაძე მიიჩნევს, რომ მედვედევის განკარგულება მხოლოდ საერთაშორისო საზოგადოებაზე გათვლილი ნაბიჯია და წარმოადგენს გზავნილს იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც საქართველოს პარტნიორებად მოიაზრებიან.

"ჩემი ინფორმაციით, საქართველოს რუსეთთან იარაღით ფართომასშტაბიანი ვაჭრობა 3-4 წელია, აღარ აქვს. ამდენად, დმიტრი მედვედევის გადაწყვეტილება უფრო დიპლომატიურ სვლას წარმოადგენს. ბოლო ხანს რუსეთის მხრიდან რამდენჯერმე მოვისმინეთ განცხადება, რომ რეგიონის უსაფრთხოებისთვის საქართველო საშიშ ქვეყანას წარმოადგენს. სწორედ ამის გაგრძელებაა მედვედევის განცხადებაც," - აცხადებს ლიკლიკაძე.

კიევის პასუხი

რუსეთი არც აქამდე იშურებდა ძალ-ღონეს, რომ საქართველოს საზღვარგარეთ იარაღი ვერ შეესყიდა. ამ მიზნით, მოსკოვი მოლაპარაკებებს აწარმოებდა ისრაელთან და ცდილობდა, ზეწოლა განეხორციელებინა უკრაინაზე. საქართველოსთვის ემბარგოს დაწესების საკითხი საერთაშორისო ფორუმებზე არაერთხელ წამოწიეს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა და გაერო-ში რუსეთის მუდმივმა წარმომადგენელმა ვიტალი ჩურკინმა. თუმცა, ეს ქმედებები დღემდე უშედეგოდ მთავრდებოდა და როგორც ჩანს, მდგომარეობა არც მედვედევის განკარგულების შემდეგ შეიცვლება.

ყოველ შემთხვევაში, მედვედევის განკარგულებაზე კიევის პირველი რეაქცია კრემლისთვის არცთუ იმედის მიმცემია - უკრაინის პრეზიდენტის პარტია "ნაშა უკრაინამ" საქართველოსთვის იარაღის მიწოდების შესახებ რუსეთის მოთხოვნა უარყო. პარლამენტარ ანდრეი პარუბის განცხადებით, მედვედევის განკარგულება უკრაინაზე ზეწოლის მორიგი მცდელობაა და პარლამენტარი დარწმუნებულია, რომ უკრაინა მსგავსი ბრძანებებისა და მოთხოვნების იგნორირებას მოახდენს.

პარუბი ასევე განმარტავს, რომ იარაღით ვაჭრობისას მისი ქვეყანა საერთაშორისო შეთანხმებების, გაერო-ს უშიშროების საბჭოს და ეუთო-ს გადაწყვეტილებების დაცვით მოქმედებს.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები: მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). **რედაქტორები:** მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

წმინდანები და დემოკატიული საზოგადოების ინტერესი

პირველი გვერდიდან

ეს არჩევანი ჩვენი კონსტიტუციითაც არის განმტკიცებული, ისევე როგორც მთელი რიგი კანონებით. თუ ამ კანონებს დავარღვევთ, იმიტომ რომ შინაგანი რწმენა სხვა რამეს გვკარნახობს, ეს ურთიერთუნდობლობის ჯინის ამოშვებაა იმ ბოთლიდან, რომელიც ცივილიზებულმა საზოგადოებამ ხელისუფლებათა გამიჯვნის და პროფესიებად დაყოფის სახით შექმნა. სხვათაშორის, დემოკრატიის თანამედროვე ფორმების შემუშავებაზე ბევრად უფრო ადრე გაიმიჯნა სასულიერო და საერო სფეროები, რაშიც ქრისტიანობამ უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა პრინციპით, რომ კეისარს კეისრისა უნდა მიეცეს და ღმერთს ღმრთისა.

რა თქმა უნდა, არის კანონები, რომელთა მოთხოვნების ცალსახა, მხოლოდ ერთი მიმართულებით განმარტება ძნელია. ხდება ხოლმე კანონთა დაპირისპირებაც - მათ შორის ყველაზე უფრო კანონმორჩილ და დემოკრატიულ საზოგადოებებშიც. ზოგჯერ ადამიანის უფლება ეროვნული უსაფრთხოების მოთხოვნებთან მოდის შეუსაბამობაში და ან ერთი პრინციპი იხევს უკან, ან მეორე. მაგრამ თუ საზოგადოება დემოკრატიულია, ყოველ ასეთ შემთხვევას მოსდევს დებატები, როგორც ფართო საზოგადოებაში, მედიის აუცილებელი მონაწილეობითა და დახმარებით, ისე პარლამენტსა თუ სასამართლოებში. მედიის შეზღუდვა კი სასამართლოს შეზღუდვის ტოლფასია, რაც მხოლოდ საგანგებო თუ საომარი ვითარებისას ხდება - დროში შეზღუდულად, ადეკვატური დასაბუთებითა და ისიც მხოლოდ ნაწილობრივ. არის ამგვარ ვითარებასთან თეორიულად მაინც მიახლოვებული საზოგადოებრივი მაუწყებლის პროექტის, საქართველოს დიდი ართეულის დახურვის თუ გადაკეთების მცდელობა?

ერთი რამ ცხადია - ამ გადაცემათა ციკლის დახურვა იმ მიზეზით, რომ საზოგადოების ნაწილს იგი არ მოსწონს, კანონის დარღვევა და იმ, უკვე ნახსენები, ჯინის გამოშვებაა, რომელიც ურთიერთუნდობლობის და ძალმომრეობის სიმბოლოა.

კანონი ცალსახად განმარტავს ტელემაუწყებლობაზე ზენოლის დაუშვებლობას და თუ გადაცემა დაიხურა, ძნელი იქნება უარყოფა, რომ ამის მიზეზი ისეთი ზენოლაა, რომელსაც არანაირი იურიდიული და პოლიტიკური გამართლება არ გააჩნია. რა თქმა უნდა, ეკლესიას, ისევე როგორც სხვა სოციალურ ინსტიტუტს, შეუძლია გამოხატოს თავისი დადებითი თუ უარყოფითი აზრი ნებისმიერ მოვლენაზე თუ ინტელექტუალურ პროდუქტზე. მაგრამ თუ ეს პროდუქტი თავად არაა კონსტიტუციისა და კანონის დარღვევა, მისი არსებობის უფლება ეჭვგარეშეა.

საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას არ მოსწონს ამ გადაცემის ფორმატი და მასში ხედავს ჩვეულებრივ მოკვდავთა წმინდანებთან გათანაბრებისა და ამ უკანასკნელთა რანგირების მცდელობას, რაც ეკლესიისათვის მკრეხელობაა. მესმის და მორწმუნის პოზიციიდან, შეიძლება დავეთანხმო კიდეც. ყოველ შემთვევაში, ნამდვილად ვეთანხმები იმას, რომ ეკლესიამ თავისი შეხედულება ღიად დააფიქსიროს. მაგრამ საეკლესიო კანონები სინდისის, პირადი ცხოვრების სფეროა და არა საჯაროდ აღსრულების. ასეთებს მხოლოდ საერო კანონმდებლობა ეკუთვნის დემოკრატიულ საზოგადოებებში. აზრის გამოთქმაზე უფრო შორს წასვლა, ანუ ზეწოლა, რის ნიშნებზეც იყო საუბარი ამ გადაცემის ავკარგიანობაზე გამართულ სატელევიზიო დებატებში, ჩვენი ქვეყნის საერო, დემოკრატიული კანონმდებლობის დარღვევაა. ამდენად, მხოლოდ არხის ხელმძღვანელობის თავისუფალი ნებით გადასაწყვეტია, თუ რა ბედი ეწევა ამ თუ ნებისმიერ სხვა სატელევიზიო პროექტს. ეს ნება უნდა ეფუძნებოდეს ქვეყანაში არსებულ ყველა შესაძლო საზოგადოებრივ ინტერესს, და არა მხოლოდ ეკლესიის პოზიციას, მითუმეტეს, თუ ეს უკანასკნელი ზეწოლის ფორმით იქნება გამოხატული. ეს ტელევიზია ხომ ჩვენი, სხვადასხვა პოლიტიკური თუ მსოფლმხედველობრივ გემოვნების მქონე გადასახადის გადამხდელთა ფულით არსებობს?

ახლა კი უშუალოდ გადაცემის არსზე: მისი მიზანია საზოგადოებრივი დამოკიდებულების გარკვევა იმის თაობაზე, თუ რაა ყველაზე უფრო დიდი საზოგადოებრივი და ეროვნული სიკეთე. ამ მიზნის მისაღწევად, გადაცემა გვთავაზობს ჩვენი ქვეყნის ცნობილ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მოღვაწეების შესახებ ცოდნის გაღრმავებას დებატების ფორმით. დებატები რომ ცოდნის გაღრმავების ერთ-ერთი საუკეთესო ფორმაა, ეს ანტიკურმა ფილოსოფიამაც გვიანდერძა და თანამედროვე დემოკრატიაც ამას გვასწავლის. მაშ რატომ არ გავცვალოთ განსხვავებული მოსაზრებები ჩვენს ისტორიულ გმირებსა თუ ანტიგმირებზე, მარტო იმიტომ რომ მეტად აქტიური საერო ცხოვრების დასრულების შემდეგ ეკლესიამ მათ წმინდანის სტატუსი მიანიჭა?

მე მიმაჩნია, რომ ილია ჭავჭავაძე, რომელიც ეკლესიამ წმინდანად შერაცხა, თანამედროვე საქართველოს ერთ-ერთი მთავარი შემოქმედია. მიუხედავად იმისა, თუ ვინ იყვნენ ჩვენი მეფენი და რა წარმატებები ჰქონია ბაგრატოვანთა სამეფოს საუკუნეთა მიღმა, ილია ჭავჭავაძის გარეშე შეიძლება გაგვჭირვებოდა აფხაზეთიდან კახეთამდე ერთიანი ეროვნული განცდის განვრცობა. ეგებ იმის გაგებაც შეფერხებულიყო, რომ აჭარელი ბეგი ისეთივე ქართველი შეიძლება ყოფილიყო, როგორც იმერელი აზნაური. ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ ილია იყო ერთ-ერთი პირველთაგანი, ვისაც ესმოდა ევროპული დემოკრატიული ინსტიტუტების საქართველოში დანერგვის გარდაუვალი აუცილებლობა და პრაქტიკულადაც ახორციელებდა ამას. სწორედ ამიტომ ემსხვერპლა იგი არა მხოლოდ დამოუკიდებლობის, არამედ დემოკრატიის მტრებს. მე მინდა, რომ საერო ღვაწლი ილია ჭავჭავაძისა, რომელიც ჩემთვის იყო და იქნება რეალურად მოქმედი, ისტორიული პიროვნება, საზოგადოების თვალში უფრო მეტი იყოს, ვიდრე მისი კონკურენტებისა. მგონია, რომ ეს კიდევ ერთხელ დაგვეხმარება ერის დაბადებაში, რადგან ერი მუდმივად უნდა იბადებოდეს, თუ სიკვდილი არ უნდა და თუ დემოკრატიულ სისტემაში არსებობა სწადია. თუმცა, დაე, საზოგადოებამ განსაჯოს საბოლოოდ. რატომაა წმინდანთა იერარქიის დადგენასთან ასოცირებული ამაში საზოგადოების დარწმუნების მცდელობა?

თუ ამ იდეის და თავად გადაცემის წინააღმდეგ გამოსვლა არ სცილდება ეკლესიის მსახურთა მოსაზრების გადმოცემის ფარგლებს, ეს მხოლოდ დაგვეხმარება ინფორმირებული საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში. მე ნამდვილად არ მაქვს სურვილი და კომპეტენცია, რომ ვიდავო წმინდა რელიგიურ საკითხებზე, მაგრამ დიდი სიამოვნებით შევეცდები კამათს როგორც საერო, ისე სასულიერო მოღვაწეებთან მედიის თავისუფლებაზე, პოლიტიკაზე, ისტორიაზე. მიმაჩნია, რომ ასეთი კამათი მხოლოდ უფრო დააახლოვებს საერო და სასულიერო პირებს, მოხსნის თვითცენზურის უხერხულ განცდებს მავანში, რადგან თუ უზნეობისა და უკანონობის ქადაგებასთან არ გვაქვს საქმე, თვითცენზურა ადამიანის თავისუფლების და პროგრესის შემაფერხებელია. მაგრამ თუ ვაწყდებით ზეწოლას, რისი ნიშნებიც აღინიშნა ზემოთნახსენებ სატელევიზიო დებატებში, მაშინ საქმე კანონდარღვევასთან გვქონია. ეს კი მიუტევებელია, ჩამდენის მსოფლმხედველობრივი თუ პროფესიული სახის მიუხედავად.

მოკლედ, რა თქმა უნდა, არ შევბღალოთ არავისი რელიგიური გრძნობები. ამავე დროს, ნუ დავარღვევთ კანონს საზოგადოებრივი მაუწყებლის შესახებ და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიმსჯელოთ ერთად, ილია ჭავჭავაძეს მეტი აქვს გაკეთებული დღევანდელი საქართველოს საფუძვლებში არსებული ეროვნული და დემოკრატიული სულისკვეთებისათვის, თუ რომელიმე სხვა ისტორიულ პიროვნებას. ამით ჩვენვე უკეთ გავიცნობიერებთ, თუ რაა კიდევ საკეთებელი, როგორი საქართველო გვინდა. არ მგონია, ამით გადაცემის მომხრე ადამიანები არაეთიკურ თუ მკრეხელურ ნაბიჯებს ვდგამდეთ. ხოლო თუ კი ასეა, დაგვიტოვეთ შეცდომის უფლება და როცა იქნება, მოვინანიებთ.

ვირჩევთ თუ არა ზეციური საქართველოს პრეზიდენტს?

გიგი თევზაძე

ჩვენ ჩვენი ერის და სახელმწიფოს ისტორიას, 20 ასეული, ან უფრო მეტი წლის პერსპექტივაში ვუყურებთ. მაგრამ მიუხედავად ამისა, თანამედროვე, XXI ან თუნდაც XX საუკუნის სახელმწიფოს და ერის გამოცდილება ჩვენში ძალიან ახალია. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ჯერ საბჭოთა კავშირმა, ხოლო შემდეგ კი შევარდნაძის რეჟიმმა ევროპული შუა საუკუნეების წესით სტრუქტურირებულ ქვეყანაში გვაცხოვრა. შემდეგ - გარე თუ შიდა დაპირისპირებებმა რამდენიმე - XIX საუკუნის ბოლოს, XX საუკუნის დასაწყისის ყაიდის - ველური არჩევნები ჩაგვატარებინა. ბოლოს კი ისეთ ომში მოვექეცით, რომელმაც ყველას მხოლოდ და მხოლოდ XVIII და XIX საუკუნის ანალოგიური პროცესები გაახსენა. მოკლედ რომ ვთქვათ, ვერა და ვერ ვიგრძენით თავი თანამედროვე სამყაროში.

მეორე მხრივ - მრავალ ჩვენგანში ძლიერია სურვილი, ვიყოთ თანამედროვე სამყაროს განუყოფელი ნაწილი, რაც მოგვიტანს განვითარების და მრავალფეროვნების შესაძლებლობას - არა მარტო ჩვენ, არამედ ჩვენს შვილებსაც. ეს მიმართულება ძლიერია ინსტიტუციურ და პოლიტიკურ დონეებზეც. მაგრამ ჩვენში ასევე ძლიერია იმ წარსულის მემკვიდრეობა (რომელსაც ზემოთ ევროპის შუა საუკუნეები დავარქვი), რომელშიც გავიზარდეთ და ასევე ის რეალობა, რომელსაც ველური არჩევნები და ასევე ველური ომი გვკარნახობს.

ამიტომ, ხშირია ვითარებები, როდესაც ერთი რეალობიდან მოსული მოქმედება მეორე რეალობის ენაზე ითარგმნება და გაიგება. ამიტომ ხშირად, თითქოსდა ერთმნიშვნელოვანი ქმედება - სწორედ ამ "თარგმანის" გამო - ჩვენს თავებში სრულიად საპირისპირო ან სრულიად სხვა, ამ ქმედებასთან არანაირი კავშირის მქონე მნიშვნელობას იძენს.

წარმოიდგინეთ თანამედროვე ადამიანი, რომელმაც საერთოდ არაფერი არ იცის გლადიატორების ბრძოლებზე (დამეთანხმებით, ასეთი ადამიანის წარმოადგენა არც თუ ისე ძნელია), მაგრამ არის ყოველგვარი wrestling-ის და ჯგუფური სპორტული, ძალისმიერი შეჯიბრებების მოყვარული. შემდეგ წარმოიდგინეთ, რომ ეს ადამიანი უყურებს გლადიატორების ბრძოლას. წარმოიდგენეთ ასევე, როგორი იქნება მისი ძალისხმევა მოათავსოს იმ საზღვრებში, რაც მან იცის, ის, რასაც უყურებს, და მისი მდგომარეობა, როდესაც შერკინება არაშემთხვევითი, გამიზნული და დაგეგმილი მკვლელობით (ან მკვლელობებით) დამთავრდება. ასევე, წარმოიდგინეთ საპირისპირო: გლადიატორების ბრძოლების ფანი თანამედროვე კრივის, ან რაგბის ყურებისას და მისი იმედგაცრუება და პროტესტი, როცა საბოლოოდ სიკვდილს არ ნახავს.

ჩვენ სწორედ ასეთ მდგომარეობაში აღმოვაჩენთ ხოლმე თავს. ასე იყო, როდესაც ე.წ. პროდასავლური ახალგაზრდა ინტელექტუალები ღიმილით ხვდებოდნენ მტკიცებას, რომ ბადრი პატარკაციშვილი გადატრიალებას ამზადებდა; ასეა, როდესაც ძნელია - ხანდახან შეუძლებელიც კი, დაარწმუნო წინა საუკუნის პირველ ნახევარში დაბადებული ინტელექტუალები, რომ არჩევნები არ ყალბდება და რომ სოციოლოგია ცრუ-მეცნიერება არ არის, და ასეა, როდესაც ცდილობ დაარწმუნო ჩვენი საზოგადოების წევრები, რომ საგანმანათლებლო გადაცემა "დიდი ათეული" არ არის არჩევნები და რომ ეს ყველაფერი არ ეწყობა იმისათვის, რომ შედეგად ვთქვათ: აწ გარდაცვლილ ქართველებს შორის ვინ არის ყველაზე "მაგარი".

"დიდი ათეულის" შეჯიბრებად, და არა საგანმანათლებლო გადაცემად აღქმას სწორედ ამ "სხვადასხვა რეალობის მნიშვნელობების აღრევაში" აქვს თავისი საფუძველი: 2003 წლის შემდეგ, და მანამდეც, საქართველოში საეთერო დროის დიდი, თუ უდიდესი არა, ნაწილი ეთმობა გამოკითხვებს, კამათებს და კამპანიებს, რომლებიც ეძღვნება ერთი პოლიტიკოსის თუ პარტიის მეორეზე აღმატებულობის დამტკიცებას. საბოლოოდ ამ კამათების და კამპანიების წარმატებულობას თუ წარუმატებლობას ვასკვნით იმისდა მიხედვით, თუ რომელმა პოლიტიკოსმა ან პარტიამ მიიღო მეტი ხმა არჩევნებზე.

ჰოდა მაშინ რა ვქნათ, როდესაც გადაცემა "დიდი ათეული" ზუსტად იგივე მეთოდებს იყენებს, რასაც ტელევიზიები მაშინ, როდესაც პოლიტიკური შეჯიბრისათვის (არჩევნებისათვის) ემზადებიან? თუ ყველაფერი იგივეა, ოღონდ, ამ შემთხვევაში პოლიტიკოსების ადგილები აწ გარდაცვლილ, დიდ ქართველებს უჭირავთ? და თუ ჩვენ ჩვენს გამოცდილებაში ამ მეთოდების გამოყენება მხოლოდ პოლიტიკოსების მიერ და პოლიტიკოსებისათვის გვინახავს? ხომ სრულიად ბუნებრივია, რომ ჩვენ ჩვენი გამოცდილებით გადავთრგმნით ამ, XX-XXI საუკუნის პროდუქტს XIX საუკუნის ველური არჩევნების ენაზე და ვიტყვით, რომ პირველი არხი "დიდი ათეულის" საშუალებით კიდევ ერთ წინასაარჩევნო კამპანიას ეწევა. თუკი ამ ლოგიკას გავყვებით, შემდეგ უნდა ითქვას, რომ თუკი ვირჩევთ ერთს მრავალთაგან, ე.ი. ვირჩევთ პრეზიდენტს, და თუკი მას გარდაცვლილებს შორის ვირჩევთ, ე.ი. ვირჩევთ ზეციური საქართველოს პრეზიდენტს. რა თქმა უნდა ეს უაზრობაა - მაგრამ ასევე უაზრობაა, როდესაც საზოგადოების წევრები სერიოზულად დავფიქრდებით იმაზე, არის თუ არა "დიდი ათეული" დიდი ქართველების შეჯიბრება ერთმანეთთან.

საეკლესიო ცხოვრება გამიჯნულია საეროსაგან და საკუთარი წესებით იმართება. როდესაც ეკლესიის წარმომადგენლები შეშფოთებას გამოხატავენ წმინდანების სახელების არასათანადოდ გამოყენების შესაძლებლობის გამო, ეს გასაგებია და მისაღები. მაგრამ როდესაც საზოგადოების წევრების ნაწილი თანხმდება იმ ფაქტზე, რომ "დიდ ათეულში" შეჯიბრი (არჩევნების პროცესი) მართლაც არსებობს და ამის სათანადოობა-არასათანადოობაზე იწყებს მსჯლობას, ეს, სხვა არაფერია, თუ არა ხედვის ხელოვნური დავიწროება და სურვილი - მხოლოდ საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით იმსჯელო იმის შესახებ, რაც ხდება. რა თქმა უნდა სასაცილოა ვიფიქროთ, რომ "დიდი ათეული" ზეციური საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებია. ისევე, როგორც იმის ფიქრი, რომ ამ გადაცემის შედეგად დავით აღმაშენებელი ან ზვიად გამსახურდია ილია ჭავჭავაძეზე "მაგარი" აღმოჩნდება.

"დიდი ათეულის" განხილვისას და შეფასებისას იმ ცოდნიდან უნდა გამოვიდეთ, რომელიც საფუძვლად უდევს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვას, რაც თავის მხრივ შეიძლება იყოს როგორც პოლიტიკური კამპანიისას, ასევე, საგანმანათლებლო გადაცემებში გამოყენებული მეთოდი:

უპირველეს ყოვლისა, "დიდი ათეული" არის კვლევა, იმ მეთოდების გამოყენებით, რომელიც თანამედროვე სოციალურ მეცნიერებას გააჩნია. ამ კვლევის მიზანია დაადგინოს, თუ რამდენად იცნობს საქართველოს მოსახლეობა საქართველოს ისტორიის შემოქმედებს, რამდენად აინტერესებს საქართველოს მოსახლეობას საკუთარი ისტორია და ვის თვლიან ამ ისტორიის შემქმნელებად; თუკი ამ პროგრამის შედეგად ჩვენ დავინახავთ, რომ ზოგიერთ მოღვაწეს მოსახლეობა არასაკმარისად იცნობს, ცხადია, საით უნდა მიემართოს ძალისხმევა ამ ნაკლის გამოსასწორებლად; ამავე დროს - "დიდი ათეული" საგანმანათლებლო პროექტია - ეს არის საშუალება ყველა დაინტერესებულისათვის, შევიდეს ვებ-გვერდზე და მიიღოს მეტი ინფორმაცია საკუთარი ისტორიის შესახებ; ამავე დროს, "დიდი ათეული" საკუთარი აზრის გამოხატვის და მისი დაცვის ვარჯიშიცაა და ამავე დროს - არგუმენტების მოსმენაში, შედარებაში და გაზიარებაში გავარჯიშებაც; თუკი ვინმე ამ დროს ეჯიბრება ერთმანეთს - ეს საკუთარი თვალსაზრისის დამცველებია გადაცემის მსვლელობისას და არა სხვა ვინმე.

შესაბამისად, ამ პროგრამის დასრულების შემდეგ ბევრი ჩვენგანი საინტერესო დასკვნებს გააკეთებს: უპირველეს ყოვლისა ისინი, ვინც ჩათვლის, რომ ქართველები არასაკმარისად იცნობენ ამა თუ იმ დიდ ქართველს და/ან რომ მის შესახებ მოხმობილი არგუმენტები არ იყო დამაჯერებელი; ასევე ისინი, ვინც ჩათვლის, რომ ქართველებს არა აქვთ არგუმენტების მოსმენის ჩვევა, ან პირიქით, რომ ქართველები ზედმეტად უსმენენ არგუმენტებს და ა.შ.

მაგრამ სრულიად წარმოუდგენელია, რომ ვინმე (ვინც გიჟი არ არის, რა თქმა უნდა) ამ პროგრამის დასრულების შემდეგ, ისტორიის სახელმძღვანელოს ჩაუჯდეს და დაიწყოს მისი რევიზია "დიდი ათეულის" შედეგების მიხედვით.

საბერძნეთის საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტი

საბერძნეთის საპარლამენტო დელეგაცია ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებსა და სასულიერო პირებს შეხვდება.

დღეს დელეგაცია სამების საკათედრო ტაძარს მოინახულებს. ხოლო შემდეგ დაგეგმილია შეხვედრა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელ მიხეილ მაჭავარიანთან და ასევე ოპოზიციურ ფრაქციებთან. დღესვე 16.00 საათზე კი საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფი დელეგაცია საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძესთან გამართავს შეხვედრას. ხოლო 17.00 საათზე კანცელარიაში საქართველოს პრემიერ მინისტრ გრიგოლ მგალობლიშვილთან შეხვედრა იგეგმება.

ვიზიტის ფარგლებში საბერძნეთის დელეგაცია 18.15 საათზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს შეხვდება.

ოთხშაბათ სტუმრები გორში გაემგზავრებიან, სადაც შიდა ქართლის ხელმძღვანელობას შეხვდებიან და რუსეთის აგრესიის დროს დაზარალებულ ადგილებს მოინახულებენ. დელეგაცია ქუთაისს და ბათუმსაც ეწვევა.

საბერძნეთის საპარლამენტო დელეგაცია საქართველოს ხუთშაბათს, 15.30 საათზე დატოვებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

ნოდარ გრიგალაშვილი - პრეზიდენტის ახალი მრჩეველი

წინა მოწვევის პარლამენტის წევრი, ბორჯომის მაჟორიტარი დეპუტატი, პარლამენტის განათლების, კულტურის, მეცნიერებისა და სპორტის კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე ნოდარ გრიგალაშვილი საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველად დაინიშნა.

როგორც ნოდარ გრიგალაშვილმა განაცხადა, პრეზიდენტმა მისი მრჩევლად დანიშვნის შესახებ ბრძანებულებას ხელი 2008 წლის 19 დეკემბერს მოაწერა.

გრიგალაშვილი პრეზიდენტის წინაშე კონკრეტული პროგრამით უახლოეს დღეებში წარდგება.

"მე ვიქნები პრეზიდენტის მრჩეველი იმ საკითხებში, რაზეც პარლამენტში ვმუშაობდი ანუ განათლების, მეცნიერების, სპორტის საკითხებში. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნულ თანამდებობაზე ჩემს დანიშვნას ხელი 19 დეკემბერს მოეწერა, ჯერ პრეზიდენტთან კონსულტაციები არ მქონია. ვაპირებ უახლოეს დღეებში წარვდგე პრეზიდენტთან კონკრეტული პროგრამით," - განუცხადა "ჯი-ეიჩ-ენს" ნოდარ გრიგალაშვილმა.

ცნობისათვის - პრეზიდენტს ცხრა მრჩეველი ჰყავს. ესენი არიან: ალექსანდრე ღონღაძე, ნატალია ყანჩელი, თამარ კინწურაშვილი, ვან ბაიბურთი, პეტრე მეტრეველი, მუბარის კარაევი, რომან გოცირიძე, კონსტანტინე კემულარია, ნოდარ გრიგალაშვილი. **ჯი-ეიჩ-ენი**

შეზღუდვები საავტომობილო გზებზე

საგზაო დეპარტამენტის ინფორმაციით, დიდთოვლობის გამო საავტომობილო გზებზე კვლავ შეზღუდვებია.

მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის გუდაური(ფოსტა)-კობის მონაკვეთზე მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა აკრძალულია, ხოლო დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით. ორი და მეტი წამყვანი ხიდის მქონე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

ჟინვალი-ბარისახო-შატილის საავტომობილო გზის 29-52 კმ-ებზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით, ხოლო ორი და მეტი წამყვანი ხიდის მქონე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

ზუგდიდი-ჯვარი-ხაიში-მესტია-ლასდილის საავტომობილო გზის 90-188 კმ-ებზე (დიზი-უშგულის მონაკვეთი) ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით, ხოლო ორი და მეტი წამყვანი ხიდის მქონე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

ამავე გზის 1-90 კმ-ებზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

ქუთაისი-ტყიბული-ამბროლაურის საავტომობილო გზის 37-73 კმ-ებზე (ნაქერალას უღელტეხილი) მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა აკრძალულია, ხოლო დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით. ორი და მეტი წამყვანი ხიდის მქონე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

ქუთაისი-წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხი-ლასდილის საავტომობილო გზის 95-130 კმ-ებზე (ლენტეხი-მელეს მონაკვეთი) ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია, ხოლო ორი და მეტი წამყვანი ხიდის მქონე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

ამავე გზის 0-95 კმ-ებზე (ქუთაისი-ლენტეხის მონაკვეთი) ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

ფონიჭალა-მარნეული-გუგუთის (სომხეთის საზღვარი) საავტომობილო გზის 74-97 კმ-ებზე მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის და დიდი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა აკრძალულია, ხოლო დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

დიდი დმანისი-დმანისი-ბედიანის საავტომობილო გზის 17-70 კმ-ებზე მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის და დიდი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა აკრძალულია, ხოლო დანარჩენი ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის 90-101 კმ-ებზე ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით. მაღალი გამავლობის ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია. **ჯი-ეიჩ-ენი**

პოსტ-მოდერნული საქართველო

უპიროსო გამარჯვება

გიგა ზედანია

აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ომი უცნაური იყო იმ აზრით, რომ მასში წააგო ყველამ - წააგო ოსმა ხალხმა, რომელმაც შედეგად მიიღო ერთ-ერთი ყველაზე რეპრესიული რეჟიმის განუსაზღვრელი დროით ბატონობა; წააგო საქართველომ (სამხედრო თვალსაზრისით); წააგო რუსეთმა (პოლიტიკურად); წააგო აშშ-მ (გეოპოლიტიკურად).

მოიგო ერთადერთმა ადამიანმა - ედუარდ კოკოითმა, რომელმაც საკუთარი ტერორისტული რეჟიმი საგრძნობლად გაამყარა.

ასეთივე პარადოქსულ ვითარებასთან გვაქვს საქმე გადაცემა "დიდი ათეულის" შესახებ ატეხილი აჟიოტაჟის შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ ერთი რიგითი გადაცემის არსებობა-არარსებობა, ერთი შეხედვით, ბევრს არაფერს უნდა ცვლიდეს, მისი დახურვით წააგებს ყველა:

ა) წააგებს მოსახლეობა, რომელსაც არ ეძლევა საშუალება, თვალი მიადევნოს საგანმანათლებლო პროექტს (ახლა მის ხარისხზე ნუ დავიწყებთ დავას, შევთანხმდეთ, რომ ქართულ მას-მედიაში შემეცნებითი პროექტების დიდი ნაკლებობაა);

ბ) წააგებს პირველი არხი, რომელიც საბოლოოდ დაკარგავს საზოგადოებრივი მაუწყებლობის იმიჯს. საქმე ისაა, რომ ეკლესიას სრული უფლება აქვს მოითხოვოს, რაც საჭიროდ მიაჩნია, მაგრამ მეორეა, შეასრულებს თუ არა ვინმე ამ მოთხოვნას. კათოლიკური ეკლესია, მაგალითად, ითხოვს აბორტის აკრძალვას იმ შემთხვავაშიც კი, თუ ორსულობა გაუპატიურების ან ინცესტის შედეგია. არ გეგონოთ, რომ ამ მოთხოვნას დასავლეთ ევროპაში ვინმე მაინცდამაინც უგდებდეს ყურს. თუ დაიხურა გადაცემა, ეს, პირველ რიგში, საზოგადოებრივი არხის სისუსტე იქნება, რომელიც ვერ უძლებს ზეწოლას, თუმცა ამისათვის ყველანაირი ინსტრუმენტი აქვს;

გ) წააგებენ ლიბერალები, რომელთა რიცხვი საქართველოში შეიძლება დიდი არ იყოს, მაგრამ რომლებსაც ყველაზე უკეთ შესწევთ საკუთარი აზრის არტიკულირების უნარი და ყველაზე უკეთ ესმით, როგორ ფუნქციონირებს თანამედროვე საზოგადოება და თანამედროვე სახელმწიფო. ამ ლიბერალთა უმრავლესობას გადაცემა "დიდი ათეული" სულაც არ ეპიტნავება - ზოგს ღირებულებითი ორიენტაციის, ზოგს - კიდევ სხვა რამის გამო. მაგრამ ლიბერალები ფიქრობენ, რომ გადაცემის დახურვით შეიქმნება პრეცედენტი, რომელიც შემდეგ შეიძლება გავრცელდეს ნებისმიერ სხვა გადაცემაზე. და არა მხოლოდ გადაცემაზე. შედეგად საფრთხის ქვეშ აღმოჩნდება ინდივიდის თავისუფლება - ლიბერალური ფილოსოფიის ქვაკუთხედი.

დ) დაბოლოს, წააგებს მართლმადიდებელი ეკლესია, რომლის გავლენაც ამ გადაცემის დახურვით გრძელვადიან პერსპექტივაში კი არ გაიზრდება, არამედ დაეცემა. და აი, რატომ:

საქმე ისაა, რომ პოსტ-საბჭოთა საქართველოში ეკლესია სხვაგვარად განვითარდა, ვიდრე პოსტ-საბჭოთა რუსეთში. თუ რუსეთში ეკლესია სახელმწიფოს შეერწყა (რაც გამოწვეულია სახელმწიფოს, "დერჟავის" პოპულარობით რუსი ხალხის ცნობიერსა და არაცნობიერში), საქართველოში ეკლესია საზოგადოებას შეერწყა და არა - სახელმწიფოს (რაც გამოწვეულია ქართველთა საუკუნოვანი ეჭვით სახელმწიფოს მიმართ). ის უზარმაზარი ნდობა, რომელსაც ქართველები უცხადებენ ეკლესიას (80-იდან 90 პროცენტამდე, სხვადასხვა სოციოლოგიური კვლევების მიხედვით), დაკავშირებულია ერთ საკმაოდ მარტივ ვითარებასთან - ეკლესია პირდაპირ თითქმის არასდროს ერევა პოლიტიკურ პროცესებში (ანუ სფეროში, რომელიც არის კონფრონტაციისა და, შესაბამისად, საზოგადოების ნაწილის ნდობის დაკარგვის ადგილი), ინარჩუნებს რა იმ სულიერი თუ მორალური ინსტანციის ავტორიტეტს, რომელიც მოდავე პარტიებზე მაღლა დგას. როგორც კი ეს ვითარება შეიცვლება, როგორც კი ეკლესია ღიად ჩაერევა საერო საქმეების გადაწყვეტაში, ქართული საზოგადოების ნაწილი იმწამსვე დაიწყებს მისგან დისტანცირებას - როგორც ეს ხდებოდა და ხდება ყველა სხვა საერო ინსიტუტის შემთხვევაში. ასეთია დღევანდელი ვითარება - პოლიტიკა, სამწუხაროდ, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სხვა ფორმაზე დომინირებს.

გასაგებია, რომ შეიძლება დადგეს სიტუაცია, როდესაც ეკლესიას მიზანშეწონილად ჩათვლის საკუთარი სიმბოლური კაპიტალის სასწორზე შეგდებას კონკრეტული პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. თუ ასეთი მდგომარეობა შეიქმნა, მასზე მაშინ გვექნება მსჯელობა. მაგრამ დღეს სახეზე სხვაგვარი ვითარებაა - საქმე ეხება ერთ ჩვეულებრივ გადაცემას, არანაირად რომ არ გამოირჩევა ისეთი ღირებულებების პროპაგანდით, რომელიც რამენაირად შეეწინააღმდეგებოდა რელიგიის დომინანტურობით აღბეჭდილ საზოგადოებრივ სტატუს-კვოს. თუ მოხდა და გადაცემა "დიდი ათეული" დაიხურა, ეს იქნება პიროსის გამარჯვება ეკლესიისათვის. რატომ? იმიტომ, რომ საზოგადოების საგრძნობ ნაწილში უკვე გაჩნდა განცდა - ეკლესია გადაცემის დახურვისათვის იყენებს საკუთარ ავტორიტეტს, მაგრამ რაციონალურ დებატებში ვერ ახერხებს საკუთარი პოზიციის არგუმენტირებას. წმინდანებს შორის შეჯიბრის დაუშვებლობა აღიქმება, როგორც საკმაოდ ეკზოტიკური აზროვნების პროდუქტი, აზროვნებისა, რომელიც აუცილებლად უნდა ჩაანაცვლოს უფრო თანამედროვე მსოფლმხედველობამ. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის სრულიად გაუგებარია, რატომ არ შეიძლება მსჯელობა იმაზე, ვინ უფრო დიდი მეფე იყო, დავითი თუ თამარი, ან ვინ უფრო დიდი საზოგადო მოღვაწე იყო, ილია ჭავჭავაძე თუ ექვთიმე თაყაიშვილი. საზოგადოებამ შეიძლება ანგარიში გაუწიოს ეკლესიის პოზიციას, მაგრამ ის მას არ იზიარებს. საზოგადოებრივისა და რელიგიურის ერთობას, რომელიც დისკომფორტს აქამდე მხოლოდ ლიბერალებს უქმნიდა, გადაცემის მიმართ ეკლესიის ამ პოზიციის გამო ბევრად უფრო ფართო ბზარი უჩნდება. როგორც კი გახშირდება აკრძალვები ეკლესიის მხრიდან, აუცილებლად გაიზრდება ადამიანთა რიცხვი, რომელთაც გაუჩნდებათ პროტესტი ამ აკრძალვების მიმართ. შესაბამისად, აუცილებლად დაეცემა ეკლესიის ნდობაც. დღეს საქართველოში რელიგიურობის გავრცელების არეალი პირდაპირპროპორციულია ეკლესიის მოთხოვნების კომფორტულობისა. როგორც კი მოიკლებს ეს კომფორტულობა (ანუ იმის განცდა, რომ არსებობს გარკვეული "ბუნებრივი" თავსებადობა მართლმადიდებლობასა და ცხოვრების ქართულ წესს შორის), მაშინვე მოიკლებს ადამიანთა რიცხვი, რომელიც უპირობოდ აღიარებს ეკლესიის ავტორიტეტს. ამით ქრისტიანულ უწყებას, ცხადია, არაფერი დააკლდება, მაგრამ ეკლესიისათვის, როგორც ორგანიზაციისათვის, რომელიც არაა შერწყმული სახელმწიფოსთან (განსხვავებით, მაგალითად, რუსეთის შემთხვევისგან), ნდობის რეიტინგი ყველაზე მნიშვნელოვანი რესურსია. გაუგებარია, რატომ უნდა სჭირდებოდეთ ეკლესიის მესვეურებს ამ რესურსის ნაწილის დაკარგვა ერთი ჩვეულებრივი გადაცემისათვის, რომელიც მათ, პირდაპირ ვთქვათ, არანაირ რეალურ პრობლემას არ უქმნის.

სიტუაციის ირონია კი იმაში მდგომარეობს, რომ, განსხვავებით რუსეთ-საქართველოს ომისგან, არც ის ერთადერთი ადამიანი ჩანს, ვინც ამ აჟიოტაჟით რამეს მოიგებდა. ინტრიგა გადაცემის ირგვლივ, როგორც ჩანს, მანანა არჩვაძის მიერ აგორდა, რომლის ინტერესსაც წარმოადგენდა ზვიად გამსახურდიასათვის პირველი ადგილის უზრუნველყოფა დიდ ქართველთა ათეულში. გადაცემის შეჩერების შედეგად წერტილი დაესმება ამ გეგმასაც.

გადაცემა "დიდი ათეულის" დახურვის შემთხვევაში წააგებს ყველა დაინტერესებული მხარე. ხაზს ვუსვამ იმას, რომ მე ახლა არ ვაფასებ სიტუაციას ღირებულებითი თვალსაზრისით, არამედ ვცდილობ მის გაანალიზებას კონკრეტული ჯგუფებისა და ორგანიზაციების რეალური ინტერესების პერსპექტივიდან.

P. S. სტატიის წერის პროცესში გადაცემის ვებ-საიტზე შევედი, რომელიც გვამცნობს, რომ დიდ ქართველთა ორმოცდაათეულში აღმოჩნდა რვა მეფე, თერთმეტი სასულიერო პირი, ხელოვნების ჩვიდმეტი მოღვაწე და ერთი სპორტსმენი. პრინციპში, სულაც არ იქნებოდა აზრს მოკლებული, რომ ეს თერთმეტივე სასულიერო პირი ამოღებული ყოფილიყო სიიდან - როგორც ეკლესიის მიმართ გამოთქმული პატივისცემის ნიშანი. ეს იქნებოდა იმის აღიარება, რომ ეკლესიის მოღვაწეთა რანჟირება თავად საეკლესიო იერარქების საქმეა და არა - დემოკრატიული პროცედურებისა. ხაზს ვუსვამ იმას, რომ ამ ნაბიჯს აზრი ექნება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ ამოღებულ იქნებიან ისინი, ვინც სიაში შევიდა, როგორც სასულიერო მოღვაწეები. ერთადერთი, რაც ეჭვს არ იწვევს - სიაში აუცილებლად უნდა დარჩნენ სიკვდილის შემდეგ წმინდანებად შერაცხული საერო ფიგურები (მაგალითად, დავითი, თამარი, ილია), რომელთა გარეშე საკუთარი ქვეყნის ისტორია ვერც ქრისტიან და ვერც არაქრისტიან ქართველს ვერ წარმოუდგენია. სხვა საკითხია, რამდენად მოუნდება სასულიერო პირების სიიდან ამოღება თავად ეკლესიას - ეს ნაბიჯი ხომ სასულიერო და საერო სფეროებს შორის დიდი გამიჯვნის დასაწყისი იქნებოდა, ასეთი გამიჯვნა კი სრულიად შეცვლიდა ინსტიტუციურ ბალანსს ქვეყანაში.

ილია მეორე: ძალა ღვთისა გაგვაერთიანებს

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სადღესასწაულო წირვის შემდეგ, ქადაგებისას გამთლიანებული საქართველო, აფხაზეთისა და ცხინვალის მოსახლეობა დალოცა.

"მე მინდა, გამთლიანებული საქართველო დავლოცო. მინდა, დავლოცო აფხაზეთისა და ცხინვალის მოსახლეობა. ჩვენ ვლოცულობთ თქვენთვის. ჩვენ გვჯერა და გვწამს, რომ მალე ერთად ვიქნებით. ძალა ღვთისა გაგვაერთიანებს ჩვენ," - ბრძანა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ.

ჯი-ეიჩ-ენი

ინფორმაციის თავისუფლება საქართველოში

"საზოგადოება, რომელმაც თავისი ფუნქცია უნდა განახორციელოს, სათანადოდ უნდა იყოს ინფორმირებული. ხოლო საზოგადოება, რომელიც არ არის ინფორმირებული, შესაბამისად, არ არის ჭეშმარიტად თავისუფალი," - ეს მთავარი არგუმენტია საფუძვლად დაედო ინფორმაციის თავისუფლების აუცილებლობას. მსოფლიოში დიდი ხანია აღარავინ დავობს იმაზე, რომ აზრის თავისუფლად გამოხატვისა და სახელმწიფო აპარატში არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გარეშე, დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობა წარმოუდგენელია.

თამარ კაკიტაძე

ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონი უკვე მსოფლიოს 63 ქვეყანაშია მიღებული, არადა, სულ რაღაც 15 წლის წინ ეს კანონი მხოლოდ 12 ქვეყნაში მოქმედებდა. ინფორმაციის თავისუფლება 2005 წელს ადამიანის სხვა ფუნდამენტურ უფლებებს გაუტოლდა. ადამიანის უფლებების ინტერ-ამერიკულმა კომისიამ ერთპიროვნულად ცნო ადამიანის უფლება - ჰქონდეს სახელმწიფოს მიერ დაცული ყველა ინფორმაციის მიღების საშუალება. 2005 წლის მაისში კი ევროპის საბჭომ განაცხადა, რომ იზრუნებს ინფორმაციის თავისუფლების ადამიანის ძირითად უფლებათა ერთ-ერთ უფლებად აღიარებაზე. "ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის" მე-19 მუხლში ნათქვამია: "ყოველი ადამიანი სარგებლობს აზრისა და გამოხატვის თავისუფლებით; ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას, დაუბრკოლებლად მისდევდეს თავის მრწამსს და მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ნებისმიერი საშუალებით, სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად". იგივე პრინციპი ასახულია სხვა საერთაშორისო ნორმებში, რომელსაც საქართველოც არის მიერთებული.

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლით: "ყოველ ადამიანს აქვს უფლება - თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით."

კონსტიტუციის 41-ე მუხლით კი, "საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს, კანონით დადგენილი წესით, გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე, იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას."

სწორედ, კონსტიტუციით დამკვიდრებული პრინციპის უზრუნველსაყოფად 1999 წლის 25 ივნისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო "ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი", რომელიც შეიცავს თავს "ინფორმაციის თავისუფლების" შესახებ. ამით საჯაროობას დაექვემდებარა: "ყველა ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია." ანუ საჯარო დაწესებულებაში არსებული ყველა ინფორმაცია, გარდა კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

"საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ" ჩაატარა კვლევა იმ პრობლემებზე, რომელიც საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებით არსებობს.

"მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაციის თავისუფლების პრინციპები პოზიტიურად აისახა საქართველოს კონსტიტუციასა და ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში, პრაქტიკაში ამ უფლების დანერგვა რთული აღმოჩნდა. პრობლემები ორი სახისაა: საკანონმდებლო ხარვეზები და კანონდარღვევები," - ასეთია "ახალგაზრდა იურისტთა" მოსაზრება.

საია-ს ექსპერტების მოსაზრებით, ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებით, საქართველოს შიდა კანონმდებლობაში გარკვეული ხარვეზები "ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მიღების დროსაც არსებობდა, ბევრი მოგვიანებით განხორციელდა, ზოგი კი არასწორი პრაქტიკის შედეგად დამკვიდრდა.

კერძოდ, ინფორმაციის თავისუფლებისათვის ერთ-ერთი სერიოზული შემაფერხებელი

გარემოება არის კანონი "სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ". ექსპერტები აცხადებენ, რომ საქართველოში მოქმედი "სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" კანონი ცალსახად უკან გადადგმული ნაბიჯია.

"სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ კანონი სტრუქტურითა და შინაარსით მეტისმეტად წაგავს რუსეთის 1993 წლის კანონს სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ. თანამდებობის პირებს თითქმის შეუზღუდავი უფლება აქვთ მინიჭებული, მიაკუთვნონ ინფორმაცია სამხედრო, ეკონომიკურ, სამეცნიერო, საგარეო ურთიერთობების, დაზვერვის, იუსტიციის და წესრიგის სფეროს," - ნათქვამია ერთ-ერთ საერთაშორისო ორგანიზაციის "არტიკლე 19"-ის ანგარიშში.

"ახალგაზრდა იურისტთა" აზრით, ინფორმაციის გაცემაზე გარკვეული პრობლემები შეიქმნა მას შემდეგ, რაც ცვლილებები განხორციელდა "ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში", რომლის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა წერილობით მხოლოდ იმ შემთხვევაში არის სავალდებულო, თუკი დაინტერესებული მხარე მოითხოვს ან შეიზღუდება პირის კანონიერი ინტერესები.

ექსპერტ თინათინ ხიდაშელის აზრით: **"სასურველი იქნებოდა, კანონმდებელს სავალდებულო გაეხადა ყველა ზეპირად გამოცემული აქტის წერილობით გაფორმება იმის მიუხედავად, მოითხოვს ამას დაინტერესებული პირი იმ მომენტში, თუ - არა. ასეთი მიდგომა ქვეყანაში სამართლებრივი წესრიგის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ამასთანავე, კანონის მოქმედ და შემოთავაზებულ რედაქციებში ვკითხულობთ, რომ წერილობით გამოცემა სავალდებულოა, როდესაც აქტი "ზღუდავს პირის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს,"** თუმცა, არ არის პირიქით - პირის უფლებებში აღმჭურველი ზეპირი აქტის გამოცემის ვალდებულება, რაც შესაძლებელია თანამდებობის პირთა მხრიდან ინტერესთა კონფლიქტის, ნეპოტიზმის ან ფავორიტიზმის ნიშნების შემცველი ზეპირი აქტების საზოგადოებისაგან დაფარვის საშუალებად იქცეს.

ამიტომ, ჩემი აზრით, აუცილებელია ყველა აქტის წერილობით გამოცემის ვალდებულების დაწესება," - აცხადებს თინა ხიდაშელი.

დღემდე პრობლემურია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მესამე თავის დამრღვევთა პასუხისმგებლობის საკითხი. მართალია, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი საჯარო მოხელეებს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ავალებს და ზუსტად ადგენს, თუ რა სახის ინფორმაცია და რა ვადაში უნდა მიიღოს დაინტერესებულმა პირმა, თუმცა, იმავდროულად ადმინისტრაციული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს არავითარ პასუხისმგებლობას მოცემული ნორმების შეუსრულებლობისათვის.

ამიტომ, ექსპერტთა მოსაზრებით, მართებული იქნებოდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დამატებების შეტანა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მესამე თავის მოთხოვნების დარღვევისათვის ადმინისტრაციული გადაცდომის კვალიფიკაციის მინიჭება.

ინფორმაციის თავისუფლების პრინციპებთან წინააღმდეგობაში მოდის 2004 წლის 11 თებერვლის კანონი "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ", რომლის მიხედვით, მთავრობის სხდომა, როგორც წესი, დახურულად გამოცხადდა. არადა, ზოგად ადმინისტრაციული კოდექსი სხდომათა საჯაროობას ცალსახად მოითხოვს.

საჯარო ინფორმაციის მოპოვებისათვის დაწესებულია მინიმალური გადასახდელი, რომელიც დარეგულირებულია საქართველოს კანონით "საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ", რომლის დაცვაც სავალდებულოა.

"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ" გამოკითხვა ჩაატარა 48 საჯარო დაწესებულებაში. შედეგებმა აჩვენა, რომ საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელთან დაკავშირებით, სრულიად არაერთგვაროვანი პრაქტიკა არსებობს. ზოგიერთ დაწესებულებაში თუ პრობლემა მინიმუმამდეა დაყვანილი, რიგ საჯარო დაწესებულებებში აცხადებენ, რომ ისინი საერთოდ არ ითხოვენ მოსაკრებელს საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღებისათვის, რაც იურისტთა აზრით, კანონდარღვევაა.

ორგანიზაციის განცხადებით, საჯარო ინფორმაციის გაცემისას პრობლემას ქმნის ბიუროკრატიული აპარატი. მაგალითად, როგორც საია-ს წარმომადგენლებმა გაარკვიეს, იუსტიციის სამინისტროში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელმა პირმა წერილობით უნდა მიმართოს ეკონომიკური დეპარტამენტის ცენტრალურ ბუღალტერიას, შემდეგ ეკონომიკურმა დეპარტამენტმა, ამ წერილობითი მიმართვის საფუძველზე, უნდა უზრუნველყოს მოსაკრებლის მიღება სალაროში და არაუგვიანეს სამი სამუშაო დღისა, შეიტანოს ეროვნულ ბაკში. ამგვარი წერილობითი მიმართვის აუცილებლობა არსებობს კონტროლის პალატაშიც.

"გარდა კანონმდებლობაში არსებული ხარვეზებისა, საჯარო დაწესებულებების მხრიდან ხშირად ვხვდებით ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მესამე თავის დარღვევის ფაქტებს, ძირითადად კი - საჯარო ინფორმაციის დაფარვასა და დაუსაბუთებელ უარს მის გაცემაზე, ასევე, "ინფორმაციის თავისუფლების" თავის მოთხოვნების სრულ იგნორირებას," - აღნიშნულია "ახალგაზრდა იურისტთა" კვლევაში, სადაც მოყვანილია რამდენიმე მაგალითი. კერძოდ, საია-ს ექსპერტების განცხადებით, საჯარო ინფორმაციის დაფარვის მცდელობას წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ კერძო ფონდების დაფუძნების პრაქტიკა.

როგორც ცნობილია, ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ დაფუძნებული იყო "ქართული არმიის განვითარების ფონდი" და "სამართალდამცავი ორგანოების განვითარების ფონდი". "ახალგაზრდა იურისტების" განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის ნორმების შესაბამისად, ორივე მათგანი წარმოადგენდა კერძო სამართლის იურიდიულ პირს. ორივე ფონდის დამფუძნებელი იყო სახელმწიფო დაწესებულება (სამინისტროები, გენერალური პროკურატურა) და ისახავდა საჯარო მიზნებს (შეიარაღებული ძალების აღმშენებლობას, საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესაბამისად სამხედრო თანამშრომლობის განხორციელებას, სამხედრო კადრების მომზადების ხელშეწყობას. განსაკუთრებულ შემთხვევებში, თავისი შესაძლებლობის ფარგლებში, სახელმწიფოს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებისათვის დახმარების აღმოჩენას და ა.შ.), შესაბამისად, მათი საჯარო ხასიათიდან გამომდინარე, ცალსახად ექვემდებარებოდნენ ინფორმაციის თავისუფლების მოთხოვნებს. თუმცა, "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისათვის" მხოლოდ სასამართლოს მეშვეობით გახდა შესაძლებელი ფონდების წესდების მოპოვება. სხვა სახის ინფორმაცია კი სრულიად დაფარული აღმოჩნდა იმ მოტივით, რომ ფონდები არ წარმოადგენდა საჯარო დაწესებულებებს და მათგან ინფორმაციის მოპოვება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად შეუძლებელია.

საჯარო დაწესებულებების მხრიდან ინფორმაციის დაფარვის კიდევ ერთი გზა არის ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა, იმ მოტივით, რომ საჯარო დაწესებულება ინფორმაციას არ ფლობს.

ამის მაგალითია, "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" 2005 წლის 16 ნოემბრის N4-1292 და 2006 წლის 12 იანვრის N1-26 განცხადებები, რომელთა თაობაზე მთავრობის კანცელარიის პასუხი იყო "ინფორმაციას არ ვფლობთ".

"საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას მხოლოდ ორი განცხადების გაგზავნა დასჭირდა იმის აღმოსაჩენად, რომ საქართველოს მთავრობამ სარეზერვო ფონდიდან, დროის ძალზედ მოკლე შუალედში, ისე განკარგა 18 124 000 ლარი, რომ გამცემი ინფორმაციასაც კი არ ფლობდა იმის თაობაზე, თუ რისთვის გამოყოფდა ზემოაღნიშნულ თანხას," - ნათქვამია საია-ს დასკვნაში.

"ახალგაზრდა იურისტებთა ასოციაციამ" ხუთი განცხადებით (საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის თაობაზე), ერთი ადმინისტრაციული საჩივარით და სამი სარჩელით ვერ შეძლო მიეღო ინფორმაცია საქართველოს მთავრობის 2006 წლის N474 და N545 განკარგულებებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილ 15 100 000 ლარზე.

ახალგაზრდა იურისტების ინფორმაციით, "არსებობს სფეროები, რომლებიც სრული საიდუმლოებით არის მოცული. ეს ძირითადად, ძალოვან უწყებებს ეხება, განსაკუთრებით კი, თავდაცვის სამინისტროს, საიდანაც ინფორმაციის მოპოვება ყველაზე რთულია".

"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" ყველაზე საინტერესო პრეცედენტი სწორედ თავდაცვის სამინისტროს უკავშირდება.

2007 წლის 6 თებერვალს "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ" საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის თაობაზე განცხადებით მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს და კანონით დადგენილი წესით მოითხოვა საჯარო ინფორმაციის გაცემა. განცხადების პასუხად თავდაცვის სამინისტროს კონვერტში ჩადებული მათივე წერილი მიიღეს.

ახალგაზრდა იურისტებმა შეისწავლეს, თუ რა მდგომარეობაა, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლთან დაკავშირებითაც, რომლის მიხედვით, ყოველი წლის 10 დეკემბერს საჯარო დაწესებულება ვალდებულია, წარუდგინოს ანგარიში საქართველოს პრეზიდენტს და პარლამენტს.

როგორც გაირკვა მხოლოდ 83-მა საჯარო დაწესებულებამ წარუდგინა ანგარიში საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტს კი - 90-მა. თუმცა, არც ამ კანონდარღვევისთვის მოთხოვეს ვინმეს პასუხი.

მიუხედავად იმისა, რომ საჯარო ინფორაციის მიღების კანონით დადგენილი მექანიზმები სუსტია და ხშირად იგნორირებულიც, ნებისმიერ პირს აქვს შესაძლებლობა, თავისი დარღვეული უფლების აღდგენისთვის იბრძოლოს.

საქართველოს კანონმდებლობით, საჯარო ინფორმაციაზე უარის შემთხვევაში, გასაჩივრების ორი გზა არსებობს: გასაჩივრება ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში და სასამართლოში.

"ახალგაზრდა იურისტთა" აზრით, ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული უფლების დაცვის თვალსაზრისით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა იმ ნორმის გაუქმება, რომლის თანახმადაც, ფიზიკური პირი ვალდებული იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში გადაეხადა სახელმწიფო ბაჟი, თუ მან არ გამოიყენა ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის უფლება.

"ეს ცვლილები ერთმნიშვნელოვნად ნათელს ხდის დაინტერესებული პირის მიმართ საკანონმდებლო მოთხოვნების დამძიმებას. ცვლილებების უარყოფითი შედეგი სწორედ ინფორმაციის თავისუფლების მოქმედებაზე აისახება, რადგან საკმოდ ბევრი მაგალითები მეტყველებს იმაზე, რომ საჯარო დაწესებულებები უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ მაშინ გასცემენ საჯარო ინფორმაციას, როდესაც დავა სასამართლოში ინაცვლებს. ამ ფონზე დამატებით ვალდებულებად ადმინისტრაციული საჩივრის სულ ცოტა ერთთვიანი განხილვის ვადის დადგენა მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ დაინტერესებულ პირს ერთმევა შესაძლებლობა დროულად მიიღოს მისთვის საჭირო ინფორმაცია და ისარგებლოს კონსტიტუციით მონიჭებული უფლებით," - აღნიშნულია საია-ს დასკვნაში.

ახალგაზრდა იურისტთა მონაცემებით, 2005 წლიდან დღემდე საჯარო ინფორმაციის ვერ მიღების გამო სასამართლოებში შეტანილია სულ 145 სარჩელი, ამათგან 73-ზე მიღებულია გადაწყვეტილება, ხოლო 72-ზე განჩინება.

30 ათასი ევროს ღირებულების საჩუქარი ზუგდიდის პოლიციას

გერმანიის ელჩი საქართველოში პატრიცია ფლორი რუსულ-ქართული კონფლიქტის შედეგად განადგურებულ ზუგდიდის პოლიციას 30000 ევროს ღირებულების ტექნიკურ აღჭურვილობას გადასცემს. როგორც გერმანიის საელჩოში აცხადებენ, გერმანიის მთავრობამ გამოთქვა სურვილი, ზუგდიდის პოლიციის განყოფილებას ტექნიკური აღჭურვილობით - კომპიუტერებით, პრინტერებით, მონიტორებითა და ტელეფონებით დახმარებოდა. აღნიშნულ ტექნიკას გერმანიის ელჩი საქართველოში პატრიცია ფლორი ზუგდიდის პოლიციის განყოფილებას საზეიმოდ გადასცემს. **პირველი**

დაღუპული ჯარისკაცის დედის ბრალდებები

აგვისტოს მოვლენების დროს დაღუპული ჯარისკაცის თამაზ ნიკიტინის დედა ნელი მჭედლიძე ხელისუფლებას უკანონო დევნაში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ ქვეყნიდან არ წავა. "არ მაპატიეს, რომ საკუთარი შვილი ღიად დავიტირე. საქართველოდან არსად წავალ," - განაცხადა მჭედლიძემ გამართულ პრესკონფერენციაზე.

დაღუპულის დედა დარწმუნებულია, რომ 7 აგვისტოს გორის პროზექტურიდან შვილი რომ არ გადმოესვენებინა, "სხვა დედების მსგავსად, მასაც მოატყუებდნენ და სხვის შვილს გაატანდნენ". "ჩემი შვილი სრულიად შიშველი ტომარაში ჩამიდეს და ისე გამომატანეს, ამის შემდეგ ამოვიღეხმა და სწორედ ეს არ მაპატიეს", - განაცხადა დაღუპული ჯარისკაცის დედამ. "მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის" წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ნელი მჭედლიძის მიმართ წაყენებული ბრალდება უსაფუძვლოა. "ნელი მჭედლიძის მიმართ ჯერ კიდევ გასულ წელს სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო. ეს საკმარისი არ აღმოჩნდა და რამდენიმე დღის წინ მას სრულიად უკანონოდ თაღლითობაში დასდეს ბრალი. მას იმ თანხის უკანონოდ მითვისებაში ადანაშაულებენ, რომელიც თავდაცვის სამინისტრომ მის ოჯახს კომპენსაციის სახით გადასცა. მჭედლიძეს გირაოს სახით 10 000 ლარის გადახდაც შესთავაზეს, რომლის ვადა 6 თებერვალს იწურება, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას პატიმრობა ემუქრება. თანხის გადახდის შემთხვევაში თავდებით გაათავისუფლებენ," - განმარტავენ მოძრაობის წევრები და შესაბამის ორგანოებსა და ადამიანის უფლებების დამცველებს მოუწოდებენ, ამ საკითხზე დაუყოვნებლივი რეაგირება მოახდინონ. **პირველი**

საგანგებო სიტუაციათა სამსახურის ინფორმაცია

გუშინ, გამთენიისას, თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირის №20-თან ავტოავარია მოხდა. ავტომანქანა "მერსედესი" "ოპელ ომეგას" შეეჯახა. შემთხვევის ადგილზე მაშველთა ბრიგადა გავიდა. მაშველებმა ავტომანქანა "მერსედესი" შუაზე გაჭრეს და მანქანაში მყოფი მამაკაცი გადმოიყვანეს. უცნობი მამაკაცი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ რესპუბლიკურ საავადმყოფოში მიიყვანა. გუშინვე, გამთენიისას, აღმაშენებლის გამზირის №141-ის საცხოვრებელ სახლს ცეცხლი გაუჩნდა. როგორც საგანგებო სიტუაციათა საქალაქო სამსახურის სამორიგეოში აცხადებენ, შემთხვევის ადგილზე 5 სახანძრო ბრიგადა გავიდა. ხანძრის შედეგად საცხოვრებელი სახლის სახურავი დაიწვა. შემთხვევის ადგილზე გასულ სახანძრო ბრიგადის თანამშრომლებმა ცეცხლის ლოკალიზება 20 წუთში მოახერხეს. ხანძარს მსხვერპლი არ მოჰყოლია. ხანძრის მიზეზად კი ელექტროსადენებში გამოწვეული მოკლე ჩართვა დასახელდა. **მედიანიუსი**

ერთ კვირაში რადიკალ ნაციონალისტთა 4 ჯგუფი დააკავეს

მოსკოვში, ერთ კვირის განმავლობაში რადიკალ ნაციონალისტთა 4 ჯგუფი დააკავეს. მოსკოვის შსს-ს სამმართველოს მონაცემებით, დაკავებულები (ძირითადად სტუდენტები) ეჭვმიტანილი არიან სლავური გარეგნობის არ მქონე ადამიანების მკვლელობაში, აფეთქებების მოწყობასა და თავდასხმებში. აღსანიშნავია, რომ რუსეთის პროკურატურის საგამოძიებო კომიტეტის მონაცემებით, დანაშაულის რიცხვი, რომელიც ექსტრემიზმთან არის დაკავშირებული, 2008 წლის მონაცემებით, წინა წელთან შედარებით - 40 პროცენტით გაიზარდა. კერძოდ, მხოლოდ "ეროვნული შუღლის" მუხლით 51 საქმეა აღძრული, რაც 2007 წლის მონაცემებს, სამჯერ აღემატება. **ჯი-ეიჩ-ენი**



გახსენება ავთო სხირტლაძე

საყვარელო შვილო, შენი წასვლიდან გავიდა ტკივილიანი, ცრემლებით სავსე 14 წელი, ეს ჩემთვის არ ყოფილა იოლი. ამბობენ, რომ დრო ყველაფრის მკურნალიაო. ეს ასე არ არის.

რაც დრო გადის, უფრო მენატრები, მიჭირს უშენობა. შენი უბედური მამა 14-ჯერ ხვდება 20 იანვარს, შენს დაბადების დღეს. სულ მგონია რომ როდესმე კარს შემოაღებ. ჩემო ერთადერთო, ჩემო იმედო, ჩემო საყვარელო შვილო.

შენი უბედური მამა

40-წლიანი პატიმრობა ყოფილ აგენტს

ამერიკის ფედერალური საგამოძიებო ბიუროს ყოფილ აგენტს ჯონ კონოლის, რომელსაც გამოძიება 1982 წელს ჩადენილ დანაშაულს ედავებოდა, მაიამის სასამართლომ 40-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. ყოფილი აგენტი ამჯერად მკვლელობაში თანამონაწილეობისთვის გაასამართლეს.



ამერიკის ფედერალური საგამოძიებო ბიუროს ყოფილ აგენტს მაიამის სასამართლომ 40-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა.

საქმე ისაა, რომ ჯონ კონოლი, რომელსაც მაფიასთან ჰქონდა მჭიდრო კავშირი, ჯერ კიდევ 2002 წელს, დამნაშავეებისთვის სამსახურებივი ინფორმაციის მიწოდებისთვის გაასამართლეს. ამ დანაშაულისთვის მას სასამართლომ 10 წლით პატიმრობა მიუსაჯა. მკვლელობასთან დაკავშირებული მისი დანაშაული კი 2005 წელს გამჟღავნდა. საუბარია ბიზნესმენ ჯონ კალაჰანის მკვლელობაზე.

როგორც სასამართლომ დაადგინა, მკვლელობის ჩადენაში ბანდიტებს ფედერალური საგამოძიებო ბიუროს აგენტის ჯონ კონოლის მიერ მიწოდებული ინფორმაცია დაეხმარა. 68 წლის ჯონ კონოლის ორივე სასჯელის მოხდა მოუწევს.

ყოფილმა აგენტმა სასამართლო პროცესზე კატეგორიულად უარყო ბიზნესმენის მკვლელობაში თანამონაწილეობა. რაც შეეხება მაფიოზებისთვის ინფორმაციის მიწოდებას, ყოფილი აგენტი ამ ბრალდებასაც კატეგორიულად უარყოფს და აცხადებს, რომ მას სამსახურებრივი მოვალეობისთვის არ გადაუჭარბებია და მაფიის წევრებთან ურთიერთობა მისი სამსახურებრივი მოვალეობის ნაწილი იყო.

ჯონ კონოლის ინტერესების დამცველი სასამართლო პროცესის მსვლელობისას ირწმუნებოდა, რომ მისი დაცის ქვეშ მყოფს მართლაც ჰქონდა ურთიერთობა მაფიის წევრებთან, ოღონდ არა საკუთარი სურვილით. ადვოკატის განმარტებით, მაფიასთან კავშირს ჯონ კონოლის საგამოძიებო ბიურო ავალებდა.

ბიზნესმენის მკვლელობაში თანამონაწილეობისთვის, ბრალდების მხარემ სასამართლო პროცესზე ყოფილი აგენტისთვის სამუდამო პატიმრობა მოითხოვა, თუმცა მოსამართლის გადაწყვეტილებით, მას 40 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. ამ სასჯელს ემატება ის ათი წელიც, რომელიც ჯონ კონოლის მაფიის წევრებისთვის ინფორმაციის მიწოდებისთვის მიუსაჯეს. ყოფილმა აგენტმა ბოლო სასამართლო სხდომაზე ჩვენების მიცემაზე უარი განაცხადა.

როგორც ბრალდების მხარე ირწმუნებოდა, ჯონ კონოლიმ მაფიოზები ჯეიმს ბალგერი და სტეფან ფლემი წინასწარ გააფრთხილა მოსალოდნელი დაპატიმრების თაობაზე, რის შემდეგაც ჯეიმს ბალგერმა მიმალვა შეძლო და დღემდე ძებნაში იმყოფება. რაც შეეხება სტეფან ფლემს, რომელსაც ათამდე მკვლელობას ედავებიან, ჯეიმს ბალგერისგან განსხვავებით, სამართალდამცველებმა მისი დაკავება მოახერხეს და ის ამჟამად საკუთარი სასამართლო პროცესის მოლოდინშია.

სასამართლო სხდომების მიმდინარეობისას, ჯონ კონოლი ირწმუნებოდა, რომ მაფიოზების მიერ ჩადენილი დანაშაულების შესახებ არანაირი ინფორმაცია არ ჰქონდა.

სამსახურიდან გათავისუფლებამდე, ჯონ კონოლი მაფიასთან მებრძოლი გმირის სახელით იყო ცნობილი. როგორც გაირკვა, მოსამართლემ, რომელიც მის საქმეს თვეების განმავლობაში განიხილავდა, 200-მდე წერილი მიიღო, რომელთა ავტორებიც ჯონ კონოლისთვის მსუბუქ სასჯელს მოითხოვდნენ.

"საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ კანონზე მაღლა არავინ დგას," - ამ სიტყვებით მიმართა პროკურორმა ჯონ დიურემ მოსამართლეს განაჩენის გამოტანამდე.

საგანგაშო სიტუაცია თურქეთის პენიტენციურ სისტემაში

პირველად თურქეთის სამართლებრივ ისტორიაში, ციხეებში დაპატიმრებულთა რიცხვმა 100 ათასს გადააჭარბა, ამის გამო, 70-მილიონიანი ქვეყნის პენიტენციურ სისტემაში საგანგაშო სიტუაცია შეიქმნა.

თურქეთის საინფორმაციო სააგენტო ANKA-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, 2008 წლის ოქტომბრის ბოლოს, თურქეთის ციხეებში 100 ათას 559 ადამიანი აღმოჩნდა დაპატიმრებული. საგენტოს ცნობით, თურქეთში 458 საპატიმრო დაწესებულებაა, რომლებიც, საერთო ჯამში, გათვლილია 78 318 ადამიანზე. არადა, 2006 წლის სტატისტიკური მონაცემებით, ქვეყანაში 65 ათას 458 მსჯავრდებული იყო.

ევროკავშირი, რომლის სრულუფლებიან წევრად გახდომასაც ანკარა კარგა ხანია ცდილობს, თურქეთს მუდმივად აკრიტიკებდა საპატიმროებში არსებული უმძიმესი პირობების გამო საერთაშორისო ვალდებულებების დარღვევისთვის - სიცოცხლის უფლების, პირადი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის ხელყოფის, წამებისა და სასტიკი მოპყრობისთვის.

აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთ საქმეზე, რომელიც პატიმრის წამებას ეხებოდა, ევროსასამართლომ ანკარა 65 ათასი ევროთი დააჯარიმა.

რამდენიმე წლის წინათ თურქეთის ხელისუფლებამ შიდა კანონმდებლობა ევროკავშირის მოთხოვნებს შეუსაბამა, სამართლებრივი რეფორმა დაიწყო და ხელისუფლებამ ოფიციალურად, წამებაზე მკაცრი სანქციები დააწესა.

თუმცა, თურქეთში მოქმედმა ადამიანის უფლებების დამცველმა ორგანიზაციამ ოქტობრის თვეში გამოაქვეყნა ანგარიში, რომლის მიხედვითაც, გასული წლის დასაწყისში თურქეთის ციხეებში წამებისგან 29 ადამიანი გარდაიცვალა. ორგანიზაციის ინფორმაციით, 28 წლის მანძილზე - 1980 წლიდან 2008 წლის ჩათვლით, წამების მსხვერპლი მილიონი ადამიანი გახდა.

ორგანიზაციის მიერ მომზადებულ ანგარიშს თან ახლავს დოკუმენტური მასალაც - ფოტოები და სხვა მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს, რომ 10 ათასზე მეტმა ადამიანმა მიმართა სამედიცინო დახმარებას, მას შემდეგ, რაც საგამოძიებო იზოლატორებში და პოლიციის განყოფილებებში ისინი ძალადობისა და წამების მსხვერპლნი გახდნენ.

დოკუმენტი, რომელსაც "წამების ატლასი" ეწოდება, ხუთი წლის მანძილზე მზადდებოდა და მასში თავმოყრილია 1980 წლიდან 2008 წლის ჩათვლით, თურქეთის საპატიმრო ადგილებში მომხდარი სასტიკი მოპყრობისა და წამების ფაქტები. ექსპერტთა განცხადებით, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში მსგავსი ტიპის ანგარიში არ მომზადებულა.

"წამების ატლასში" ნათქვამია, რომ თურქეთის პენიტენციურ სისტემაში წამების ყველაზე მიღებული მეთოდია პატიმართა ცემა სპეციალური ჯოხით, რომელიც ძალზე მტკივნეულია, მაგრამ კვალს არ ტოვებს.

ამ მეთოდს პირველი ადგილი უკავია და მას მოსდევს ასევე გავრცელებული სხვა 11 მეთოდი: განსასჯელთა და მსჯავრდებულთა ჩამოკიდება, ჩამოხრჩობა, სექსუალური ძალადობა, წამება ელექტროშოკის, გაყინული წყლის, ქიმიური ნივთიერებებისა და ძაღლის გამოყენებით, სიგარეტის ნამწვით სხეულის დაზიანება და სხვა.

ადამიანის უფლებების დამცველი ორგანიზაცია აცხადებს, რომ თურქეთში პატიმართა და დაკავებულთა წამება დღითი დღე მატულობს. ორგანიზაცია ხელისუფლებას მოუწოდებს, გადამჭრელი ზომები მიიღონ წამებისა და სასტიკი მეთოდების

შესამცირებლად, მათ შორის სისხლის სამართლებრივი დევნა განახორციელონ იმ პირების მიმართ, რომლებიც ადამიანის უფლებებს არღვევენ.

რაც შეეხება ციხეში არსებულ სოციალურ პირობებს. ორგანიზაციის ინფორმაციით, 2000 წელს ქვეყანაში გაიხსნა ე.წ. F კატეგორიის - განსაკუთრებული ტიპის ციხეები, რომლის საკნებშიც ერთი ან სამი ადამიანის მოთავსება შეიძლება. თუმცა, ადამიანის უფლებების დამცველი საერთაშორისო ორგანიზაცია "ემნისტი ინტერნეიშენელის" ინფორმაციით, F კატეგორიის ციხეებში აღირიცხა პატიმართა სასტიკი დასჯის რამდენიმე ფაქტი. "ემნისტი ინტერნეიშენელი" როგორც F კატეგორიის ციხეებში ასევე, ზოგადად, პენიტენციურ სისტემაში არსებულ სიტუაციას "არაეფექტურად და არასრულყოფილად" მიიჩნევს.

ციხის მსოფლიო სტანდარტები

ციხის მსოფლიო სტანდარტებით დადგენილია "მსჯავრდებულებთან მოქცევის მინიმალური სტანდარტული წესები," რომელიც 1985 წელს გაერო-ს კონგრესმა მიიღო. დოკუმენტი სარეკომენდაციო ხასიათისაა და არ შეიცავს კონკრეტულ მითითებებს, მაგალითად, როგორ უნდა იყოს მოწყობილი საკანი ან რა რაოდენობის კალორიას უნდა შეიცავდეს საკვები.

გაერო-ს სტანდარტული წესების მიხედვით, ციხეში იკრძალება ყველა სახის დისკრიმინაცია. მსჯავრდებული ქალები და კაცები, განსასჯელები და მსჯავრდებულები, მცირეწლოვანი და სრულწლოვნები, ჩვეულებრივი კრიმინალები და რეციდივისტები უნდა იმყოფებოდნენ სხვადასხვა კატეგორიის საპატიმროებში. მსჯავრდებული უნდა მოთავსდეს ცალკე საკანში ან საერთო საკანში მას ცალკე საწოლი ეკუთვნის. საკანში სანიტარული ნორმები მკაცრად უნდა იყოს დაცული, სავენტილაციო სისტემით მუდმივად უნდა ნიავდებოდეს, რათა ჰაერი გაიწმინდოს და განათებული იმ დონეზე უნდა იყოს, რომ ზიანი არ მიადგეს პატიმრის მხედველობას. ამავე სტანდარტებით, ციხის ტუალეტი დღეში რამდენჯერმე უნდა იწმინდებოდეს და პატიმრებს რიგში დგომა არ უნდა უწევდეთ. მსჯავრდებულები უნდა ბანაობდნენ მინიმუმ კვირაში ერთხელ, ხოლო მამაკაცები პირად ჰიგიენას რეგულარულად იცავდნენ.

პატიმრები უნდა იკვებებოდნენ რეგულარულად - ჯანმრთელობისა და ძალის შესანარჩუნებლად საკმარისი კალორიით, მათთვის წყალი მუდმივად ხელმისაწვდომი უნდა იყოს. მსჯავრდებულები ყოველდღიურად ერთი საათის მანძილზე სუფთა ჰაერზე უნდა სეირნობდნენ ან ფიზიკურად ვარჯიშობდნენ. გაერო-ს რეკომენდაციით, არასრულწლოვან პატიმრებს უფლება აქვთ ითამაშონ. ყველა საპატიმროში უნდა იყოს ექიმი და სტომატოლოგი.

ამავე სტანდარტებით, მსჯავრდებულს ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან მუდმივი კონტაქტი უნდა ჰქონდეს. უნდა ღებულობდეს ინფორმაციას მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, საპატიმროებში უნდა იყოს ბიბლიოთეკა, პატიმრები უნდა დასაქმდნენ და მათი ანაზღაურება აუცილებლად უნდა მოხდეს.

გაერო-ს სტანდარტები საპატიმროებში კრძალავს სასტიკ მოპყრობას, დამცირებას, დასჯას წამების მეთოდებით. საერთო ჯამში, გაერო-ს რეკომენდაციით, ციხის რეჟიმი თავისუფალი ცხოვრების წესისგან მცირედ უნდა განსხვავდებოდეს, რათა "პატიმრებში პასუხისმგებლობისა და ადამიანური ღირსების გრძნობა არ მოკვდეს. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რათა პატიმარი პენიტენციური სისტემიდან - მონანიების ადგილიდან, საზოგადოებას სრულფასოვან წევრად დაუბრუნდნენ."

გარდა გაერო-ს სტანდარტებისა, არსებობს ევროსაბჭოს რეკომენდაციებიც, რომელიც გაერო-ს სტანდარტებისგან უმნიშვნელოდ განსხვავდება. მაგალითად, ევროსაბჭოს რეკომენდაციით, პატიმრებისთვის დასაშვებია შვებულება. ევროპული წესებით, პატიმარს, რომელიც ციხეში დასაქმებულია, ეკუთვნის დასვენება - კვირაში მინიმუმ ერთი დღე.

ბარაკ ობამას ინაუგურაცია

ამერიკული ოცნების ასრულება

ხათუნა გაბიევი

AFP ' 2009

დღეს ამერიკის ისტორიაში რიგით 44-ე პრეზიდენტის ინაუგურაცია უნდა გაიმართოს. ინაუგურაციამდე ერთი დღით ადრე ლინკოლნის მემორიალის წინ ბარაკ ობამასადმი მიძღვნილი კონცერტი გაიმართა, სახელწოდებით "ჩვენ ერთიანი ვართ". კონცერტს ათასობით მაყურებელი დაესწრო.

"ამერიკაში ყველაფერი შესაძლებელია. კოლოსალური ამოცანების მიუხედავად, თქვენ წინაშე იმედებით აღსავსე ვდგავარ. დარწმუნებული ვარ, ამერიკა ყველა პრობლემას დაძლევს და ჩვენი ქვეყნის უმთავრესი ოცნება იცოცხლებს ჩვენს ეპოქაში და მომავალშიც," - განაცხადა შეერთებული შტატების ახალმა პრეზიდენტმა მოქალაქეების წინაშე გამოსვლისას.

19 იანვარს სიმბოლური დატვირთვაც ჰქონდა, რადგან ეს დღე ტრადიციულად, საყოველთაოდ ცნობილი აფროამერიკელისა და ადამიანის უფლებებისთვის მებრძოლი მარტინ ლუთერ კინგის ხსოვნას ეძღვნება. "დემოკრატიული" ფრთის წარმომადგენელ ბარაკ ობამაზე საუბრისას, რომელიც ხელისუფლების სათავეში მოვიდა ლოზუნგით "ცვლილებების დროა", ხშირად პარალელს მარტინ ლუთერ კინგთან ავლებენ, რომლის ყველაზე ცნობილი გამოსვლა ვაშინგტონში 1963 წელს იწყებოდა სიტყვებით: "მე მაქვს ოცნება."

შეერთებული შტატების დედაქალაქში დღეისთვის უსაფრთხოების საგანგებო ზომებია მიღებული. ვაშინგტონში ხუთ მილიონამდე სტუმარს ელიან. კაპიტოლიუმის ბორცვზე სადღესასწაულო ღონისძიებაზე დასასწრებად, დაახლოებით, 240 ათასი ბილეთია გაყიდული. მათ, ვინც ბილეთის გარეშე დარჩა, შესაძლებლობა ექნებათ, ცერემონიას მიმდებარე ტერიტორიიდან ადევნონ თვალი.

ბარაკ ობამას 10 საერთაშორისო ამოცანა

მსოფლიოში შეერთებული შტატების როლი - საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებმა ცხადყო, რომ ამერიკელები თავიანთი ქვეყნის საგარეო-პოლიტიკურ კურსში სერიოზულ ცვლილებებს ელიან. ეს მოკლედ შეიძლება ასე დახასიათდეს: ყურადღება გამახვილდეს მრავალპოლუსიანი მსოფლიოს პრინციპზე და დამთავრდეს საუბარი შეერთებული შტატების როლზე, როგორც ერთადერთ მსოფლიო სუპერსახელმწიფოზე.

ერაყიდან ავღანეთამდე - ახალი პრეზიდენტი ერაყიდან ამერიკული ჯარის 16 თვის ვადაში გამოყვანას აპირებს. თეორიულად ეს ობამას პოლიტიკის უზარმაზარი წარმატება იქნებოდა, მაგრამ ვინაიდან ამერიკული ქვედანაყოფები, რომლებსაც ერაყში "ალ-ქაიდას" წინააღმდეგ სპეცოპერაციების წარმოება ევალებათ, მაინც დარჩებიან, ჯარის სრულად გაყვანაზე საუბარი ნაკლებად რეალური იქნებოდა. ამასთან, თუ ერაყში შეიარაღებული წინააღმდეგობა სრულდება, ავღანეთში თალიბთა გააქტიურებიდან გამომდინარე, ომი მხოლოდ ახლა იწყება. ბარაკ ობამა ავღანეთში დამატებითი ჯარის გაგზავნას აპირებს. ავღანეთში ვითარების გაუმჯობესება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ეფექტურად იმუშავებს ავღანეთის ხელისუფლება და რამდენად წარმატებულად შეძლებს ოფიციალური ვაშინგტონი ისლამაბადთან ურთიერთობების აგებას.

"ომი ტერორის წინააღმდეგ" - ობამას ადმინისტრაციას ყურადღების გამახვილება მოუწევს ასევე 11 სექტემბრის საგამოძიებო კომისიის მიერ "იდეების ომად" მონათლულ მოვლენაზე. ობამა შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ამერიკული ტრადიციული ღირებულებების კალაპოტში დაბრუნებას და ისლამის ზომიერ წარმომადგენლებთან თანამშრომლობას აპირებს. ეს, ობამას აზრით, ძალიან დაეხმარება შეერთებულ შტატებს "ალ ქაიდას" პროპაგანდისთვის წინააღმდეგობის გაწევაში.

ირანი - აქ შეიძლება სერიოზული კრიზისიც დაიწყოს, მაგრამ ყველაფერი მაინც ოფიციალური თეირანის ქცევაზე იქნება დამოკიდებული. თუ აჰმადინეჯადის მთავრობა გააგრძელებს ურანის გამდიდრების პროგრამას, ამერიკის ახალმა ადმინისტრაციამ შეიძლება ისლამური რესპუბლიკის წინააღმდეგ საერთაშორისო სანქციების გაძლიერება დაჟინებით მოითხოვოს. თუ აშკარა გახდება ის, რომ ირანის ბირთვული პროგრამის მიზანი იარაღის შექმნაა, ისრაელმა შესაძლოა, ირანის ბირთვულ ობიექტებზე მიიტანოს იერიში, რაც კატასტროფულ შედეგებს გამოიღებს.

ახლო აღმოსავლეთი - კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ახალი პრეზიდენტისგან სერიოზულ დაფიქრებასა და სწორი პოლიტიკის შემუშავებას მოითხოვს. ობამას, გუნდთან ერთად, მოუწევს იმაზე ფიქრი, თუ რა ნაბიჯები უნდა გადადგას ვაშინგტონმა ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დასამყარებლად. ეს გადაწყვეტილება, ძირითადად, დამოკიდებული იქნება ისრაელში 10 თებერვალს დაგეგმილი არჩევნების შედეგებზე.

რუსეთი - აგვისტოს მოვლენებმა დასავლეთისა და რუსეთის ურთიერთობებში "ცივი ომის" შემდეგ ყველაზე სერიოზული კრიზისი გამოიწვია. გარდა ამისა, ვაშინგტონს მოსკოვის მხარდაჭერა რამდენიმე საკითხში სჭირდება, მაგალითად, ირანისა და დარფურის პრობლემის გადაჭრაში. პირველ რიგში კი, ახალ ადმინისტრაციას მოუწევს იმის გადაწყვეტა, თუ რა მოუხერხოს საქართველოსა და უკრაინის სწრაფვას ნატო-ში გაწევრიანებისკენ. მთავარი კითხვა, რომელიც ისმის და რაზეც პასუხი არაერთგვაროვანი შეიძლება იყოს, შემდეგია: ღირს კი ამერიკული გეგმების გადახედვის მოლოდინი?

რა ურთიერთობებს ააგებს ობამა რუსეთთან, გასაგები გახდება ბირთვული განიარაღებისადმი მიდგომის არჩევის შემდეგ.

ჩინეთი - ვაშინგტონის ახალი ადმინისტრაციის დღის წესრიგში ასევე მთავარი საკითხია ურთიერთობა ოფიციალურ პეკინთან, რომლის ეკონომიკური გავლენა მსოფლიოში სულ უფრო იზრდება. თავისთავად ჩინეთი არ წარმოადგენს თეთრი სახლის პრობლემას, სამაგიეროდ, პოტენციურად სერიოზული გაღიზიანების გამომწვევია ტაივანის სტატუსი და ვითარება ტიბეტში. ბოლო დროს ჩინეთი შიდა ეკონომიკის განვითარებითაა დაკავებული და ვიდრე ეს პეკინისთვის პრიორიტეტად რჩება, ამერიკულ-ჩინური ურთიერთობები სტაბილური იქნება.

"ახალი დიპლომატია" - მნიშვნელოვანი ამოცანები, რაც ამერიკის "ახალი დიპლომატიის" წინაშე დგას, ფინანსები, გლობალური დათბობა და ენერგეტიკაა. ამჟამინდელი ფინანსური კრიზისი ახალი პრეზიდენტისგან უკიდურესად სპეციფიკურ პრობლემებზე ყურადღების გამახვილებას ითხოვს. სახელმწიფოს ქვეყნის ეკონომიკის მხარდაჭერა 700 მლრდ-დან 1 ტრლნ აშშ დოლარამდე დაუჯდება. გლობალური დათბობის პრობლემა შესაძლოა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება გახდეს ობამას პრეზიდენტობის დროს, თუ გავითვალისწინებთ თანამედროვე მსოფლიოში ეკოლოგიური თემების მნიშვნელობას და იმას, რომ კიოტოს პროტოკოლს ვადა 2012 წელს ეწურება. ენერგეტიკა პოტენციურად ასევე ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა, რადგან ობამას მომავალი 10 წლის განმავლობაში ახლო აღმოსავლეთისა და ვენესუელის ნავთობზე დამოკიდებულებისგან ამერიკის გათავისუფლება სურს.

ჯანდაცვის რეფორმა - შეერთებული შტატების ახალი ლიდერი თანამოქალაქეებს დაზღვევის ღირებულების შემცირებას ჰპირდება, ხოლო მათთვის, ვისაც დღემდე არ აქვს დაზღვევა, ახალი ხელმისაწვდომი გეგმის შეთავაზებას აპირებს. წინასაარჩევნო რიტორიკა გამყარებული იყო ამ სფეროში ყველაზე ავტორიტეტული ხალხის მნიშვნელოვან თანამდებობებზე დანიშვნით. ობამას სასარგებლოდ მუშაობს ის ფაქტორიც, რომ ჯანდაცვის რეფორმის აუცილებლობა კარგად ესმით საკანონმდებლო ორგანოში.

გუანტანამოს დახურვა - ერთ-ერთი წინასაარჩევნო მთავარი თემა, რომელიც ეროვნული უსაფრთხოების საკითხებს ეხებოდა, გუანტანამოს საპყრობილის დახურვა და "დაკითხვის სპეციალური მეთოდების" გამოყენების აკრძალვა იყო. თუ ობამა გუანტანამოს დახურავს, ამერიკის ხელისუფლებას იქ დატყვევებული ხალხის მომავალზე მოუწევს ფიქრი.

უკრაინა და რუსეთი გაზის მიწოდების პირობებზე შეთანხმდნენ

დღეს "გაზპრომი" და "ნავთობგაზი" უკრაინასა და ევროპაში რუსული გაზის ტრანზიტის შესახებ კონტრაქტს გააფორმებენ. დოკუმენტს ხელს უკრაინისა და რუსეთის პრემიერ-მინისტრების იულია ტიმოშენკოსა და ვლადიმირ პუტინის თანდასწრებით მოაწერენ.

გაზეთი "ნოვიე იზვესტია" წერს, რომ უკრაინა 1000 კუბურ მეტრ ბუნებრივ აირზე 376 დოლარს გადაიხდის, 2010 წლამდე ქვეყანა 20-პროცენტიანი ფასდაკლებით ისარგებლებს, რუსეთს კი ტრანზიტისთვის შეღავათიანი ტარიფი ექნება, როგორც 2008 წელს ჰქონდა.

2010 წელს კი ქვეყნები როგორც გაზზე, ასევე ტრანზიტისთვის ევროპულ ტარიფზე გადავლენ. **მედიანიუსი**

ისრაელი ბარაკ ობამას ინაუგურაციისათვის ღაზას სექტორიდან ჯარების გაყვანას გეგმავს

ისრაელი, თუკი რაიმე საგანგებო მდგომარეობა არ შეიქმნება, ღაზას სექტორიდან ჯარების გაყვანას 20 იანვრამდე გეგმავს. ამის შესახებ ინფორმაციას ებრაული მედია ავრცელებს. გადაწყვეტილება ისრაელის ხელისუფლებამ 18 იანვარს იერუსალიმში, ისრაელის პრემიერ-მინისტრის რეზიდენციაში ევროსაბჭოს ლიდერებთან გამართულ საზეიმო შეხვედრაზე გაახმაურა.

ისრაელის კაბინეტის წევრებმა განმარტეს, რომ მათ არ სურთ, ამერიკის შეერთებული შტატების ახალ პრეზიდენტს პრობლემები შეუქმნან და ასევე იმედი გამოთქვეს, რომ ამერიკა ითანამშრომლებს ისრაელთან "ჰამასის" განიარაღების კუთხით.

შარმ-ელ-შეიხში გამართულ მოლაპარაკებებზე, რომელსაც ანგელა მერკელი, გორდონ ბრაუნი, სილვიო ბერლუსკონი და ნიკოლა სარკოზი ესწრებოდნენ, ისრაელს ღაზას სექტორიდან ჯარების დაუყოვნებლივი გაყვანა დაევალა.

ისრაელმა ცეცხლის ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. მეორე დღეს კი ღაზას სექტორიდან ცახალის გამოყვანა დაიწყო.

"ჰამასის" წევრებმა ცეცხლის შეწყვეტაზე თანხმობა მხოლოდ ერთი კვირით განაცხადეს. ევროსაბჭოს ქვეყნებმა კი პირობა დადეს, რომ, თავის მხრივ, ყველა შესაძლებლობას გამოიყენებს, რათა არ დაუშვას "ჰამასის" წევრთა გადაიარაღება, რაც თავისთავად შეიარაღებულ დაპირისპირების განახლებას შეუწყობს ხელს. მსგავსი დაპირება კონდოლიზა რაისმა ციპი ლივნისაც მისცა, როცა ურთიერთშეთანხმების მემორანდუმს მოაწერეს ხელი. აღნიშნული მემორანდუმი ერთობლივი ძალისხმევის გამოყენებასა და "ჰამასისთვის" შეიარაღებული დაპირისპირებისთვის საშუალების არმიცემას გულისხმობს.

ოპერაცია "ჩამოსხმული ტყვია" ისრაელმა 27 დეკემბერს დაიწყო. იგი ისლამის რადიკალურ დაჯგუფება "ჰამასს" დაუპირისპირდა, რომელიც 2007 წლის ზაფხულიდან ღაზას სექტორს აკონტროლებს და ისრაელის ტერიტორიას "კასსამის" ტიპის ბომბდამშენებით ბომბავს. შეიარაღებული დაპირისპირების განმავლობაში პალესტინის მხრიდან 1200 ადამიანი დაიღუპა. **ჯი-ეიჩ-ენი**

"ჰამასი" დაღუპულთა რაოდენობის შესახებ ინფორმაციას ავრცელებს

რადიკალურმა პალესტინურმა დაჯგუფებამ "ჰამასმა" სამკვირიანი საომარი მოქმედებების დროს დაზარალებულთა შესახებ ინფორმაცია გამოაქვეყნა. ებრაული გამოცემა "ინეტის" ინფორმაციით, "ჰამასმა" 48 დაღუპულის შესახებ გაავრცელა ცნობა. თუმცა "ჰამასს" დაჭრილთა და ტყვედ აყვანილთა რაოდენობა არ დაუზუსტებია. ისრაელის ხელისუფლება ამ მონაცემებს არასწორს უწოდებს. ცახალის მონაცემებით, შეიარაღებული დაპირისპირების შედეგად 1300 პალესტინელი, ასევე 500 მოხალისე "ჰამასელი" დაიღუპა.

ისრაელის მხრიდან კი დაიღუპა 10 სამხედრო მოსამსახურე და 3 მშვიდობიანი მოქალაქე. დაშავდა 182 ადამიანი. 18 იანვარს ისრაელმა და "ჰამასმა" ღაზას სექტორში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება მიიღეს. ცახალმა კი ღაზას სექტორიდან ჯარების გაყვანა დაიწყო. ორივე მხარე საკუთარი გამარჯვების შესახებ აკეთებს განცხადებას. **ჯი-ეიჩ-ენი**

თათრეთის რესპუბლიკა გაერო-სგან დამოუკიდებლობის აღიარებას ითხოვს

რამდენიმე დღის წინ რუსმა ოკუპანტებმა და მათმა მარიონეტებმა დამოუკიდებელი თათრეთის რესპუბლიკის დამოუკიდებელი მთავრობის წინააღმდეგ ერთბაშად ორი "საქმე" დაიწყეს. რუსები დამოუკიდებელი თათრეთის მთავრობას "სხვანაირად აზროვნებაში" ადანაშაულებენ.

აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებელი თათრეთის მთავრობამ გაერო-ს მიმართვა გაუგზავნა, რომელშიც საუბარი იყო რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში სათათრეთის არალეგიტიმურ და ძალადობრივ გაწევრიანებაზე.

პირველი პოლიტიკური "საქმე" თათრეთის მილი მეჯლისის წინააღმდეგ ჯერ კიდევ 2008 წლის 26 დეკემბერს აღიძრა. მეორე პოლიტიკური "საქმე" თათრეთის დამოუკიდებლობის სწრაფვის გამო რუსეთმა უკვე 2009 წელს 2 იანვარს აღძრა. რუსეთმა სათათრეთზე ზეწოლა მას შემდეგ დაიწყო, რაც თათრეთის მილი მეჯლისმა 2008 წლის 20 დეკემბერს თათრეთის დამოუკიდებლობა გამოაცხადა და თათრეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დეკლარაცია მიიღო. აღნიშნული დეკლარაცია 100-მა პარლამენტარმა 1992 წლის დეკლარაციის საფუძველზე მიიღო. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრეცედენტზე დაყრდნობით თათრეთმა გაერო-ს მიმართა და გაერო-ს წევრი სახელმწიფოების პრეზიდენტებსა და მთავრობებს სათათრეთის დამოუკიდებლობის აღიარებისკენ მოუწოდა. **ჯი-ეიჩ-ენი**



GT GROUP

ÜÜÜÜÜÜÜÜÜÜÜÜÜ 48 Ü
ÜÜÜ: 740 740
www.gtgroup.ge

Ford Transit
Ford-ის გლობალური იმპორტიორი GT Motors

გარანტია 2 წელი

16 950
ევროდან

iVan
"UKR AUTO"-ს ოფიციალური დილერი GT Group
iVan-ის წარმოების საქალაქო და საგარეუბნო ავტობუსი

გარანტია 2 წელი

25 500
ევროდან

MST
"SANKO"-ს ოფიციალური დილერი GT Group
MST-ს ბეკოლოუდერები

გარანტია 1 წელი

46 000
ევროდან

GT GROUP

ჯი-თი ჯგუფი - FordCargo -ს ოფიცილაური დილერი საქართველოში

ბოლოყაშვილის 48 ბ, ტელ: 740 740, www.gtgroup.ge

გარანტია 2 წელი
(გარანტია ვრცელდება ყველა დეტალზე)

4 9 000 ევროდან

თქვენს საქმიანობაზე მორგებული სატვირთო ავტომობილი

რევიუ

AFP ' 2009

დღეს ვაშინგტონში ბარაკ ობამას ინაუგურაციის საზეიმო ცერემონიალი გაიმართება. ეს მოვლენა მნიშვნელოვანი გახდა, არა მოლოდ ამერიკისთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის. თუმცა ვიდრე ნამდვილი ცერემონიალი გაიმართებოდა, კალიფორნიაში მდებარე "ლეგოლენდის" თანამშრომლებმა "ლეგოს" ფერადი ფიგურებისგან ინაუგურაციის საკუთარი ვერსია წარმოადგინეს.

თეატრი პრობლემის გარეშე

სად გაქრა სათქმელი, რომელიც იყო?

სოფო კილასონია

ზუსტად მახსოვს, რომ რამდენჯერმე ჩვენი გაზეთის ფურცლებზე "თეატრი სხვენში" ვახსენეთ. ახალი სცენა, რომელმაც ბინა მარჯანიშვილის თეატრის სხვენში დაიდო. რამდენიმე სართული უნდა ახვიდე და მერე მოკლათდე სადმე. მოკალათება კარგია, მაგრამ როცა ეს პროცესი ზამთარში ხდება და ქურთუკები, ნაბდები და ბოხოხები თან გვაქვს, ცოტა რთულია. და მიუხედავად ამისა, ის რომ "თეატრი სხვენში" აქტიურად გვეპატიჟება პრემიერებზე, მეტად სასიამოვნოა. თანაც დაპატიჟებაც არის და დაპატიჟებაც. სხვა დიდი თუ მცირე თეატრებისგან განსხვავებით ამ პატარა თეატრის აფიშებზე რეჟისორების გვარები და პიესების სათაურები აშკარად ხშირად იცვლება. ეს ხომ დიდი იშვიათობა გახდა, ქართველი რეჟისორები ან ერმანეთის დადგმების რიმეიკებს დგამენ, ანდა თეატრების ყველა მნიშვნელოვან პრემიერას ერთი რეჟისორი ჰყავს და ეს ვითომ დეტალი საერთო ჯამში ერთნაირ სპექტაკლებს გვიტოვებს ანგარიშზე, შესაბამისად უფერულ რეპერტუარს.

"თეატრი სხვენში" თეატრალურ სარდაფს ბევრით გვაგონებს. ოღონდაც იმ სარდაფს, რომელიც სასტარტო ხაზზე იდგა. გვაგონებს არა მხოლოდ პიესათა არჩევანის მრავალფეროვნებით, არამედ სივრცით, ფორმით და რაც ალბათ აქვე უნდა აღინიშნოს და რაც უკვე დღეს სასიხარულო არაა -ტექსტისადმი დამოკიდებულებით, იმ ზედაპირულობით, რომლითაც რეჟისორები და შემდეგ უკვე მსახიობები დრამატურგიას უდგებიან. ასევე ფორმით, რომელსაც თანამედროვე ქართული თეატრი ირჩევს, ფორმით, რომელიც არ არის გამოწვეული ტექსტიდან, მანევრებით, რომელიც არ არის ადეკვატური იმ პრობლემისა, რომელსაც პიესა სახავს. შესაძლოა ჩემს მოსაზრებას დაუპირისპირდეს არგუმენტი, რომ რეჟისორის პრეროგატივაა დასვას აქცენტები და უდაოდ ასეა. აქცენტების დასმა და შერჩევა ერთ-ერთი უპირველესი მისიაა, რითიც რეჟისორმა პიესაზე მუშაობა უნდა დაიწყოს, მაგრამ რა ვქნათ მაშინ, როცა ეს მისია მათ მიერ ნიველირებულია, ანდა მაშინ, როცა ეს აქცენტები სულ სხვაგან არის მოძებნილი, სულ სხვა ამბავში, სულ სხვა ისტორიაში და არა იმაში, რომელსაც დრამატურგი გვიყვება? ასეთ დროს იწყება იმ ვაკუუმის თუ დისტანციის ამოვსება, რომელიც რეჟისორის ვერსიასა და დრამატურგის სიმართლეს შორის რჩება. ეს ვაკუუმი დიდწილად და ხშირ შემთხვევაში ივსება პერსონაჟთა უეცარი აცეკვებით, ვითომ ეროტიკული მოძრაობებით, ამ ვაკუუმის შევსების დროს მაყურებელი ან იძაბება, ან "იძინებს". იძაბებიან არა იმიტომ რომ მაგიდებზე წამოგორებული და ფეხებგაშლილი ქალბატონები არ ხიბლავთ, ანდა ხიბლავთ, არამედ იმიტომ რომ სურთ მიხვდნენ რა ხდება. სურთ კავშირი დაინახონ და თუ წარმოდგენა თავიდანვე ასე იწყება, მაშინ მაყურებელი იმ სამყაროში გადადის, რომელიც რეჟისორის მოგონილია, ოღონდაც რა ჰქვია ამ სამყაროს არ ვიცი, ის როგორც წესი



ხათია ჭიჭეიშვილის ფოტო

გაგრძელება A10 გვერდზე

ფინანსური კრიზისი მეტროპოლიტენ-ოპერასაც შეეხო

ნიუ იორკის მუსიკალური თეატრი, მეტროპოლიტენ-ოპერას დირექტორმა, პიტერ გელბმა განაცხადა, რომ ოთხი ძვირადღირებული დადგმა, რომლის განხორციელება ახალი სეზონისთვის იგეგმებოდა, უფრო მორიდებულზე შეიცვლება. ასევე თეატრის კოლექტივს შემცირება ემუქრება. ამ ღონისძიებაზე "მეტ"-ის დირექცია ფინანსური კრიზისის გამო მიდის, აღნიშნავს The New York Times.

თეატრი ჯონ კარილიანოს "ვერსალის მოჩვენებას" ვერდის "ტრავიატაზე", დიმიტრი შოსტაკოვიჩის "ლედი მაკბეტს" შტრაუსის "არიადნა ნაკოსოსეზე" შეცვლის. შტრაუსის ოპერა "ქალბატონი ჩრდილის გარეშე" მისი "ელექტრა" შეცვლის. ბერლიოზის ოპერა, "ბენვენუტო ჩელინის" დადგმა კი გადაიდო. თეატრის ხელმძღვანელობამ ხელფასი 10%-ით უკვე შეიმცირა, მაგრამ

ანალოგიური ღონისძიებები დანარჩენ პერსონალსაც შეეხება. თუ რამდენ ადამიანს და როდის დაითხოვენ ჯერ ცნობილი არაა. **ჯი-ეიჩ-ენი**

"ბერლინალეს" მთავარი პროგრამის ფილმები დაასახელეს

ბერილინალეს ორგანიზატორებმა ფესტივალის მთავარი პროგრამის ფილმები დაასახელეს. 59-ე საერთაშორისო კინოფესტივალს ამერიკულ-გერმანული ტრილერი "The International" გახსნის. ფილმის რეჟოსორი ტომ ტიკვერია ("პარფიუმერი" "სულები", "გაიქეცი ლოლა"). ტრილერი დანაშაულებრივ შეთანხმებებს აღწერს, რომელიც ომსა და ტერორიზმს აფინანსებს. ფილმში მთავარ როლებს კლაივ ოუენი და ნაომი უოტსი ასრულებენ. სურათში ასევე მონაწილეობენ: არმინ მუელერ-სტაჰლი ბრაიან ფ. ო ბირნი და ჯეკ მარკი. ფილმის შინაარსის თანახმად, ინტერპოლის აგენტი, ლუი სალინჯერი (კლაივ ოუენი) და ნიუ-იორკის რწმუნებული ელეონერ ვიტანი (ნაომი უოტსი) მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ბანკის უკანონო საქმიანობის გამოძიებას აპირებენ და საკუთარი სიცოცხლეს საფრთხეში აგდებენ. ფილმის გადაღებები სტუდია Babelsberg-ში, ბერლინში, ნიუ-იორკში, სტამბულსა და მილანში იმდინარეობდა.

საკონკურსო ჩვენებაში მაყურებელი იხილავს სტივენ ფრერსისის ფილმს **"პატივსაცემი"** (Cheri) - ბრიტანეთი. ფილმში, რომლის მსოფლიო პრემიერა სწორედ ბერლინალეზე გაიმართება, მონაწილეობენ - მიშელ ფაიფერი, კეიტ ბეიტსი, რუპერდ ფრინდი, ფელიკტი ჯონსი.

მთავარ პროგრამაში წარმოდგენილია შემდეგი ფილმები: **"ელის შესახებ"** - ირანი; რეჟისორი ასჰარ ფარადი; როლებში: გულშიფტეჰ ფარაჰანი, ტარანეჰ ალიდოუსტი, მანი ჰახიხი. მსოფლიო პრემიერა; **"ედემი დასავლეთიდან"** - საფრანგეთი, საფერძნეთი, იტალია; რეჟოსორი - კოსტას ვარგასი. როლებში - როკარდო სკამარსიო, ჯულიან კოჰლერი, ურიჩ ტუკური; საერთაშორისო პრემიერა. **"გიგანტი"** - ურუგვაი, გერმანია, არგენტინა; რეჟისორი - ანდრიან ბინეისი; როლებში: ნორაკიო კამანდალე, ლეონორ შვარცი მსოფლიო პრემიერა; **"ბედნიერი ცრემლები"** - აშშ რეჟისორი - მიტჩელ ლიხშტენშტეინი ("კბილები"); როლებში: დემი მური, პარკერ პოსეი, რიპ პორნი, ელენ ბარკლინი; მსოფლიო პრემიერა; **"ელექტრონულ ნისლში"** - საფრანგეთი- აშშ. რეჟისორი - ბერტრან ტავერნიე; როლებში: ტომი ლი ჯონსი, ჯონ გუდმანი მსოფლიო პრემირა.

"კატალინ" - რუმინეთი, დიდი ბრიტანეთი, უნგრეთი რეჟოსორი - პეტერ სტრიკლენდი (სადებიუტო ნამუშევარი); როლებში: ჰოლდა პეტერი, ნორბერთ ტანკო. თაბორ პალფი, შებასტიან მარინა მსოფლიო პრემიერა. **"მწარე რძე"** - ესპანეთი, პერუ

რეჟოსორი კლაუდია ლოსა; როლებში: მეიჯელ ლოსიერი, სუსუ სანჩესი, ეფრაინ სოლისილ; მსოფლიო პრემიერა. **"პარატა ჯარისკაცი"** - დანია; რეჟოსორი - ანეტ კ ოლსენი; როლებში: პრაინ დურჰოლმი, ფაინ ნელსენი, ლორა ბრაუნი საერთაშორისო პრემიერა; **"გამოუსწორებელი"** - აშშ; რეჟისორი - ჯორჯ ტილმანი; როლებში: აჟელა ბასეტი, ჯამალ ვულარდი, დერეკ ლიუკი, ანტონიო მეიკი არასაკონკურსო; საერთაშორისო პრემიერა

"რიკი" (Ricky) - საფრანგეთი, იტალია; რეჟისორი - ფრანსუა ოზონი როლებში: ალექსანდრა ლემი, სერჟ ლეპესი, არტურ პეირეტი; მსოფლიო პრემიერა. **"შტორმი" (Sturm)** - გერმანია, დანია, ნიდერლანდები; რეჟისორი - ჰანს-კრისტიან შმიდტი, როლებში: კერი ფოქსი, ანამარია მარინკა, სტეფენ დილანი, როლფ ლასგარდი

მსოფლიო პრემიერა; **"ტკბილი აღტკინება"** - პოლონეთი; რეჟისორი - ანდრეი ვაიდა

როლებში : რისტინა იანდა პაველ სჟაჟდა, იან ენგლერტი; მსოფლიო პრემერა

"ყველა სხვა" - გერმანია; რეჟოსორი - მარენ ეიდფი; როლებში: მერგეთ მინიჩმაიერი, ლარს ეიდინგერი, ჰანს-იოჰან ვაგნერი, ნიკოლ მარიშკა; მსოფლიო პრემიერა. **"რისხვა"** - დიდი ბრიტანეთი, აშშ; რეჟოსორი: სალი პოტერი; როლებში: დეიმ ჯუდი დენჩი, დაუან ვიესტი, სტივ ბუსქემი; მსოფლიო პრემიერა. **"დროის მტვერი"** - საბერძნეთი, გერმანია, იტალია, რუსეთი; რეჟოსორი : ტეო ანგელოპოულოსი; როლებში: ირენ ჯაკობი, მიშელ პიკოლი, უილიმ დეფო, ბრუნო განსი; არასაკონკურსო; საერთაშორისო პრემიერა.

"სამუდამოდ აღფრთოვანებული" - ჩინეთი; რეჟოსორი: ჩენ კაიგი; როლებში: ლეონ ლაი, ძანგ ძავი, ჩენ ჰონგი; საერთაშორისო პრემიერა. **"გზავნლი"** - აშშ რეჟისორი: ოვერ მოვერმანი - დებიუტი; როლებში: ბენ ფისტერი, ვუდი ჰარელსონი, სამანტა მორტონი

საერთაშორისო პრემიერა; **"ლონდონის მდინარე"** - ალჟირი, საფრანგეთი, იდი ბრიტანეთი; რეჟოსორი: რიჩარდ ბოუჩარედი; როლებში: ბრენდა ბლეთუნი, სოტიგიუ კოუიატე; მსოფლიო პრემიერა; **"მამონტი"** - შვედეთი, გერმანია, დანია. როლებში: ლუკას მუდსონი; როლებში: გაელ გარსია ბერნალი, მიშელ უილიამსი, ტომ მაკკარტნი; საერთაშორისო პრემიერა; **"პიპა ლის პირადი ცხოვრება"** - აშშ; როლებში: რებეკა მილერი; როლებში: რობინ რაით პენი, ალან არკინი, მარია ბელო, კიანუ რივზი, ჯულიან მური, უინონა რაიდერი; არასაკონკურსო; მსოფლიო პრემიერა.

"მკითხველი" - აშშ, გერმანია; რეჟისორი: სტეფან დალდრი; როლებში: ქეით უისლენდი, რალფ ფინესი, დევიდ კროსი, ალექსანდრა მარია ლარა; არასაკონკურსო;

"ვარდისპერი პანტერა II" - აშშ; რეჟისორი: ჰერალდ ცვარტი; როლებში: სტივ მარტინი, ჟან რენო, ემილი მორტიმერი, ენდი გარსია; არასაკონკურსო; საერთაშორისო პრემიერა.

მაყურებელი ასევე იხილავს მოკლემეტრაჟინ ფილმებს, რომელიც ძირთითად პროგრამაში გერმანია 9-13-ის პირობითი სახელწოდებითაა წამოდგენილი. **ჯი-ეიჩ-ენი**

თეატრი პრობლემის გარეშე

პირველი გვერდიდან



ხატია ჯიჯეიშვილი, ფოტოლეხი

მისტიკურ მუსიკალურ კომედიას ჰგავს, სადაც მისტიციზმის შთაბეჭდილების შექმნას ჯიუტად ლამობს მუსიკალური გამფორმებელი. ხმები და ბგერები გვაშინებენ, პერსონაჟები თვალებს გვაჭყიტავენ და ამ დროს თან უნდა გაოგნდე და თანაც შეეცადო დაინახო კავშირი სიტყვებსა და ქმედებას შორის. ანდა გადაწყვიტო რომ ეს აბსურდია და აქ მთავარია იცინო. მაგრამ ამასაც ვერ მოახერხებთ გულიანად, იმიტომ რომ პერსონაჟთა გაკაპასებული სახეები და კიდევ მუსიკა "სულ სხვა სამყაროდან" გაეჭვებთ და მოკლედ, ნუ იწვალებთ, უხერხულობას ვერ გაექცევით...

როცა პირველივე სცენიდან სწორედ ის ხდება, რაზეც გიამბეთ და რაც აგიღწერეთ, ასეთ დროს განსაკუთრებით იზრდება დისტანცია სცენასა და ტექსტში მიმდინარე პროცესებს შორის. ეს დაშორება განსაკუთრებით საგრძნობია მაშინ, თუ პიესის ავტორი ცნობადია, მაგალითად მროჟეკი და რეჟისორის ახალი რეალობა სულ სხვაა, ვიდრე მისი, მაგრამ თუ მაყურებელი არ იცნობს ავტორს, მაშინ რეჟისორს მიეტევება ბევრი. ალბათ ქართველი რეჟისორების უმეტესობაც დარწმუნებულია, რომ მაყურებელი მისას დაიჯერებს და ირწმუნებს ვიდრე მროჟეკის, ან რომელიმე სხვისას. ანდა სპექტაკლებს სწორედ იმ მაყურებელისთვის დგამენ, რომლებიც სპექტაკლზე ისე მიდიან, რომ დადგმის სათაურიც არ აინტერესებთ, მაგრამ ასეთები საზოგადოებაში ძალიან ცოტანი არიან, იმაზე ცოტანი, ვიდრე თეატრებში წარმოუდგენიათ (ის, ვინც დღეს ბილეთს ყიდულობს, შეკითხვებსაც აუცილებლად სვამს) და ბევრნიც რომ იყვნენ და ე.წ. "დაკვეთაც" სწორედ ზედაპირულობასა და გასართობზე იყოს რეალურად (ეს თეორია უკვე აბსურდული და სასაცილოა), ამ მოთხოვნას პროფესია, ამ პროფესიის პრინციპები, თეატრის ამოცანები არ უნდა შეეწიროს.

მოკლედ, რამდენიმე დღის წინ მე მარჯანიშვილის თეატრის ამ პატარა შვილობილ სცენასთან მხოლოდ ერთი ამოცანით მივედი, უნდა მეხილა სლავომირ მროჟეკის პიესა, რომლის ქართული თარგმანი სამი წლის წინ გამომცემლობა "არატემ" აღმომაჩენინა ანთოლოგიაში "თანამედროვე ევროპული პიესა". მართალია, ამ გამოცემაში და თარგმანებში რამდენიმე შეუსაბამობა დედნებთან აშკარად გაეპარათ, თუმცა ფაქტია, რომ საკმაო შრომა მთარგმნელებმა და გამომცემლობამ გასწია, პირველ რიგში მკითხველისთვის და მასთან ერთად ქართველი რეჟისორებისთვისაც.

მკითხველი ისედაც მიხვდებოდა, რომ ზემოთ წაკითხულ დიდ შესავალს ძალიან კონკრეტული მიზეზი ჰქონდა და ამიტომაც მგონია, ბევრი უკვე ნათქვამი მაქვს. თუმცა, ცხადია, დამრჩა დეტალები.

ნატურალისტური აბსურდის დრამატურგი, პოლონელი, ერთდროს საბჭოთა კავშირში აკრძალული და იქიდან იტალიაში გაქცეული სლავომირ მროჟეკის პიესა "ქვრივები" რეჟისორმა მალხაზ ასლამაზიშვილმა შეარჩია და ეს არჩევანი თანამედროვე პოლონურ დრამატურგიაზე არ ვიტყვი, ერთადერთი, ვიტყვი, ერთ-ერთი დადებითი სვლა გახლდათ, რეჟისორის მიერ გადადგმული. რეჟისორის ჩანაფიქრს ქორეოგრაფიულად აქტიურად ასხამდა ხორცს ქორეოგრაფი გოგა ოსეფაშვილი. სცენოგრაფია, რომელიც მროჟეკისას არ ჰგავდა (ავტორი დეტალურად აღწერს გარემოს) ბარბარა ასლამაზიშვილს ეკუთვნის. აქ ისევ ძველი პრობლემა - სცენოგრაფს არ ეკუთვნის კოსტუმები. სცენოგრაფია, რომელიც საფუძველში მოიცავს სცენის მხატვრობას მთლიანად არ არის მთლიანობაში გააზრებული. კოსტუმები სპექტაკლისთვის ილიკო ბერაძეს შეუქმნია.

მროჟეკის პიესის ძირითადი ქარგა "სხვენში" ზუსტად გადმოსცეს. ორი ქვრივი, მათ ერთმანეთის ქმრები საყვარლებად ჰყავდათ. ამ დღეს კი აღმოაჩინეს, რომ ქმრებმა და საყვარლებმა ერთმანეთი დახოცეს. დიალოგი, რომელიც პოლონელი დრამატურგის ტექსტში მეტად მშვიდი და ამავდროუალდ დაძაბულია, სცენაზე ისტერიკებში გადადის. ისტერიკას კიდევ აიტანდა მაყურებელი, მაგრამ მას შემდეგ, რაც ქვრივებმა ერთმანეთი და შესაბამისად საკუთარი თავი შეიცვნეს, მამაკაცების დუელის მიზეზს ეძებენ. აი, აქედან რეჟისორისა და დრამატურგის გზები იყრება. თუ მროჟეკი ამ პიესით დასცინის ქალებს, რომლებიც ფიქრობენ რომ დუელის მიზეზი ქალია, თუნდაც მესამე და რომ მამაკაცებს გმირობა შეუძლიათ, ის ასევე დასცინის მამაკაცებს, რომლებსაც სიკვდილიც კი არ შეუძლიათ ღირსეულად და ჩხუბის მიზეზი თავად არ იციან რა არის. არის ეს მესამე ქალი? თუ უბრალოდ კაფეში ცენტრი მდგომი მაგიდაა? აქ ავტორი მამაკაცის ორ მისწრაფებას ასახავს. სურვილი იყვნენ ცენტრსა და ძალაუფლების სადავეებთან ახლოს (რაც რეჟისორმა მეტ-ნაკლებად წარმოაჩინა, განსაკუთრებით მაშინ, როცა სცენა "მოღუშა" და მეორე მამაკაცი, მსახიობი ბექა გოდერძიშვილი სასურველ მაგიდასთან ბოლო ხმაზე აყვირა) და მეორე მისწრაფება, უფრო სწორად თვისება, ისინი წარმოაჩინა რა როგორც ბავშვები, რომლებსაც უბრალოდ რაღაც სურთ, მაგრამ რა და რატომ? - ეს არ არის მნიშვნელოვანი. მროჟეკის ქალბატონები სცდებიან, როცა სჯერათ, რომ მათ აღმერთებენ, მამაკაცები სცდებიან, როცა ფიქრობენ რომ ყველაფერი მათია, თამაშიც და ამ თამაშის წესებიც. ამ მართლაც ნატურალისტურ აბსურდში მროჟეკს ირონია მაინც გაეპარა. მესამე ქვრივს იდუმალება შესძინა. ვინ არის ეს ქალი? მისი ვინაობა მისი ვუალის მიღმა ქრება და საბოლოოდ მამაკაცების სიკვდილის მიზეზიც თითქოს ის უნდა იყოს... მაგრამ არა. ეს უბრალოდ გროტესკია. აი, რეჟისორმა კი მესამე ქვრივს პირდაპირ სიკვდილი დაარქვა და ამით ერთი ხელის მოქნევით ჰიჩკოკისეულ ამბებში გაგვხვია. სიკვდილს (სოფიო გრიგალაშვილი) მართლაც რომ დიდი თავლები და კარგი აღნაგობა ჰქონდა სპექტაკლში და მისით მიმტანი (დავით ხურცილავა) ერთობ აღტაცებულია... მაგრამ ეს მართლაც რომ არ არის საინტერესო.

რას ვიზამთ, ის დაგვრჩენია რომ ბოლო დეტალებს შევუდგეთ. ანუ, ის რაც კიდევ უნდა აღინიშნოს თანაც აუცილებლად. პირველმა ქვრივმა - დეა აბაკელიამ, ცუდი თამაშით, გაუგებარი წარმომავლობის აქცენტიანი მეტყველებით და რატომღაც სიმღერითაც, ისიც კი დაახშო, რაც მეორე ქვრივმა, ანუ ბაია დვალიშვილმა სცენაზე იმუშავა. მროჟეკის პერსონაჟთან ყველაზე ახლოს მაინც ზვიად სხირტლაძე გახლდათ. ის მართლაც კარგად თამაშობს.

ისღა დაგვრჩენია, ბოლოსიტყვაობა დავწეროთ. ის ფაქტი, რომ კოტე მარჯანიშვილის თეატრში შეიქმნა ერთგვარი თავისუფალი სივრცე სხვადასხვა ინიციატივებისთვის, ძალიან ბევრს ნიშნავს. ის ფაქტიც, რომ უკვე დადგმულია რამდენიმე სპექტაკლი თანამედროვე დრამატურგების პიესების **მიხედვით**, ეს კიდევ უფრო დასაფასებელია იმ რეალობაში, რომელშიც ვიმყოფებით. სპექტაკლები, მათ შორის "ქვრივები" გარკვეული მსჯელობის მიზეზს მაინც გვიტოვებენ და ესეც უკვე იშვიათობაა და დაბოლოს, მარჯანიშვილის თეატრში გახსნილი ეს ახალი სივრცე შეიძლება გახდეს დასტური ტენდენციისა, რომ თანამედროვე თეატრი პატარა სცენებს უფრო იხდენს. საერთოდ ტენდენცია ბევრია და მათი წარმოჩენის შანსი მხოლოდ მაშინ გაჩნდება, თუ ამ და სხვა სცენაზე დაიდგმება ბევრი. ოღონდაც სიმრავლე მხოლოდ რაოდენობაში არ გამოიხატება, სიმრავლე არჩევანსა და ხედვაშიც უნდა ჩანდეს, და ამ სიმრავლეში მაყურებელსაც ექნება არჩევანი, ქართულ თეატრს კი გამოუჩნდება პერსპექტივა, გამოსავალი.

ზედმეტად წარმატებული ხუმრობა

ჩეხმა მხატვარმა ევროპას გული ატკინა

დავიდ ჩერნი ჩეხეთის ყველაზე რადიკალური და გონებამახვილი შემოქმედია, რომელმაც, ახლახანს, საკუთარი ქვეყნის ხელისუფლება უხერხულ სიტუაციაში ჩააყენა. მან შექმნა პროექტი "Entropa", მხიარული და საგულდაგულოდ მოფიქრებული მისტიფიკაცია, რომლის მიზანსაც ნაციონალური სტერეოტიპების დანგრევა წარმოადგენდა. თუმცა, ეს მისწრაფება ავტორს ძვირად დაუჯდა - გამოფენა კინაღამ დახურეს.

სამშობლოში დავიდ ჩერნის დიდი ხანია რაც იცნობენ. ჯერ კიდევ 1991 წელს, მან იეშმაკა და პრაღის ძეგლი საბჭოთა ტანკისტის ვარდისფერი გამოსახულებით "შეალამაზა" და მის კოშკზე კი, ყველსათვის ნაცნობი შეურაცმყოფელი ჟესტით გამოსახული გიგანტური თითი მიაბა. ამით პრაღელები ძალიან აღფრთოვანდნენ, სამაგიეროდ საბჭოთა ხელისუფლება განაწყენდა. ჩეხმა ძალოვანებმა მხატვარი დააპატიმრეს და საბრძოლო მანქანა კვლავ მწვანედ გადაღებეს. თუმცა, ჩეხები ჩეხები არ იქნებოდნენ ყოჩაღი და მხიარული ახალგაზრდა რომ ციხეში დაეტოვებინათ... შედეგად, მოხდა ის, რომ პარლამენტის ახლად არჩეულმა თხუთმეტმა დეპუტატმა, რომლებიც ხელშეუხებლობის უფლებით სარგებლობდნენ, ტანკს ცოცხალი ვარდისფერი ფერი დაუბრუნეს. წინააღმდეგობა კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა, რომ არა დრო, რომელიც თვალსა და ხელს შუა იცვლებოდა. ტანკის ვარდისფერი ვარიანტი ლეშანში, ომის მუზეუმში "მიაბრძანეს", ხოლო დავიდ ჩერნი გამოუშვეს და სწავლის გაგრძელების უფლება მისცეს.

ყოველივე ამის შემდეგ, ჩერნის ისღა დარჩენოდა განემტკიცებინა რეპუტაცია - "enfant terrible", რასაც, სიმართლე რომ ითქვას, ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე ახერხებდა - გაძვალტყავებულ ცხენზე ხან ჩეხეთის მფარველ წმინდა ვაცლავს სვამდა, ხანაც ჟიჟკოვში, ტელევიზიის ანძაზე მცოცავ ახალშობილებს აბამდა.

დევიდ ჩერნი და ჟურნალისტები

ჩერნის, პროვოკაციულის გარდა, უწყინარი ნამუშევრებიც ჰქონდა, მაგალითად, ადამიანის ფეხებზე მოსიარულე "ტრაბანტი"... თუმცა, ყველაზე მეტად მოქანდაკეს ადამიანთა პროვოცირება მოსწონდა. ერთხელაც მან შემინულ კონტეინერში მოცურავე სადამ ჰუსეინის მულიაჟი შექმნა, რომლის ჩვენებაც ორმა, პოლონურმა და ბელგიურმა, გალერეამ აკრძალა. ის გახლდათ პასუხი დემიენ ჰერსტის ცნობილი ნამუშევრისა "კონსერვირებული აკულა". თუმცა, ჩერნის იდეა დროული არ აღმოჩნდა, ის მუჰამედ წინასწარმეტყველის კარიკატურებთან დაკავშირებით აგორებული სკანდალის პერიოდში შეიქმნა. ჩერნი, ასევე, ავტორია არავის შეურაცმყოფელი ნამუშევრებისა - ზიგმუნდ ფროიდი, რომელიც ცალი ხელით ჰკიდია და მორწმუნეთათვის ძალიან მიუღებელი ქრისტე ტანმოვარჯიშის რგოლებით. თუმცა, პრაღაში დავიდ ჩერნის მაინც იტანენ.

როგორც გაირკვა, 2009 წლის დასაწყისში, რამდენიმე ევროპულ ქვეყანას ჯერ კიდევ არ მიუღწევია ტოლერანტობის ისეთი დონესთვის, როგორსაც ჩეხეთმა მიაღწია. ჩერნის სრულიად უწყინარმა პროექტმა - "Entropa", რომელიც მან ჩეხეთის მთავრობის დაკვეთით შეასრულა, ამ ქვეყნის ვიცე-პრემიერი - ალექსანდრ ვონდრუ აიძულა ბოდიში ბულგარეთისა და სლოვაკეთისათვის მოეხადა.

ზედმეტად წარმატებული ხუმრობის ისტორია ასეთია: მოქანდაკეს დავალებული ჰქონდა ევროკავშირის ქვეყნების აღქმის სტერეოტიპები გამოესახა. ჩერნიმ რამდენიმე მეგობარი შემოიკრიბა, რომლებმაც ერთად მოიფიქრეს საკმაოდ ჭრელი კამპანია არარსებული მხატვრებისა გაერთიანების ყველა ქვეყნიდან. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე ფიქტიური ავტორისათვის ვებ-საიტებიც შეიქმნა. პროექტის დამკვეთი კი, ჩერნიმ საქმის კურსში არ ჩააყენა. როდესაც 12 იანვარს, ბრიუსელში, პროექტ "Entropa"-ს გამოფენა გაიხსნა, ჟურნალისტებმა და პოლიტიკოსებმა ძალიან იმხიარულეს. სამაგიეროდ, ის სასაცილოდ არ აღიქვეს არც სოფიასა და არც ბრატისლავაში. ბულგარელებს მოეჩვენათ, რომ მათ ძალიან არათავაზიანად მიუთითეს მათ ძალიან გრძელ და დამამცირებელ დამოკიდებულებაზე თურქეთთან, ხოლო სლოვაკებს - ასევე გრძელ და დამამცირებელ დამოკიდებულებაზე უნგრეთთან.

ჩერნის ვერსიით, ეს ყოველივე საფრანგეთს ისევე არ გაუპროტესტებია, როგორც გერმანიას და დიდ ბრიტანეთს, რომელიც ჩერნის მიერ შექმნილ ევროპის რუკაზე სულაც არ აღმოჩნდა. არც ევროკავშირში ახლახანს გაწევრიანებული რუმინეთი განაწყენებულა მისი სიმბოლიზირებისათვის გრაფ დრაკულასთან, რომელიც ელფ დობის ჰგავს, თავად ელფი დობი კი ვისაც წააგავს, ყველას მშვენივრად მოეხსენება.

თუმცა, მოქანდაკე იძულებული გახდა პროექტის ავტორობა ეღიარებინა. მან ჯერ ბოდიში მოიხადა საჯაროდ, შემდეგ კი, უარი თქვა ჰონორარზე, რომელიც ამ პროექტის განხორციელებისათვის ჰქონდა გამოყოფილი და თანაც, პირობა დადო, რომ მასზე დახარჯულ თანხას უკან დააბრუნებს.

მცირე გაანალიზების შემდეგ, ბრიუსელის მოხელეებმა გადაწყვეტილება მიიღეს ჩერნისა და მისი კამპანიის რვატონიან შვილობილს ხელი არ ახლონ. სოფიამ მოითხოვა უზარმაზარ რუკაზე ბულგარეთის გამოსახულება "დაიფაროს", ან მას "სახე ეცვალოს", ბრატისლავა ოფიციალურ ბოდიშს დასჯერდა. ახლა კი, რჩება იმედი იმისა, რომ მოქანდაკეს ფულს უკან არ დააბრუნებინებენ. ის ძეგლს, როგორც არასრულფასოვანი ნაციონალური კომპლექსების დამანგრეველი და კონტინენტალური მასშტაბის მისტიფიკატორი, ნამდვილად იმსახურებს.

ედგარ ალან პოს დაბადებიდან 200 წელი შეუსრულდებოდა

ბოსტონი, ბალტიმორი, ფილადელფია, ნიუ იორკი და რიჩმონდი - ეს ის ქალაქებია, რომლებიც ერთი დღით ედგარ ალან პოს სახელით გაერთიანდნენ და დიდებული ამერიკელი მწერლის დაბადებიდან 200 წლის იუბილე აღნიშნეს. ეს სწორედ ის ქალაქებია, რომლებთანაც პოს ცხოვრება და სიკვდილი იყო დაკავშირებული. იუბილეს მთავარი ქალაქი კი რიჩმონდია - ადგილი სადაც იგი დაკრძალულია.

ედგარ ალან პოს საიუბილეოდ ქალაქის მერიამ ღონისძიებათა მთელი ნუსხა შეადგინა. დღე პოს მუზეუმში დაიწყო, შემდეგ კი სტუმრები ქალაქში სასეირნოდ მიიწვიეს, საღამო ხანს კი მწერლის საფლავი სანთლებით ხელში მოინახულეს, სადაც სპირიტული სეანსიც კი ჩაატარეს. აქვე გაიმართა ედგარ ალან პოს ნაწარმოებთა ახალი გამოცემების პრეზენტაცია, ბოლოს კი სადღესასწულო ნამცხვარიც დაიჭრა. ფილადელფიელებმა ეს დღე იმ სახლში გაატარეს, სადაც პო რამდენიმე წლის განმავლობაში ცხოვრობდა, ხოლო ბალტიმორში - პოს გარდაცვალების ქალაქში ჩაატარეს იგივე ექსპერიმენტი, რომელიც მოთხრობა "მუმიასთან საუბარშია" აღწერილი. სტუმრებს კი ყორანის გამოსახულებიანი ტორტი მიართვეს. ბოსტონშიც დიდი "მხიარულება" იყო. ედგარ ალან პო სწორედ ამ ქალაქში დაიბადა. ქალაქის ერთ-ერთ მოედანს კი მისი სახელი უწოდეს.

სახლი, სადაც 1809 წლის 19 იანვარს მწერალი დაიბადა, ამ მოედნიდან არც ისე მოშორებით იყო. დღეს ამ სახლის ერთი აგურიც კი არაა შემორჩენილი, თავის დროზე კი ქალაქის ერთ-ერთ ღირშესანიშნავ ნაგებობად მიიჩნეოდა. ედგარ ალან პო მამინაცვლის, ჯონ ალანის სახლში ფუფუნებასა და სითბოში იზრდებოდა. მშობლები ფულს არ ზოგავდნენ შვილისთვის განათლების მისაცემად. როგორც თავის ბიოგრაფიაში იხსენებს, ყველა საგანს იოლად ითვისებდა, ლიეტარტურასა და ისტორიას კი განსაკუთრებულად სწავლობდა. აინტერესებდა ასტრონომია, ფიზიკა, მათემატიკა. ფიზიკურადაც ძლიერი იყო და კოლეჯის შეჯიბრებების გარდა თანატოლებთან ერთად გართობისთვისაც იცლიდა.

ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ბავშვივით ვითარდებოდა, თუმცა ავტობიოგრაფიასა და სხვათა მოგონებებშიც ხშირად ვკითხულობთ, რომ პატარა ედგარს ბევრი უცნაურობაც ახასიათებდა. მაგალითად გამუდმებით ფანტასტიკურ მოვლენებზე ფიქრობდა და საკუთარ თავზე ფსიქოლოგიურ ექსპერიმენტებსაც ატარებდა, რაც იმ დროისთვის მართლაც დიდ უცნაურობად მიიჩნეოდა. გამოგონილი ისტორიებით ბევრჯერ დაუფრთხია თანატოლები, თავად კი მათ რეაქციაზე დაკვირვებით ადამიანების ხასიათს სწავლობდა.

1826 წელს ედგარ ალან პოს პირად ცხოვრებაში დიდი ცვლილება მოხდა, რამაც მისი მომავალი უფრო გამოკვეთა. მასა და ჯონ ალანს შორის უთანხმოება მოხდა. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად ედგარმა მამინაცვლის ფაქსიმილე გააყალბა, ხოლო

საქმის გარჩევისას ხელითაც შეეხო. ამის შემდეგ იძულებული გახდა, მამინაცვლის სახლი დაეტოვებინა, რაც ფინანსურ პრობლემებსაც გულისხმობდა და მთლიანად ლიტერატურაში გადაეშვა.

პირველი ლექსების კრებული "ბოსტონელის" ფსევდონიმით გამოსცა, რომელსაც არა თუ აღიარება, გამოხმაურებაც არ მოჰყოლია. პირველ აღიარებამდე კი საკმაოდ დიდხანს მოუწია ლოდინი - ეს 1833 წელს მოხდა, როდესაც ბალტიმორის ყოველკვირეულმა გამოცემამ პროზისა და პოეზიის კონკურსი გამოაცხადა, ედგარ ალან პომ ბედი ორივე კატეგორიაში სცადა და ორივეგან გაიმარჯვა, თუმცა ფულადი პრემია, 100 დოლარი, მხოლოდ მოთხრობა "ბოთლში ნაპოვნი მონუსკრიპტისთვის" გადასცეს. პოს პრეტენზია არ გამოუთქვამს, რადგან ამ ფულით ელემენტარული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას რამდენიმე დღე მაინც შეძლებდა, ის ხომ ამ დროისთვის უსახსროდ იყო დარჩენილი და ფაქტიურად შიმშილობდა. ამ გამარჯვებამ პოს სხვა მოგებაც მიუტანა - მისთვის ბევრი გამომცემლობის კარი გაიღო.

მეტ-ნაკლებად გაუმართლა პირად ცხოვრებაშიც. პოს ბევრი ბიოგრაფი აღნიშნავს, რომ ის საშინელი მექალთანე იყო, რაც იმითაც დასტურდება, რომ მომავალი მეუღლე, ახლო ნათესავი ვირჯინია 9 წლის ასაკში შეუყვარდა და 13 წლისა უკვე ცოლად მოიყვანა. ვირჯინია პოზე გაცილებით ადრე გარდაიცვალა. სიკვდილის წინ კი ქმრის მეგობარ ქალს, მისის შიუს ევედრებოდა, დაქვრივებული პო არ მიეტოვებინა. მომავალში პო მართლაც აპირებდა შიუს ცოლად შერთვას, თუმცა აქ თავი იჩინა მისმა საშინელმა ხასიათმა და ალკოჰოლისადმი დამოკიდებულებამ, რის გამოც ქალი იძულებული გახდა იგი მიეტოვებინა. ამ დროისთვის ედგარ ალან პოს ფსიქიკა იმდენად იყო შერყეული, რომ მასთან კონტაქტს ბევრი გაურბოდა, მათ შორის უახლოესი ადამიანებიც.

1849 წლის შემოდგომაზე პოს მდგომარეობა უკიდურესობამდე გაუარესდა, ადამიანებთან ურთიერთობას გაურბოდა, თუმცა სარჩოს შოვნის მიზნით ვალდებული იყო ემუშავა. ოქტომბერში რიჩმონდში ლექციების წასაკითხად მიიწვიეს, ჰონორარის სახით კი 1500 დოლარი გადაუხადეს. ედგარ ალან პოს კვალი სწორედ რიჩმონდიდან გამომგზავრების შემდეგ იკარგება. მისი სიკვდილი ისევეა იდუმალებით მოცული, როგორც მისი ნაწარმოებების პერსონაჟებისა. იგი უპატრონოდ მიგდებული, გონება დაკარგული გზაზე იპოვნეს და საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც რამდენიმე დღეში გარდაიცვალა კიდეც.

სს მედეა აცხადებს კონკურსს (აუქციონს)
გაკოტრების საქმეთა წარმოების პირველი
ეტაპის დასრულების შემდეგ დარჩენილი ქონების რეალიზაციაზე
სარეალიზაციოდ გამოდის შემდეგი ქონება:

1. მიწის ნაკვეთი 67589 კვ.მ.
2. მიწაში არსებული რეზერვუარი ბეტონის მონოლითი - 9 ცალი.
3. რკინის კარადა - 74 ცალი;
4. გათბობის ქსელის რკინა-ბეტონის არხი - 1600 გრ.მ.
5. საფეიქრო საღებავი - 9,287 ტონა;
6. საერთო მისასვლელი გზა - 1100 კმ.
7. ტერიტორიის ფილების შემოღობვა - 110 მ.
8. რკინა-ბეტონის ელექტრო ანძა - 20 ც.
9. ლიფტი (დიდი, პატარა) - 2 ც.
10. კონტესატის ბაკი - 2 ც.
11. რკინის კარები - 6 ც.
12. რკინის გისოსები - 5 ც.
13. შუალედური რეზერვუარი - 2 ც.
14. მიწისქვეშა და შიგა ძალოვანი ქსელი -

ქონების საწყისი ღირებულება - 3017731 ლარი.
ქონების რეალიზაციის აუქციონი დანიშნულია 2009 წლის 18 თებერვალს.
მისამართზე: ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის №23, 11.00 საათზე.
მსურველებმა ინტერესი უნდა დააფიქსირონ განცხადებით.

განცხადება მიიღება ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა, 11.00 საათიდან 16.00 საათამდე მისამართზე: ირაკლი აბაშიძის №23, 2009 წლის 16 თებერვლის 16.00 საათამდე.

აუქციონში მონაწილეობისათვის აუცილებელია ბეს გადახდა. ბეს ოდენობა განისაზღვრება შესაძენი ქონების საწყისი ღირებულებიდან 5%-ის ოდენობით. ბე უნდა ჩაირიცხოს: ს/ს საქართველოს ბანკი , ქუთაისის ფილიალი ანგ. №003467593 ბ.კ. 220101502 არაუგვიანეს 2009 წლის 16 თებერვლისა.

დამატებითი პირობების გაგება და ქონების ვიზუალური დათვალიერება შესაძლებელია მისამართზე: ქ. ქუთაისი, სულხან-საბას №12, ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა, 10.00 სთ-დან 16.00 საათამდე. ტელ: 8(231) 9-44-74; 899 54-08-58.

1. აუქციონზე იურიდიულმა პირებმა უნდა წარადგინონ:
1.1. რწმუნების დამადასტურებელი მინდობილობა;
1.2. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
1.3. გადასახადის გადამხდელის დამადასტურებელი დოკუმენტი;
1.4. ბეს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.
2. ფიზიკურმა პირებმა უნდა წარმოადგინონ:
2.1. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
2.2. ბეს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

სს მედეა -ს გაკოტრების
მმართველი: /დ. ფრუიძე/

განცხადება
ტენდერის ჩატარების შესახებ

მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა არამეწარმეო (არაკომერციული) გაერთიანება (ქ. მცხეთა, აღმაშენებლის ქ. №73, ორგანიზაციის კოდი 236095266 ა/ანგ. 33030029, სახალხო ბანკის მცხეთის ფილიალი 220101415) აცხადებს ტენდერს მცხეთის რაიონის ტერიტორიაზე მდებარე სკოლამდელი დაწესებულებებისათვის საკვების შესყიდვაზე და გიწვევთ მონაწილეობის მისაღებად.

მომსახურების შესრულების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2010 წლის 1 იანვრამდე.

ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა და სატენდერო წინადადებების წარდგენის ბოლო ვადაა 9 თებერვლის 11 საათიდან 9 თებერვლის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. მცხეთა, აღმაშენებლის №73, მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა არამეწარმეო (არაკომერციული) გაერთიანების სატენდერო კომისია.

ტენდერში მონაწილე პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილ უნდა იქნეს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

იურიდიული პირებისათვის:

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);
- ცნობები, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეორგანიზაციის მიხედვით);
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ).

ფიზიკური პირებისათვის:

- ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ცნობა სასამრათლოდან, რომ მის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:

- ინფორმაცია ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;
- ინფორმაცია სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (იჯარის შემთხვევაში საჯარო ხელშეკრულება);
- ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელია სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ 20 იანვრის 11 საათიდან 8 თებერვლის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. მცხეთა, აღმაშენებლის ქ. №73, მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

სატენდერო მოსაკრებელი შეადგენს 200 ლარს.

დამატებითი ინფორმაცია დამადასტურებელ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ლალი ჩანადირი, ტელ. 8 99 94 64 35. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

სატენდერო კომისია

შესწორება

გაზეთ „24 საათის“ 2009 წლის 9 იანვრის ?1-ში შპს „აბასთუმნის ტუბსაწინააღმდეგო საავადმყოფოს“ მიერ გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებებში (საავადმყოფოსათვის საჭირო კვების პროდუქტების შესყიდვაზე და საავადმყოფოსათვის საჭირო საწვავის შესყიდვაზე) შეიტანილ იქნას შესწორებები:

მუხლი 3. საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;

მუხლი 5. დაინტერესებულმა პირებმა ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ორ ეგზემპლარად უნდა წარმოადგინონ დალუქულ პაკეტში 2009 წლის 30 იანვრის 17 საათამდე მისამართზე დაბა აბასთუმანი, ფალიაშვილის ქ.N40 (ყოფილი სანატორიუმი „ზეკარის“ შენობა), შპს „აბასთუმნის ტუბსაწინააღმდეგო საავადმყოფო“, ოთახი N5, სატენდერო წინადადების გახსნა მოხდება აღნიშნულ მისამართზე 2009 წლის 30 იანვრის 17 საათზე. (ტენდერში მონაწილეებს უფლება აქვთ დაესწრონ სატენდერო წინადადებების გახსნას)

მუხლი 11. სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2009 წლის 29 იანვრის 17 საათამდე მისამართზე დაბა აბასთუმანი, ფალიაშვილის ქ.N40 (ყოფილი სანატორიუმი „ზეკარის“ შენობა), შპს „აბასთუმნის ტუბსაწინააღმდეგო საავადმყოფოს“ შენობაში, ოთახი N5.

თვალის მიკროქირურგიის

ჯ ა ვ რ ი შ ვ ი ლ ი ს
კლინიკა
"ოფთალმიჯი"

ერთადერთი კლინიკა 8 ფილიალით
და ერთი მოძრავი საოპერაციო
ბლოკით

უკანასკნელი თაობის ასფერული მულტიფოკალური
ბროლი Acrysof-ReSTOR
კატარაქტის ქირურგიაში
საუკეთესო მხედველობა
სათვალის გარეშე როგორც შორს, ისე
ახლო მანძილზე
ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80

ჩვენი საქმიანობის პრიორიტეტი ქალის ჯანმრთელობაა !
თავი დაიცავით სარძევე ჯირკვლის და
საშვილოსნოს ავთვისებიანი სიმსივნეებისგან ! ! !

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრში და მობილურ სკრინინგ-ცენტრში სარძევე ჯირკვლის და საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციის პროგრამით ყოველდღიურად წარმოებს პაციენტთა მიღება.

სარძევე ჯირკვლის მამოგრაფიული კვლევა ჩაუტარდებათ 40-დან 70 წლამდე ასაკის ქალბატონებს. გინეკოლოგიური გასინჯვა და პაპ-ტესტი ჩაუტარდებათ 25-დან 60 წლამდე ასაკის ქალბატონებს.

პროგრამა დაფინანსებულია თბილისის მერიის, „გაეროს“ მოსახლეობის ფონდის მიერ და გათვალისწინებულია დედაქალაქის ქალთა მოსახლეობაზე.

პროგრამა მიმდინარეობს პირველი ლედის მხარდაჭერით.

გამოკვლევები ტარდება წინასწარი ჩაწერით. აუცილებელია მოქალაქემ თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

პაციენტების მიღების საათებია: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 9 სთ-დან 18 სთ-მდე, შაბათს - 9 სთ-დან 15 სთ-მდე.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი თბილისი, თ. აბულაძის 20 (ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)

ტელ.: 91 31 19; 91 32 42; ტელ./ფაქსი 25 39 38;

სპორტი

სეზონი "თავისუფლად" დაიწყო

გიგა გურასაშვილი

დღეს თავისუფალი სტილით მოჭიდავეები ახალ სეზონს იწყებენ.
2009 წლის პირველ ტურნირში ქვეყნის თითქმის ყველა ტიტულოვანი მოჭიდავე გამოვა. მონაწილეთათვის ეროვნული პირველობა იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ მომავალი ჩემპიონები ფაქტობრივად ევროპის ჩემპიონატის საგზურებსაც დაეუფლებიან. ოქროს მედლები კი შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ძიუდოს აკადემიაში გათამაშდება. ოქროსთვის 150-მდე მოჭიდავე იბრძოლებს.



ბიგა გურასაშვილის ფოტო

ზაზა თურმანიძემ მინდორაშვილს დასვენების მეტი საშუალება მისცა

პირველ დღეს მედლები ოთხ (55, 60, 66, 74 კგ) წონით კატეგორიაში გათამაშდება. ხვალ კი ხალიჩაზე გამოვლენ 84, 96 და 120 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე მოჭიდავეები.

ნაკრების მთავარი მწვრთნელის ზაზა თურმანიძის მოთხოვნით, საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობა ყველა წონის ლიდერისთვის სავალდებულოა - ყველა მათგანმა კიდევ ერთხელ უნდა დაამტკიცოს საკუთარი უპირატესობა. გამონაკლისია მხოლოდ პეკინის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი რევაზ მინდორაშვილი, რომელსაც მწვრთნელმა სხვებზე მეტი დრო მისცა დასასვენებლად.

ხალიჩაზე დაბრუნება განუზრახავს მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს ლუკა კურტანიძეს, ამასთან, მისთვის ჩვეულ წონაში - 96 კილოგრამში. ნაკრების პირველი ნომრის სტატუსით სარგებლობს პეკინის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი გიორგი გოგშელიძე. ასე რომ, კურტანიძე VS გოგშელიძის შესაძლო დაპირისპირება აქედანვე საინტერესო პერსპექტივაა.

საქართველოს ჩემპიონები ნაკრებში მოხვედრის მთავარი კანდიდატები იქნებიან. ყურადღება გამახვილდება პრიზიორებზეც. მთავარ მწვრთნელს განზრახული აქვს გამორჩეული სამეულები წინასაევროპო შეკრებებზე სწორედ ჩემპიონებთან სასპარინგოდ წაიყვანოს. ცხადია, ესენიც ეროვნული გუნდის კანდიდატები იქნებიან და რომელიმე პირველი ნომრის ფორმიდან ამოვარდნის შემთხვევაში მთელი პასუხისმგებლობა მათზე გადავა.

საქართველოს ჩემპიონატის დამთავრებიდან ერთ კვირაში "თავისუფლები" პირველ შეკრებას წახკაძორში (სომხეთი) ან ბაკურიანში გაივლიან. ამას მოჰყვება ორი შეკრება ბორჯომში. ბუნებრივია, გათვალისწინებულია საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობაც. თავისუფლები ევროპის ჩემპიონატამდე სამ ტურნირზე მოსინჯავენ ძალას, მერე კი კონტინენტის პირველობის დროც დადგება (ვილნიუსი, 31 მარტი - 5 აპრილი).

დავით კოვზირიძის სვეტი

ტრადიციების და ბიძაკაცების ჭიდაობა

მსოფლიოს ყველაზე თეთრი და ჯილდოებით მდიდარი კლუბი უპრეზიდენტოდ დარჩა - ესპანურმა პრესამ ადვოკატ რამონ კალდერონ რამოსს ყელი გამოჭრა. ეს არ იყო ხულიგნური, უსაფუძვლო ყელის გამოჭრა, ამ შემთხვევაში ის არ გადადგებოდა. არა, ეს გახლდათ ორი წლის შრომის შედეგი და იმის მაგალითი, თუ როგორია ნამდვილი ჟურნალისტიკა. ჟურნალისტიკა, რომელიც სიმართლეს ეძებს, პოულობს და ყველას, მათ შორის მთავარ მოქმედ გმირსაც ფაქტებით უმტკიცებს, რომ აი, ეს, ასეა.

კალდერონმა 2006 წლის ზაფხულში გამართულ მადრიდის "რეალის" საპრეზიდენტო არჩევნებში დაახლოებით სამასი ხმით მოუგო ხუან პალასიოსს და მას შემდეგ შეცდომა შეცდომაზე მოსდიოდა - ხან თავის ფეხბურთელებს ლანძღავდა საჯაროდ, ხან გულშემატკივრებს აყენებდა შეურაცხყოფას... გარდა ამისა, ვერ შეასრულა წინასაარჩევნო დაპირება, თუ პრეზიდენტი გავხდი, არიენ რობენს, სესკ ფაბრეგასს და კაკას ვიყიდიო. ნაცვლად ამისა, "რეალი" საშუალოსტატისტიკური ფეხბურთელებით გაივსო. თუმცა მთავარი, რასაც კალდერონი გადაყვა, უსამართლოდ მოგებული არჩევნები გამოდგა.

ამბობენ, რომ მომავალ არჩევნებში, რომელიც სეზონის მიწურულს ჩატარდება, ფლორენტინო პერესი მიიღებს მონაწილეობას. კაცი, რომლის დროსაც "სამეფო კლუბს" "ჰოლივუდი" შეარქვეს. მართალია მე "ბარსელონისტი" ვარ, მაგრამ ის "ჰოლივუდი", თავისი ზიდანებით, რონალდოებით, ფიგუებით, ბექემებით და სხვა მარკეტინგულ-ლეგენდარულ-მარიაჟული მუღამებით ბევრად მერჩივნა დღევანდელ მადრიდის "მეტალისტს". ესპანური და საერთოდ, ევროპული ფეხბურთი მაშინ უფრო გემრიელი იყო, რადგან დიდ გუნდებს ცოტა პიჟონობა უხდებათ, რადგან ბებერი ბექზი უფრო "რეალის" კაცია, ვიდრე რამდენიმე დიარა ერთად აღებული.

და ვისი კაცია კაკა? ვისია ჯერ არ ვიცი, მაგრამ კაკა ნამდვილად ის კაცია, მცველებს რომ თლის და ჭერში აწყობს. ის ძალიან დიდი ფეხბურთელია, ოცდამეერთე საუკუნის მარგალიტი, რომელიც გასულ სეზონში ყველა რეფერენდუმის თანახმად საუკეთესო გახდა. კლასიკური ათი ნომერია, რაც კაკას, როგორც მსოფლიო მნიშვნელობის ფიგურას, დამატებით ხიბლს მატებს საყრდენებისკენ ჩაჩოჩებულ თანამედროვე ფეხბურთში.

ყველაფერთან ერთად, დიდი მოთამაშეების პეწი ხომ ისაა, რომ ისინი დიდ კლუბებში უნდა თამაშობდნენ. ეს თითქმის კანონია, რომელსაც პერიოდულად არღვევდნენ დიეგო არმანდო მარადონას კალიბრის "დამნაშავეები". მაგრამ დრო იცვლება და როგორც ჩანს, იცვლება კანონებიც, რომლებსაც უკვე არა ტრადიციები, არამედ მდიდარი ბიძაკაცები ქმნიან.

დღეს ყველა კაკაზე ლაპარაკობს - წავა თუ დარჩება? "მანჩესტერ სიტის" ახალი მეპატრონე "აბუდაბი ჯგუფი" ბრაზილიელის სანაცვლოდ დაახლოებით ორას მილიონ ევროს იხდის! და თუ გარიგება შედგა, მისი ხელფასი კვირაში ნახევარ მილიონამდე იქნება! კაკა ადამიანია, ადამიანია სილვიო ბერლუსკონიც და როცა ამხელა ფულზეა ლაპარაკი, მითუმეტეს ეკონომიკურ კრიზისში, ადამიანები ფიქრს იწყებენ.

"აბუდაბი ჯგუფი" ინგლისურ საკლუბო ფეხბურთში შეჭრილი ბიზნეს-ცუნამის ყველაზე მძლავრი ტალღაა. გაცილებით მძლავრი, ვიდრე ამერიკული, რუსული და აზიური ბნელი მაყუთის ტრანზაქციები. არაბმა ბიზნესმენებმა ახალი გასართობი იპოვეს - იყიდეს ერთი ჩვეულებრივი გუნდი და უნდათ, რომ ყველაზე არაჩვეულებრივ გუნდად აქციონ. ეს მათი საქმეა, აქვთ და ხარჯავენ, მოიწყინეს და ერთობიან, მაგრამ ფეხბურთი ფულის გასათეთრებელ კანტორად არ უნდა იქცეს. ფეხბურთი ფულმა არ უნდა შეჭამოს. ეს მას აუცილებლად დაღუპავს.

არაბთა ხელგაშლილობას უკვე შეეწირა ერთი ბრაზილიელი, ჭინკა ჯადოქარი რობინიო, რომელიც ცოტა ხნის წინ "რეალში" ბრწყინავდა, დღეს კი "სიტიში" გაფერმკრთალდა. ზემოხსენებულმა კალდერონმა საკუთარი კლუბის ათი ნომერი ულაპარაკოდ დაუთმო აბუდაბელებს, თვითონაც კმაყოფილი დარჩა, მყიდველიც, ალბათ რობინიოც არ უჩივის ფინანსურ მდგომარეობას, მაგრამ საბოლოოდ მოხდა ის, რაც მოხდა - მსოფლიო ფეხბურთმა ერთი ხოშიანი ბიჭი დაკარგა.

ახლა კაკას რიგია? ის უნდა დაიკარგოს? იქნებ ჩვენ ვცდებით და საგანგაშო არც არაფერი ხდება? მოდი სუბიექტურად ვიმსჯელებ - პირადად ჩემთვის, როგორც ფეხბურთზე უზომოდ შეყვარებული ადამიანისთვის, გაცილებით უკეთესი იქნებოდა ცალკე რობინიოს ყურება "რეალში" და ცალკე კაკასი "მილანში", ვიდრე ორივესი ერთად "სიტიში".

მომავალ სამშაბათამდე

საქართველოს შვიდკაცა ნაკრები მსოფლიო თასზე მოქმედ ჩემპიონ ფიჯის შეერკინება

შვიდკაცა რაგბის მსოფლიო თასზე, რომელსაც 5-7 მარტს არაბეთის გაერთიანებული საემიროების ქალაქი დუბაი უმასპინძლებს, საქართველოს ნაკრები B ჯგუფში მოქმედი ჩემპიონის ფიჯის, საფრანგეთისა და აშშ-ის გუნდების მხარდამხარ ითამაშებს.

მომავალი ტურნირის კენჭისყრა დუბაის "ატლანტის ჰოტელში" მოეწყო, ცერემონიალს კი რაგბის საერთაშორისო საბჭოს (IRB) ფრანგი შეფი ბერნარ ლაპასე, არაბთა მომავალი დედოფალი ჰაია ბინთ ალ ჰუსეინი და შვიდკაცისა და, საზოგადოდ, რაგბის დიდი მოამაგე, "ემირეთს აერლაინზის" პატრონი, შეიხი აჰმედ ბინ საედ ალ მაქთუმი უძღვებოდნენ.

წილისყრის დასრულების შემდეგ არაერთი განცხადება გაკეთდა, რომელთა შორის ფიჯელთა თავკაცის, შვიდკაცას ყოფილი ვარსკვლავის ვაისალე სერევის კომენტარი გამოვარჩიეთ:

"სუსტი ჯგუფი არც ერთი არ არის, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ შვიდკაცა რაგბი მეთოდურად ვითარდება. მეტოქეების შეუფასებლობაზე საუბარიც კი ზედმეტია. საფრანგეთისა და საქართველოს შვიდკაცა გუნდებმა უკვე დაამტკიცეს, რომ მაღალ დონეზე თამაში შეუძლიათ, ამერიკელები კი იოლად არასდროს ნებდებოდნენ".

დუბაის შვიდკაცაზე 9 ნაკრები - ფიჯი (ჩემპიონი), ახალი ზელანდია, ინგლისი, ავსტრალია, საფრანგეთი, სამხრეთ აფრიკა, არგენტინა, შოტლანდია და არაბეთი (მასპინძელი) პორდაპირ მოხვდა, კიდევ 15 კი - შერჩევით: ურუგვაი (სამ.ამერიკა); პორტუგალია, უელსი, საქართველო, ირლანდია, იტალია (ევროპა); სამოა, ტონგა (ზღვისრეთი); იაპონია, ჰონკონგი (აზია); შტატები, კანადა (ჩრდ. ამერიკა); კენია, ზიმბაბვე, ტუნისი (აფრიკა).

მსოფლიო თასს საგანგებოდ ამ ტურნირისთვის აგებული "ზი სევენსი" უმასპინძლებს, რომლის ნათლობა შარშან, ნოემბერში, მსოფლიო სერიის დუბაის ეტაპზე მოხდა.

გათამაშების ფორმულა უცვლელია. ექვსი 4-გუნდიანი პულიდან თასისთვის ბრძოლას გააგრძელებენ გამარჯვებულები და მეორე ადგილზე გასული ორი საუკეთესო გუნდი.

სინისთვის შეჯიბრებაში ჩაებმება ოთხი უარესი მეორე და ოთხი უკეთესი მესამე, ხოლო ფიალაზე - ორი უარესი მესამე და ექვსივე მაჩანჩალა ნაკრები.

შვიდკაცას მსოფლიო თასი. 5-7 მარტი. დუბაი (არაბეთის გაერთიანებული საემიროები)

A ჯგუფი: ახალი ზელანდია, ტონგა, არაბეთი, იტალია;
B ჯგუფი: ფიჯი, საფრანგეთი, შტატები, საქართველო;
C ჯგუფი: სამხრეთ აფრიკა, შოტლანდია, კანადა, იაპონია;
D ჯგუფი: სამოა, ავსტრალია, პორტუგალია, ირლანდია;
E ჯგუფი: ინგლისი, კენია, ტუნისი, ჰონკონგი;
F ჯგუფი: არგენტინა, უელსი, ზიმბაბვე, ურუგვაი.

"ბორჯღალოსანთა" სამწვრთნელო შტაბში ცვლილებებია

საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების სამწვრთვნელო შტაბში ცვლილებებია. ლეგენდარული ქართველი მორაგბე "ლეონსიო" ლევან ცაბაძე და ფრანგული "მასის" მწვრთნელი ვიქტორ დიდებულიძე აღარ იმუშავებენ "ბორჯღალოსანთა" გუნდში. როგორც რაგბის კავშირის პრეზიდენტი გია ნიჟარაძე აღნიშნავს, ამგვარი გადაწყვეტილების მიზეზი ის ფინანსური სიძნელეებია, რომლის წინაშეც ქართული რაგბის სახლი მიმდინარე წლის მეორე ნახევრაში აღმოჩნდა. ომის გამო რაგბის კავშირს ვეღარ ეხმარებიან ის სპონსორები, რომლებიც წლების განმავლობაში ინტენსიურად იღვწოდნენ ქართული რაგბის სასიკეთოდ. "ეს დროებითი ნაბიჯია. მდგომარეობის გამოსწორებისთანავე "ლეონსიო" და ვიქტორ დიდებულიძე საქართველოს ნაკრებს დაუბრუნდებიან", - აცხადებს გია ნიჟარაძე. მრავალრიცხოვანი სარაგბო პროექტებიდან დღეს მხოლოდ სახელმწიფო დაფინანსების პროგრამა მუშაობს სრულად, დანარჩენი პროექტები კი შეჩერებულია. საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ავსტრალიელი ტიმ ლეინი და ფიტნეს-მწვრთნელი ჯონი ნამუ ორიოდე დღეში დაბრუნდებიან თბილისში, სადაც დაიწყება მზადება ევროპის "ერთა თასის" გათამაშების პირველი მატჩისთვის, რომელსაც ჩვენი "ბორჯღალოსნები" 7 თებერვალს ჰაიდელბერგში გამართავენ გერმანიის ეროვნულ ნაკრებთან.

ადამიამ და მუჭირმა "ბაკის" მოაგებინეს

ამირან მუჯირისა და გიორგი ადამიას გოლებმა აზერბაიჯანულ "ბაკის" თურქეთის პირველი ლიგის გუნდ "შანლიურფასპორთან" 5:3 მოაგებინა. ბაქოური კლუბი ახლა შეკრებაზეა ჩვენს მეზობელ სახელმწიფოში, სადაც რამდენიმე ამხანაგურ მატჩსაც გამართავს. კვლავ გაურკვეველია ქართველი თავდამსხმელის ადამიას ბედი, რომელიც ბაქოს "ნეფთჩის" ეკუთვნის. "ბაკის" სურს ადამიას დამატება და ორ კლუბს შორის მოლაპარაკებებიც მიმდინარეობს, მაგრამ მხარეები ჯერჯერობით სატრანსფერო თანხაზე ვერ თანხმდებიან.

"აიაქსმა" გრიგალავაზე უარი თქვა

ამსტერდამის "აიაქსმა" რუსეთის საფეხბურთო პირველ ლიგაში მოასპარეზე როსტოვის არმიის სპორტული კლუბის ქართველ მცველ გია გრიგალავასთან კონტრაქტის გაფორმებაზე უარი თქვა. "ათდღიანი სინჯების დროს გიამ ორ ამხანაგურ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. მან კარგად წარმოაჩინა თავი, მაგრამ ეს საკმარისი არ არის იმისთვის, რომ კონტრაქტი გავუფორმოთ", - განაცხადა "აიაქსის" ტექნიკურმა დირექტორმა დენი ბლინდმა. გრიგალავა საქართველოში დაიბადა. 16 წლისამ რუსეთს მიაშურა, სადაც "როსტოვში" გამოდიოდა, ხოლო გასულ წელს დონისპირელთა მეორე გუნდ ასკ-ში გადავიდა.

FIFA-მ 2018-2022 წლების ჩემპიონატების მასპინძელი ქვეყნების განაცხადების მიღება დაიწყო

FIFA-მ 2018-2022 წლების მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის მსურველთა განაცხადების მიღება დაიწყო და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციებს წერილობითი შეტყობინებები დაუგზავნა. ჩემპიონატის ჩატარების მსურველმა ფედერაციებმა 2009 წლის 2 თებერვლამდე უნდა წარადგინონ განაცხადი. ქვეყნები, რომლებიც 2018-2022 წლების ჩემპიონატებს უმასპინძლებენ, დასახელდებიან FIFA-ს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე, რომელიც 2010 წლის დეკემბერში გაიმართება. ტურნირის ჩატარებას ვერ შეძლებენ სამხრეთ ამერიკის ქვეყნები, რადგან 2014 წლის ჩემპიონატს ბრაზილია უმასპინძლებს. აფრიკის ქვეყნებს 2018 წლის განაცხადი არ შეეხებათ, რადგან 2010 წელს ტურნირი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში გაიმართება. ქვეყანა, რომელიც ტურნირის მასპინძლობის სურვილს გამოთქვამს, რამდენიმე პირობას უნდა აკმაყოფილებდეს. თანამედროვე 12 სტადიონი, რომლებიც, სულ მცირე, 40 ათასს გულშემატკივარს იტევს, ხოლო საფინალო მატჩი 80-ათასიანზე ნაკლებ სტადიონზე არ ტარდება. 2018 წელს გასამართი მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის სურვილი უკვე გამოთქვეს ავსტრალიამ, ინგლისმა, კატარმა და რუსეთმა.

"ჩერნომორეცში" კაშიას დებიუტი გაიმართა

შოთა კაშიამ ოდესის "ჩერნომორეცის" შემადგენლობაში პირველი მატჩი ჩაატარა - თურქეთში შეკრებაზე მყოფმა უკრაინულმა კლუბმა წლის პირველ მოსამზადებელ მატჩში ყაზახური "ორდაბასი" დაამარცხა - 3:0. ოდესელებმა შეხვედრა ორი განსხვავებული შემადგენლობით ჩაატარეს. 24 წლის ქართველი მცველი პირველი 45 წუთის განმავლობაში იმყოფებოდა მოედანზე. თბილისის "დინამოს" ყოფილი ფეხბურთელი სინჯებზე იმყოფება "ჩერნომორეცში" და მასთან კონტრაქტის გაფორმების საკითხს უკრაინელები თურქული შეკრების შემდეგ გადაწყვეტენ.

სანიკიძემ სასტარტო ხუთეულში გამოჩენა "დაბლით" აღნიშნა

გასულ უქმეებზე ევროპაში მოასპარეზე საქართველოს საკალათბურთო ნაკრების წევრებიდან ყველაზე მეტად ვიქტორ სანიკიძემ გამოიჩინა თავი, თუმცა ქართულ ლეგიონზე საუბარს ესპანეთით დავიწყებთ.

ესპანეთის საკალათბურთო ჩემპიონატის მე-17 ტური ქართველი კალათბურთელებისთის უიღბლო გამოდგა - ვლადიმერ ბოისამ და ნიკოლოზ ცქიტიშვილმა ჯამში მხოლოდ ორი ქულა მოაგროვეს.

ცქიტიშვილის "ფუენლაბრადა" ერთ-ერთ აუტსაიდერ "მურსიას" ესტუმრა და 78:70 გიმარჯვა. ჩვენებური მადრიდელთა სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა და 17 წუთში 2 ქულა და 1 პასი მიითვალა.

ნიკოლოზმა 5-დან 1 ორქულიანი ჩააგდო, სამქულიანი კი მიზანს ააცილა.

მატჩის გმირი გახდა "ფუენლაბრადას" წევრი ბრედ ოლესონი, რომელმაც 29 ქულა მიითვალა.

8 მოგებითა და 9 მარცხით ქართველი ფორვარდის კლუბი მე-9 პოზიციაზეა.

ჩემპიონატის ლიდერ "ტაუ კერამიკასთან" გასვლითი მატჩი 66:78 დათმო ვლადიმერ ბოისას

სანიკიძემ "როკს" მოაგებინა

"ვივემენორკამ". ქართველმა კალათბურთელმა სტუმართა სასტარტო შემადგენლობაში იასპარეზა და 17 წუთში 4 ორქულიანი და 2 სამქულიანი ააცილა. ვოვას ანგარიშზე მხოლოდ 2 მოხსნაა.

მენორკელთა საუკეთესო მოთამაშე პუჰ ჯეტერმა 20 ქულა მოაგროვა, "ტაუს" ლიდერი კი იყო სერბა იგორ რაკოჩევიჩი - 21 ქულა, 6 მოხსნა.

"ვივემენორკა" 5 გამარჯვებითა და 12 წაგებით მე-13 პოზიციაზეა.

ტაირონ ელისს "კახასოლი" "რიკო მანრესას" დაუპირისპირდა და 64:71 დამარცხდა. საქართველოს ნაკრების ამერიკელმა გამთამაშებელმა სევილიელთა რიგებში ერთ-ერთი ყველაზე სუსტი მატჩი ჩაატარა.

ელისმა "კახასოლის" სასტარტო ხუთეულში ითამაშა, თუმცა 19 წუთში ოთხივე სამქულიანი ააცილა და მატჩი 0 ქულითა და 3 მოხსნით დაასრულა.

სევილიელთა შემადგენლობაში საუკეთესო იტალიელმა პეჩილემ 15 ქულა მიითვალა, მანრესელთა ლიდერმა გრიმაუმ კი 18 ქულა დააგროვა.

"კახასოლს" 15 მარცხი და 2 მოგება აქვს და ესპანეთის პირველობის უიმედო აუტსაიდერად რჩება.

ახლა კი ესტონეთზე, სადაც ვიქტორ სანიკიძემ ტარტუს "როკის" სასტარტო ხუთეულში გამოჩენა ჩინებული თამაშით აღნიშნა - "პიარნუსთან" მატჩში ორმაგი დუბლი შეასრულა და გუნდს ზედიზედ მე-7 გამარჯვებაში (106:69) დაეხმარა.

ჩემპიონატის ერთ-ერთ აუტსაიდერთან მატჩში ტარტუელებს არავითარი პრობლემა არ შეჰქმნიათ. "როკმა" პირველივე წუთებიდან ხელთ იგდო უპირატესობა და ანგარიშში სხვაობას მეთოდურად ზრდიდა.

სანიკიძემ მოედანზე 24 წუთი დაჰყო და 17 ქულას 11 მოხსნა და 1 პასი წაამატა, რაც ორივე გუნდში საუკეთესო მაჩვენებელი იყო.

ვიქტორმა 7-დან 5 ორქულიანი და 7-ვე საჯარიმო ჩააგდო, სამქულიანი კი გააცუდა.

ორმაგ დუბლამდე ერთადერთი ქულა დააკლდა "როკის" ქართველ გამთამაშებელ გიორგი ცინცაძეს, რომელმაც ასევე სასტარტო შემადგენლობაში იასპარეზა.

29 წუთში გიორგის მონაგარი 9 ქულა, 10 პასი, 6 მოხსნა და 3 ჩაჭრაა.

ცინცაძემ 5-დან 3 ორქულიანი და 4-დან 3 საჯარიმო გამოიყენა, ხოლო სამქულიანი ააცილა.

"როკი" შვიდი მოგებით ესტონეთის პირველობის ერთპიროვნული ლიდერია.

ტარტუელები მომდევნო მატჩს 20 იანვარს უმთავრეს კონკურენტ ტალინის "კალევთან" (8 მოგება, 2 მარცხი) გამართავენ.

35-ე სკოლას ყოველთვის საკუთარი ხელწერა ჰქონდა

2008 წლის ბოლოს თბილისის ფეხბურთის ფედერაციამ ჩაატარა გამოკითხვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სპეციალისტებმა, ვეტერანმა ფეხბურთელებმა და ჟურნალისტებმა, მოკლედ, მთელმა საფეხბურთო სამყარომ. წლის საუკეთესო საფეხბურთო სკოლად დასახელდა 35-ე საჯარო სკოლა, რომელშიც ფეხბურთის სექციაცაა. ამ სკოლის დირექტორია არჩილ არველაძე, რომლმაც "ფონდი არველაძის" ოფიციალურ ვებგვერდს მისცა ინტერვიუ.

- ვფიქრობ, ჩვენთან 4-5 გამორჩეული სკოლაა და საუკეთესოც მათგან იყო ასარჩევი, მაგრამ რადგან ბავშვთა საუკეთესო მწვრთნელად გუბაზ დოლიძე დასახელდა, ხოლო საუკეთესო გუნდად მისი ბავშვები (1994-95 წლებში დაბადებულები), ამ ფაქტორმაც მნიშვნელოვნად განაპირობა, ის, რომ საუკეთესო სკოლად 35-ე მიიჩნიეს.

- რამდენად კანონზომიერი იყო 35-ე სკოლის საუკეთესოდ დასახელება ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით?

- ამ მხრივ სხვებთან დიდი უპირატესობა აქვს რამდენიმე სკოლას და, მათ შორის, ჩვენც. მოწინავეებად უნდა ჩავთვალოთ "ოლიმპი", "ნორჩი დინამოელი", კარლო მჭედლიძისა და თენგიზ სულაქველიძის სახელობის სკოლები. არიან ისეთი სკოლებიც, რომლებსაც დიდი მოედანი არა აქვთ, თუმცა ნორმალურად მუშაობენ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ტრადიციები ბევრს ნიშნავს და ამ მხრივ ჩვენს სკოლას მხოლოდ "ნორჩი დინამოელი" თუ შეედრება.

- რა არის 35-ე სკოლის ხელწერა?

- ამ სკოლას ადრეც ჰქონდა და ახლაც აქვს საკუთარი ხელწერა: ტექნიკა.

- ტექნიკა არაერთი სკოლის ხელწერა იყო, თუმცა ეს ყველამ ვერ შეინარჩუნა. ადრე ტექნიკური ფეხბურთელები თბილისის "დინამოში" ზღვისპირეთიდანაც მოდიოდნენ. თქვენი სკოლა თუ ეძებს ტექნიკით დაჯილდოებულ ბავშვებს დასავლეთ საქართველოში?

- სამეგრელოდან და, საერთოდ, დასავლეთ საქართველოდან ჩვენთან საკმაოდ ბევრი ბავშვია - ზოგი თვითონ მოდის, ზოგიც ჩვენ შევარჩიეთ. სელექციას დიდ ყურადღებას ვუთმობთ. თუ სადმე შევნიშნავთ ნიჭიერ ბავშვს, ვცდილობთ, ჩვენთან მოვიყვანოთ.

- 35-ე სკოლის ერთ-ერთ მოედანზე, რომელსაც კარგა ხნით ადრე "მარაკანა" შეარქვეს, ხელოვნური საფარის დაგებას აპირებდით. საქმე წინ არ წასულა?

- გრუნტის მომზადება მიმდინარეობს საფარის დასაგებად. თუ გაუთვალისწინებელი არაფერი მოხდა, მოედანი მაისიდან შევა ექსპლუატაციაში. რაც არ უნდა მოხდეს, წლეულს ეს მოედანი აუცილებლად მზად იქნება.

- "ფონდი არველაძის" საქმიანობაში რა სიახლეა?

- ალბათ უკვე იცით, რომ მაისში ქართველი ბავშვები (1997 წელს დაბადებულები) ამსტერდამში გაემგზავრებიან საერთაშორისო ტურნირზე, რომელსაც ჩემპიონთა ლიგის მომავალსაც უწოდებენ. დღეიდან ამ გუნდმა ვარჯიში დაიწყო 35-ე სკოლაში, მწვრთნელ ნოდარ აკობიას ხელმძღვანელობით. ტურნირზე ჩვენს გუნდს, სავარაუდოდ, "ჯორჯია" ერქმევა. მოთამაშეთა ბირთვი ჩამოყალიბებულია, თუმცა სელექცია არ დასრულებულა.

კოკაიმ გამარჯვების გემო გაიხსენა

ტოკიოში გრძელდება სეზონის პირველი სუპერტურნირი სუმოში, რომელშიც ორი ქართველი ასპარეზობს. კოკაის და ტოჩინოშინს შესაშურად არა აქვთ საქმე - ცხრა დღის შემდეგ ორივეს უარყოფითი ბალანსი აქვს.

გამოცდილმა ლევან ცაგურიამ ვითარება ოდნავ გამოასწორა და ზედიზედ ორი ბრძოლა მოიგო. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გუშინდელი გამარჯვება. კოკაის მეტოქე იყო აღმოსავლეთის ოძეკი კოტომისუკი. რანგით მაღლა მდგომ სუმოისტთან ჭიდილში ქართველმა იორიკირის ილეთით გაიმარჯვა. ახლა კოკაის აქტივში ოთხი გამარჯვება და ხუთი წაგებაა.

მორიგი მარცხი განიცადა

კოკაიმ ოძეკი დასცა

ტოჩინოშინმა. ახალგაზრდა ქართველი ათლეტი აღმოსავლეთის მეთექვსმეტე მაეგაშირა ჰომაშოსთან დამარცხდა. 9 დღის შემდეგ ტოჩინოშინს სამი გამარჯვება აქვს.

ბაშოზე კი, როგორც მოსალოდნელი იყო, ორი ფავორიტი გამოიკვეთა. ცხრიდან ცხრაცხრა გამარჯვება მოიპოვეს ჰაკუჰომ და ასოშორიუმ. იმპერატორის თასის მფლობელიც ამ ორი იოკოძუნას ორთაბრძოლაში გაირკვევა.

დღეს ტოჩინოშინი ხვდება აღმოსავლეთის მეექვსე მაეგაშირა ბუშუიამას, რომელიც იანვრის ბაშოს სუსტად ატარებს და უარყოფითი ბალანსი უკვე განაღდებული აქვს. ბუშუიამამ ცხრიდან რვა ბრძოლა წააგო და თებერვლის რეიტინგის გამოქვეყნების შემდეგ დაქვეითებას ვერ გადაურჩება.

კოკაის მეტოქეობას გაუწევს აღმოსავლეთის მეორე მაეგაშირა მიაბიამა, რომელიც აგრეთვე ვერ დაიკვეხნის წარმატებებით - მასშვიდი ბრძოლა აქვს წაგებული.

ქვიშის რაგბის კავშირმა "თაჩ რაგბის" პირველი ფესტივალი მოაწყო

სპორტკომპლექს "ქარიშხალაში" გამართული უკონტაქტო რაგბის (touch rugby) პირველი ფესტივალი მოყვარულებს შორის კომპანია "ვისოლის" გუნდის გამარჯვებით დასრულდა. "ვისოლის" მორაგბეებმა ფინალურ შეხვედრაში "TBC ბანკს" ერთადერთი ლელოთი აჯობეს და საუკეთესო გუნდის სახელიც მოიპოვეს. სპორტული პრესტიჟი დაიცვა და მესამე ადგილი დაიკავა სპორტული პრესის ჟურნალისტებით დაკომპლექტებულმა გუნდმა.



საქართველოს ქვიშის რაგბის კავშირის მიერ ორგანიზებულ ტურნირზე 6-6 მოთამაშით დაკომპლექტებულმა რვა გუნდმა ითამაშა. უკონტაქტო რაგბის პირველ ფესტივალზე გამარჯვების მოსაპოვებლად "პირველი არხი", "რუსთავი 2", "სპორტული პრესა", "ვისოლი", "ფორმულა კრეატივი", "TBC ბანკი", "თბილისი" და "ფინანსური ზედამხედველობის სამსახური" იბრძოდნენ. გუნდებში გაერთიანებულები იყვნენ როგორც ყოფილი მორაგბეები, ასევე გამოუცდელი მოთამაშეები, რომლებმაც პირველად გაუგეს გემო სამოყვარულო რაგბს.

ორგანიზატორებმა ორი ქვეჯგუფი შეადგინეს, ტურნირის პირველ დღეს ჯგუფური ეტაპის მატჩები გაიმართა და ნახევარფინალისტების ვინაობა გაირკვა, 18 იანვარს კი გადამწყვეტი მატჩების ჯერი დადგა.

პირველ ქვეჯგუფში "ფორმულა კრეატივმა" და ყოფილი მორაგბეებით გაძლიერებულმა სამმა გუნდმა - "თბილისმა", "ვისოლმა" და "TBC ბანკმა" იბურთავეს, მეორეში კი "სპორტულმა პრესამ", "რუსთავი-2-მა", "პირველმა არხმა" და "ფინანსური ზედამხედველობის სამსახურმა" ითამაშეს.

წაუგებლად დღე ოთხმა გუნდმა ჩაამთავრა და ნახევარფინალში "TBC ბანკი", "ვისოლი", "სპორტული პრესა" და "ფინანსური ზედამხედველობის სამასხური" გავიდნენ. "TBC ბანკმა" "ვისოლს" ლელოების უკეთესი შეფარდებით გაუსწრო, ჯგუფში პირველი ადგილი გაინაღდა და ნახევარფინალში "სპორტულ პრესას" დაუპირისპირდა, რომელიც ასევე მხოლოდ ლელოების სხვაობით ჩამოუვარდა "ფინანსურ სამსახურს".

ფინალურ ეტაპზე საუკეთესო ოთხეულის გარდა, მოედანზე ჩემპიონობის შანსდაკარგული გუნდებიც გავიდნენ და მეხუთე-მერვე ადგილები გადაინაწილეს. ნახევარფინალში ვეტერანი მორაგბეებით დახუნძლულმა "ვისოლმა" "ფინანსურ სამსახურს" 4:2 სძლია, "TBC ბანკმა" კი "სპორტულ პრესას" 3:1 აჯობა. ტურნირის ფინალურ შეხვედრამდე მცირე ფინალი "სპორტულმა პრესამ" და "ფინანსური ზედამხედველობის სამსახურმა" გაითამაშეს (მათი მონაწილეობით ჯგუფური შეხვედრა 2:2 დასრულდა), გამარჯვება კი "სპორტულ პრესას" დარჩა - 2:1.

ფესტივალის ფინალში გასილმა "ვისოლმა" სწრაფ და ფიზიკურად ძლიერ "TBC ბანკს" ჭკვიანური თამაში დაუპირისპირა და შედეგსაც უწია. მატჩის ერთადერთი ლელო "ვისოლმა" მეორე ტაიმში (გუნდები ორ 4-წუთიან ტაიმებს თამაშობდნენ) დადეს და იმავდროულად მეტოქეს გათანაბრების საშუალება აღარ მისცეს. ამრიგად, უკონტაქტო რაგბის პირველი ფესტივალის ჩემპიონი "ვისოლი" გახდა.

ელენე და ბექა ევროპულ ყინულს მიდგნენ

პირველად ქართული ფიგურული სკოლის ისტორიაში ჰელსინკის ევროპის ჩემპიონატზე (20-25 იანვარი) საქართველოს ნაკრები ორი სპორტსმენით წარსდგება. ერთი 19 წლის ელენე გედევანიშვილია, ხოლო მეორე 18 წლის ბექა შანყულაშვილი. თავდაპირველად, ევროპულ ყინულზე შანყულაშვილი შესრიალდება, მოგვიანებით ესტაფეტას გედევანიშვილი ჩაიბარებს.

გედევანიშვლი საკუთარი შედეგის გაუმჯობესებას ჰელსინკში შეეცდება

ბექა შანყულაშვილისთვის ასეთი რანგის ასპარეზობა პირველია. ზოგადად კი საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით ჩატარებულ შეჯიბრებებზე პირველად შარშან გამოჩნდა.

სექტემბერში ქართველი სპორტსმენი ოსტრავაში (ჩეხეთი) გამართულ Czech Skate 2008-ზე ვიხილეთ, სადაც მან 26 მონაწილეს შორის, 127.16 ქულით, მე-13 ადგილი დაიკავა.

ოქტომბერში შანყულაშვილმა ბელორუსის ქალაქ გომელში Golden Lynx 2008-ზე იასპარეზა და 27 სპორტსმენს შორის 125.12 ქულით მე-14 საფეხური დაიკავა.

სხვათა შორის, ბექას მწვრთნელები არიან დები სტარკმანი და ქართველი მოციგურავე ვახტანგ მურვანიძე. ეს უკანასკნელი შანყულაშვილის ქორეოგრაფიცაა.

ცნობილია, რომ 18 წლის მოციგურავე მოკლე პროგრამისას "მატრიცას" მელოდიაზე ისრიალებს, თავისუფალ პროგრამას კი ენიო მორიკონეს ფილმ "ხელშეუხებელნისთვის" შექმნილ ჰანგებზე ააწყობს.

ქალთა პროგრამისთვის, სადაც ელენე გედევანიშვილი იასპარეზებს, ევროპის ჩემპიონატის დასკვნითი დღეები - 23 და 24 იანვარია გამოყოფილი.

ელენე ფართო ასპარეზზე პირველად 2006 წელს გამოჩნდა და სადებიუტო ევროპირველობაზე მეხუთე ადგილის დაკავებით საყოველთაო ფურორი მოახდინა.

2007 წლის კონტინენტურ პირველობაზე ქართველი გოგონა მერვე გახლდათ, შარშან კი იგი მეშვიდე საფეხურს დასჯერდა. 2006 წლის ტორინოს ოლიმპიურ თამაშებზე გედევანიშვილი მეათე იყო, დასკვნით სამ მსოფლიოს ჩემპიონატზე კი, შესაბამისად, მე-14, მე-17 და მე-20 ადგილები დაიკავა.

ელენეს პერსონალური რეკორდი 153.27 ქულაა, რომელიც მან 2006 წლის ევროპის ჩემპიონატზე აჩვენა.

ქართველ სპორტსმენს რუსი რომან სეროვი ავარჯიშებს, მისი ქორეოგრაფი კი ნიკოლაი მოროზოვია.

გედევანიშვილი მოკლე პროგრამას ჯონ კანდერის "კაბარეზე" შეასრულებს, ხოლო თავისუფალ პროგრამისას პერეს პრადოს "სიყვარულის ისტორიაზე" ისრიალებს.

ქალთა ტურნირს ტრავმის გამო დააკლდება ერთ-ერთი ფავორიტი შვეიცარიელი სარა მაიერი.

ამ ფონზე პირველობის კარგი შანსი იტალიელ კაროლინა კოსტნერს აქვს, თუმცა, არც ფინელ ლამაზმანთა ტრიო - კირა კორპი, ლაურა ლეპისტო, სუსანა პოიკიო - უნდა დავივიწყოთ.

სულ ყინულზე 41 გოგონას ვიხილავთ, ვაჟთა ტურნირს კი 39 მონაწილე ჰყავს.

საჩოგბურთო რეიტინგებში 16 ქართველია

ავსტრალიის ღია პირველობის სტარტთან ერთად, ქალთა საჩოგბურთო ასოციაციამ (WTA) მორიგი რეიტინგი გამოაქვეყნა, რომელშიც კვლავინდებურად 9 ქართველი გოგონა ფიგურირებს. გასულ კვირასთან შედარებით, არც ერთ მათგანს ცვლილება არ შეხებია.

156. ანა ტატიშვილი - 396; 217. მაკა ჩახნაშვილი - 266; 243. სოფო შაფათავა - 220; 394. ოქსანა კალაშნიკოვა - 112; 652. ეკატერინე გორგოძე - 40; 674. სოფო ქვაცაბაია - 38; 704. მანანა შაფაქიძე - 34; 748. სალომე დევიძე - 28; 916. სოფო მელიქიშვილი - 16; 7 ქართველი ჩოგბურთელი ვაჟი ფიგურირებს პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის (ATP) კლასიფიკაციაში. 529 (528). ირაკლი ლაბაძე - 96; 920 (920). ლაზარე კუხალაშვილი - 24; 1118 (1115). ლადო ჩიხლაძე - 12; 1220 (1220). ნიკოლოზ ბასილაშვილი - 8; 1326 (1326). ნოდარ ითონიშვილი - 6; 1567 (1566). ბექა ბუჩუკური - 2; 1660 (1659). დემეტრე თაქთაქიშვილი - 2;

"ვისოლმა" "თაჩრაგბი" მოიგო

უკონტაქტო ანუ "თაჩრაგბის" პირველი ქართული ფესტივალი კომპანია "ვისოლის" გუნდის ჩემპიონობით დაგვირგვინდა. მოყვარულთა ორდღიანი ტურნირის მეორე დღეს ფინალური ეტაპის შეხვედრები გაიმართა, თუმცა მოედანზე ჩემპიონობის შანსდაკარგული გუნდებიც გავიდნენ და მეხუთე-მერვე ადგილები გადაინაწილეს.

ნახევარფინალში ვეტერანი მორაგბეებით დახუნძლულმა "ვისოლმა" ფინანსურ სამსახურს 4:2 სძლია, TBC ბანკმა სპორტულ პრესას აჯობა - 3:1. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში სპორტულმა პრესამ ფინანსური სამსახური 2:1 დაამარცხა, საჩემპიონო შეხვედრის ბედი კი ერთადერთმა ლელომ გადაწყვიტა. ფესტივალის დასრულების შემდეგ მაყურებლებისთვის გაიმართა ჯგუფ "მგზავრების" კონცერტი.

"მილანი" "ბაიერნს" რიბერის სანაცვლოდ 35 მილიონ ევროს სთავაზობს

"მილანი" მიუნხენის "ბაიერნს" 25 წლის ფრანგი ნახევარმცველის ფრანკ რიბერის სანაცვლოდ 35 მილიონ ევროს სთავაზობს.

უცხოური საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, რომ "როსონერი" მზად არის მიუნხენელთა ლიდერის გადასაბირებლად მათ სეზონის ბოლომდე მიქირავებული მცველი მასიმო ოდოც დაუთმოს. თავად რიბერის კი მილანელები 4-წლიან კონტრაქტს და წელიწადში 6,5 მილიონ ევროს ჰპირდებიან. ამ ცნობაზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ "მილანმა" მართლაც გადაწყვიტა თავისი ბრაზილიელი გამთამაშებელი კაკა "მანჩესტერ სიტის" 120 მილიონ ევროდ მიჰყიდოს. ამ თვალსაზრისით იქნებ ნიშანდობლივი იყოს ისიც, რომ შაბათს, "ფიორენტინასთან" საშინაო მატჩის შემდეგ, კაკას ყველა თანაგუნდელი ისე ეხვეოდა, თითქოს ეს "სან სიროზე" მისი უკანასკნელი გამოსვლა ყოფილიყოს...

თუ ეს ვარაუდი სწორია, რიბერი, რასაკვირველია, "როსონერის" სწორედ კაკას შემცვლელად სჭირდება.

გოცირიძე დაშავდა

დნეპროპეტროვსკის "დნიპროს" ქართველმა ახალწვეულმა ბექა გოცირიძემ უკრაინული გუნდის მორიგ საკონტროლო მატჩში ტრავმა მიიღო და თამაშის დასრულება ვერ მოახერხა. რუმინულ "კლუჟთან" შეხვედრაში, გოცირიძე ჯაბა კანკავას მსგავსად, დნიპროელთა სასტარტო შემადგენლობაში გამოჩნდა, თუმცა, 31-ე წუთზე დაშავდა და თანამემამულე სანდრო კობახიძეს დაუთმო ადგილი.

კანკავამ მოედანზე 90 წუთი გაატარა, მაგრამ გუნდი მარცხისგან ვერ იხსნა.

მატჩის ერთადერთი გოლი რუმინელებმა პირველი ტაიმის მიწურულს გაიტანეს.

ხორკერა კატალონიელთა რიგებში დარჩება

ესპანეთის "ბარსელონას" სათადარიგო მეკარე ალბერტ ხორკერა, რომლის შეძენა ხიხონის "სპორტინგსა" და "მალიორკას" სურდათ, სეზონის ბოლომდე კატალონიელთა რიგებში დარჩება. "კლუბის ხელმძღვანელობამ მაგრძნობინა, რომ ჩემი დარჩენა მათთვის მნიშვნელოვანია. ეს გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ხოსეპ გვარდიოლამ და ხუან კარლოს უნსუემ მითხრეს. ამიტომ დარჩენა გადავწყვიტე", - განაცხადა ხორკერამ, რომელსაც კლუბთან კონტრაქტი 2010 წელს უმთავრდება. 29 წლის ხორკერა "ბარსელონაში" 2003 წლიდან ირიცხება და განვლილ პერიოდში პრიმერადივიზიონის მხოლოდ 7 მატჩში დაიცვა გუნდის ღირსება.

The New York Times offers a “window" to the world

- Every Tuesday, from 20st of January, the leader of the world press New York Times with 24 Saati.

- New York Times selects the articles each week specialy for Georgian Reader.

- The best from The New York Times.

ნიუ-იორკ თაიმსის საერთაშორისო ყოველკვირეული გამოცემა - International Weekly, წარმოადგენს ნიუ-იორკ თაიმსის საინფორმაციო სამსახურის მიერ კვირის განმავლობაში გამოქვეყნებული მასალებიდან შერჩეული საუკეთესო სტატიების, ფოტების, გრაფიკის ნაკრებს; იგი მზადდება ნიუ-იორკ თაიმსის რედაქტორებისა და დიზაინერების მიერ, კაბადონდება ნიუ-იორკში და იგზავნება დასაბეჭდად საქართველოში. ყოველკვირეული ჩანართი სპეციალურად მზადდება 24 საათისთვის , ისევე, როგორც ფრანგული ლე მონდისთვის , ესპანური ელ პაისისთვის , გერმანული ზიუდ დოიჩე ცაიტუნგისთვის , ბრიტანული ობსერვერისთვის და ა.შ.

24 საათი 2009 წლის იანვრიდან არის ნიუ-იორკ თაიმსის კორპორატიული პარტნიორი და უფლება აქვს გამოიყენოს ნიუ-იორკ თაიმსის საინფორმაციო, ფოტო და გრაფიკული ბაზა.

A weekly international edition of "The New York Times" - "International Weekly" is a collection of the best articles, photos and graphics selected by "The New York Times" information service out of all materials published during the whole week. It is prepeared by "The New York Times" editors and designers, imposed in New York City and sent to Georgia for printing. A weekly insert is specially prepeared for "24 Saati" newspaper as well as for French "Le Monde", Spanish "El Pais", German "Sueddeutsche Zeitung", British "Observer", etc.

From January 2009, "24 Saati" newspaper is a corporate partner of "The New York Times" and enjoys the right to use information, photo and graphic base of "The New York Times".

"დაკარი" სამხრეთ ამერიკას ჩაბარდა

წლის უმთავრესი საავტომობილო თავგადასავალი დასრულებულია. "დაკარის" რალი ფარეხში შედგა. პირველი შემთხვევა იყო, როდესაც რალი-რეიდს აფრიკის ნაცვლად სამხრეთ ამერიკის კონტინენტმა უმასპინძლა. როგორც არ უნდა იყოს, არგენტინისა და ჩილეს შარა გზებს შესეულ ქარავანს საკუთარი რჩეულები ჰყავს.

ყველგანმავლების კლასში პირველობა მოიპოვა სამხრეთაფრიკელმა ჟინელ დე ვილერსმა ("ფოლკსვაგენი"). არადა ამავე კლასში მე-12 ეტაპამდე საერთო ჩათვლას ესპანელი კარლოს საინსი ლიდერობდა, მაგრამ მოხდა ისე, რომ ჩქაროსნული მონაკვეთის 79 კილომეტრზე ხუთი მეტრის სიმაღლიდან დამშრალი მდინარის კალაპოტში გადავარდა. ავარიას ის მოყვა, რომ საინსის ფრანგი შტურმანი მიშელ პერენი დაბეჟილობებით შვეულმფრენით საავადმყოფოში გადაიყვანეს. მოვლენათა ასეთი განვითარება თავისთავად ასპარეზობიდან გამოთიშვას ნიშნავდა.

საერთო ჩათვლა
ყველგანმავლების კლასი:

1. ჟინილ დე ვილერსი (ს. აფრიკა) 48:10:57
2. მარკ მილერი (აშშ) 48:19:56
3. რობი გორდონი (აშშ) 49:57:12

მოტოციკლების კლასი:

1. მარკ კომა (ესპანეთი) 52:14:33
2. სირილ დესპრე (საფრანგეთი) 53:40:11
3. დავიდ ფრეტინე (საფრანგეთი) 53:53:29

სატვირთოების კლასი:

1. ფირდაუს კაბიროვი (რუსეთი) 49:34:46
2. ვლადიმირ ჩაგინი (რუსეთი) 49:38:25
3. ჟერარდ დე როი (ჰოლანდია) 50:34:42

გააგზავნეთ სმს ჯეოსელიდან , მაგთიდან , ბილაინიდან ნომერზე - 30-30 და 1 ლარით ყოველთვიურად დაეხმარებით მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს. ერთჯერადი დახმარებისათვის დარეკეთ ნომერზე 30-30 და ფონდ იავნანას ანგარიშზე ავტომატურად ჩაირიცხება 1 ლარი.

შემოგვიერთდით, ერთად დავუბრუნოთ ბავშვები თავიანთ ოჯახებს!

ფონდი იავნანა
გაზეთი 24 საათი